



ახალი განათლება

25.04-01.05.2019

№15-16 (849-850) განმოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

ინკლუზიური განათლება

**უკუსვლის
შემთხვევაშიც კი, იმავე
შემართებით, ყველაფერი
თავიდან დაიწყე**

გვერდი 2

ხარისხის განვითარება

**საჯარო დაწესებულება
გამართულად რომ
ფუნქციონირებდეს**

გვერდი 3

პროფესია კვალი

**მასწავლებლობა
უდიდესი
კანუხისმგებლობაა**

გვერდი 5

კვალი დასახელებლად

დიდი ნიბნები



გვერდი 6

სწავლების მეთოდი

**დისბრაფია
გადაულახავი
კრობლემა არ არის**

გვერდი 7



„...და ესე ახს საიდუმლოდ ღმერთისაჲ, სიხედრისათჳს და მუეძიეთით აღდგომისა განგებური, ხაჲთა განეყოს წმინცთაგან სუღი სიხედრისა მიუხ, და თანამდები და მიწდა და ნუსი ბუნებისაჲ ახა დაეყენოს.“

ინკლუზიური განათლება

უკუსვლის შემთხვევაში კი, იმავე შეპართებით, ყველაფერი თავიდან დაიწყე

ლალი ჯვალაძე

მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ათეულთა კლუბის წევრმა, **ნინო კაპერსკიმ**, კოალიცია „განათლება ყველასათვის“ ინიციატივითა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით, გამართა მასტერკლასი თემაზე: „სსსმ მოსწავლეთა სწავლებასთან დაკავშირებული სირთულეები და მათი მოგვარების გზები“.

მე-200 სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელს, მუშაობის 11-წლიანი გამოცდილება აქვს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ნინოს გაუჩნდა სურვილი, მასწავლებლად მალაქითაინი სოფლის სკოლაში დაეწყო მუშაობა, რადგან ფიქრობდა, რომ იქ უფრო საჭირო იქნებოდა, ვიდრე ქალაქის რომელიმე სკოლაში. „ერთ-ერთი გაზეთში აღმოვაჩინე განცხადება, რომ ეძებდნენ ინგლისური ენის მასწავლებელს. არც დაფიქრებულვარ, ისე წავიდე სვანეთში. იქ გატარებული ორი წელი ჩემთვის საოცარ მოგონებებად იქცა. შემდეგ ვაჩნდა პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ და, რა თქმა უნდა, სიამოვნებით ჩავერთე პროგრამაში. ხულოში გამანაწილეს. ძალიან შეამაყებდა, რომ უნებლიედ, კარგი მოდელი აღმოვჩინე მშობლებისთვის, რომ გოგონები განათლების მისაღებად გაეშვათ (იქ გოგონების განათლების თემა ძალიან რთული საკითხია). მე რომ მხედავდნენ, ამბობდნენ, ჩვენც გვინდა, ჩვენი შვილი ნინოსავით სუფთად მივიღეს სამსახურში და ჩვენსავით ყანაში არ მოუწიოს მუშაობა. სამი წელი ვიმუშავე და ბედნიერი ვარ, რომ პატარა წვლილი მეც შევტანე მათ განათლებაში – მეტიც, ეს ჩემ ყველაზე დიდ მიღწევად მიმაჩნია. ერთმა ისეთმა ოჯახმა გაუშვა გოგონა სასწავლებლად, რომ მათთვისაც კი წარმოუდგენელი იყო ამ ნაბიჯის გადადგმა. დღეს ეს გოგონა ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტია.“ – გვიამბობს ნინო.

ამის შემდეგ, ნინოს ცხოვრებაში ახალი გამოწვევა გაჩნდა, რომელმაც მე-200 სკოლაში მიიყვანა. „ამ პოზიციაზე მოსვლა იმან განაპირობა, რომ ინკლუზიური განათლების დანერგვა ახალი დაწყებული იყო და ჩემთვის, როგორც მასწავლებლისთვის, ახალი გამოწვევა იყო სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა და მათ განვითარებაზე ზრუნვა. ამ მიმართულებით დიდი გამოცდილება არ მქონდა, მხოლოდ ტრენინგი გავიარე. თითო სსსმ მოსწავლე ხულოშიც და სვანეთშიც მყავდა, თუმცა, რომ ვითხრა, რომ მაშინ ინკლუზიურ განათლებაზე და ამ აქტივობებზე ბევრი ინფორმაცია მქონდა მოგატყუებთ. მაგრამ ეს იყო რაღაც შინაგანი სურვილი, რომ სსსმ ბავშვები ჩამერთო სასწავლო პროცესში და ამისთვის ახალი მიდგომები მომიქმენა. ვაკვირდებოდი მათ საჭიროებებს, რა შეეძლოთ, რა დავალები მიმეცა. ეს გამოცდილება ძალიან დამეხმარა სპეცსკოლაში მუშაობისას. შემდეგ მაგისტრატურის ფარგლებში გავიარე ერთ-ერთი საგანი სსსმ მოსწავლეთა განათლების შესახებ. ახლა მუდმივ ძიებაში ვარ, თითქმის ყოველდღიურად ვკითხულობ ინფორმაციას და ვეცადობ სიახლეებს ინკლუზიურ განათლებაზე. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა ძალიან ბევრ შრომასა და მოთმინებას მოითხოვს, ამასთან ერთად, აუცილებლად უნდა იყო შეუპოვარი, არ დაუნებდე და უკუსვლის შემთხვევაშიც კი, იგივე შემართებით, ყველაფერი თავიდან დაიწყე.“

ნინო კაპერსკი სწავლებისას მთავარ აქცენტს მოსწავლეთა ჩართულობაზე აკეთებს, რადგან მიიჩნევს, რომ, როცა კლასში ყველა მოსწავლე არ არის ჩართული სასწავლო პროცესში, პრობლემური ქცევები სწორედ მაშინ იჩენს თავს, ჩართულობა კი უნდა მოახერხო მათთვის შესაბამისი აქტივობებისა და ინტერესების გამოყენებით.

„როცა შეკითხვებთან, სად სჯობს, რომ სსსმ მოსწავლემ მიიღოს განათლება – სპეცსკოლაში თუ საჯარო სკოლაში? ვპასუხობ – სპეცსკოლაში. რა თქმა უნდა, ზოგადად, მომხერ ვარ საჯარო სკოლაში სწავლების, რადგან აქ უფრო ადვილად ხდება მოსწავლის სოციალური უნარების განვითარება, მაგრამ, რეალურად, სპეცსკოლაში მასწავლებელი უკეთ მომზადებულია და ზუსტად იცის ან ხვდება რა საჭიროება აქვს კონკრეტულ მოსწავლეს, რა უნდა გააკეთოს მისი განვითარებისთვის. სამწუხაროდ, ეს იმაზე მეტყველებს, რომ სისტემა სათანადოდ ვერ უზუსტებს გამოწვევებს – შეიძლება ვისაუბროთ როგორც კვალიფიკაციის არქონაზე, ისე შიშზეც, რომელიც საჯარო სკოლის მასწავლებლებს აქვთ.“

გამოწვევებზე საუბრისას ამბობს, რომ ყველზე დიდ წინააღმდეგობას ქმნის ის, რომ ჩვენთან სსსმ მოსწავლეთა სწავლება ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებით ხორციელდება. „შესაბამისად, ეს ბევრ ისეთ საქმესთან ასოცირდება, რასაც სარგებელი არ მოაქვს სსსმ მოსწავლისათვის. მაგალითად, დამრიგებლისთვის – სადამრიგებლო პროგრამის შედგენა და შემდგომ დადამრიგებლო საათის ჩატარება. როცა კონკრეტულ მოსწავლესთან მუშაობ და ერთი ასოს შესწავლაზე შეიძლება მთელი წელი დახარჯო, რა მიზანს უნდა მიაღწიო თვეში ერთხელ განხილული თემით? ფუჭია ამ დროს მოსწავლეების იმ საქმიანობით დაკავება, რასაც არანაირი სარგებელი არ მოაქვს, თუნდაც, შემაჯავებელი დავალებების ანალიზი. აბსოლუტურად ყველა დავალების ანალიზს ვახორციელებ, რომელიც მოსწავლის პორტფოლიოში ინახება. ასევე, ხორციელდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მონიტორინგი და დეტალურად ინერება როგორ მიაღწია ან ვერ მიაღწია მოსწავლემ მიზანს.“

ეს-გ ჯგუფის ფარგლებში, ვანყობთ შეხვედრებს და ვანალიზებთ მიზეზებს – მიზნის ვერ მიღწევის შემთხვევაში იყო თუ არა აქტივობის პრობლემა, არ რთული მიზანი ხომ არ იყო დასახული. ამ შემთხვევაში, არაფრის მომცემია შემაჯავებელი დავალების ანალიზი, რადგან ისედაც ვიცით კონკრეტული

მოსწავლის პრობლემა. უბრალოდ, ხელახლა გადავაქვს ერთი და იგივე ინფორმაცია სხვადასხვა ფორმის დოკუმენტში. ამიტომ, მნიშვნელოვანია ჩამოგვმორდეს იმ დოკუმენტების შექმნა, რასაც სარგებელი არ მოაქვს, ისედაც ბევრი საწერი და სამუშაო გვაქვს.“

სირთულეებს აწყდება სქემის ფარგლებშიც – „გვიჭირს სტატუსის ამაღლება, რადგან არის სავალდებულო აქტივობები, რომლებსაც მასწავლებლები ვერ ვახორციელებთ და სტატუსის ამაღლებაშიც გვაფერხებს. მაგალითად, დანყებითი საფეხურის უფროსი მასწავლებლის ერთ-ერთი სავალდებულო აქტივობა სამოდელო გაკვეთილის ჩატარებაა. სსსმ მოსწავლეებთან ძალიან რთულია სამოდელო გაკვეთილის ჩატარება, უფრო სწორად – შეუძლებელია, რადგან დაწყებითი საფეხურზე მათ არ აქვთ ის უნარები განვითარებული, რაც სამოდელო გაკვეთილის ჩატარებას დაადასტურებდა. ჩვენ ასეთ ბავშვებთან ფუნქციური უნარების განვითარებაზე ვმუშაობთ. რა არის გამოსავალი? სავარაუდოდ, რთული იქნება, მაგრამ ჩვენთვის უნდა შეიქმნას რთულიად განსხვავებული სქემა, გაკვეთილის შეფასების რუბრიკებიც უნდა განსხვავდებოდეს არსებული რუბრიკებისგან. ამ სქემაში არ მოიაზრებინ სპეცმასწავლებლები, არამედ მოვიაზრებთ სავანის მასწავლებლები, რომლებიც ინკლუზიური მიმართულებით ვმუშაობთ. გაკვეთილის შეფასების რუბრიკები ჩვენს საქმიანობაზე არ არის მორგებული, მაგალითად, ერთ-ერთი კრიტერიუმის აღწერა მთლიანად ეთმობა მოსწავლის მალალი სააზროვნო უნარების განვითარებას. რასაკვირველია, ამას ვერ მოვახერხებთ. რადგან შეფასების რუბრიკის მოქნილობა არ არის შესაბამისობაში ჩვენს სპეციფიკასთან, ამ კრიტერიუმის შეფასებისას პრობლემის წინაშე დგებიან შეფასების ჯგუფებიც, არ იციან, რა ქულა დაწერონ.“

ნინო კაპერსკიმ, სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის 5-წლიანი გამოცდილების გაზიარებისას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რთული ქცევის შესახებ ისაუბრა და ამ სირთულეებთან გამკლავების ტექნიკაზე, გაკვეთილის დაგეგმვის დროს გასათვალისწინებელ დეტალებზე. განიხილა აქტივობები და რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და რთული ქცევის შემცირებას. მას 87-ე მოსწავლისთვის შექმნილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ძალიან ბევრი აქტივობა დაუგროვდა, მაგრამ კოლეგებს ურჩევს, რომ ნინა წელს გამოყენებული აქტივობები მომდევნო წელს ნაკლებად გამოიყენონ, რადგან სულ სხვადასხვაგვარი საჭიროება ჩნდება და მოსწავლეს მრავალფეროვნება სჭირდება – მას ერთი და იგივე აქტივობაც ბეზრდება და დავალებაც.

პრაქტიკული რჩევები კოლეგებს

- იმისათვის, რომ მოსწავლისთვის შეარჩიოთ შესაბამისი სწავლების სტრატეგია, რესურსი თუ აქტივობა, მნიშვნელოვანია ფლობდეთ ინფორმაციას მისი ინტერესების, კოგნიტიური, აკადემიური, მსხვილი თუ ნატიფი მოტორული უნარების შესახებ. კონკრეტული კლასის მოსწავლეების მაგალითზე, განვიხილავთ თუ რატომ არის მნიშვნელოვანი აღნიშნული ინფორმაციის ფლობა. მაგალითად, ერთ-ერთი აქტივობის მიზანია, მოსწავლეებმა ისწავლონ თუ როგორ არის ინგლისურად მზიანი ამინდი. აქტივობა იმ მოსწავლისათვის შევარჩიო, რომელსაც შეუძლია ყურადღების დიდხანს, დაახლოებით, 10-15 წუთი კონცენტრაცია ერთი და იმავე აქტივობაზე. მაკრატლის გამოყენება ან გამოჭრილი დეტალების დაჭერა და საჩვენებელი თითებით აღება უზრუნველყოფს მისი თითების მოქნილობის ზრდას, რისი საჭიროებაც აქვს. შემდგომ, ეს მოქნილობა შექმნის ფუნქციური უნარების განხორციელების შესაძლებლობას, როგორც არის თასმების, ლილების შეკრა, კალმის და ფანქრის სწორად ჭერა, ასევე დანა-ჩანჯლის გამოყენება.

თუ მოსწავლე ხშირად ამბობს უარს აქტივობის შესრულებაზე, გაითვალისწინეთ მისი ინტერესი – მაგალითად, თუ უყვარს ფერადი ქაღალდის დაჭრა და დაჭრილი ფერადი ქაღალდით გამოსახულებების შექმნა; აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეებს მზე საღებავებით შეაღებინეთ, რადგან ღებვა მის ნერვულ სისტემაზე დადებით ეფექტს ახდენს; მზის გამოსახულების ბამბით შექმნა და შემდგომ მისი გუაშებით შეღებვა იმ მოსწავლეებს შესთავაზეთ, რომლებსაც გსურთ, რომ შეხებით, ხალისით აღმოაჩინონ ახალი ტექსტურა.

- მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინება უმნიშვნელოვანესია. კონკრეტული მოსწავლის მაგალითზე გეტყვით, რომელიც ხშირად უარს მეუბნება აქტივობის შესრულებაზე. მისი ინტერესები რომ არ გამოეთავალისწინებინა, არც თანაკლასელებს მისცემდა დავალების შესრულების შესაძლებლობას. დანარჩენები ამას გააპროტესტებდნენ და გაკვეთილზე იქნებოდა ხმაური, შეიძლება ფიზიკურადაც შეხებოდნენ ერთმანეთს. ამ ხმაურზე გამიღვიანდებოდა აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლე და შეიქმნებოდა სრული ქაოსი.
- მნიშვნელოვანია, აქტივობები ყოველ 10-15 წუთში ვცვალოთ, რადგან მოსწავლეებს დიდხანს არ შეუძლიათ ერთსა და იმავე აქტივობაზე ყურადღების კონცენტრაცია. გაკვეთილის განმავლობაში თითო მოსწავლეზე დაგჭირდებათ 3 აქტივობა, თუმცა, აუცილებლად იქონიეთ მეოთხე დამატებითი აქტივობაც. მაგალითად, მოსწავლისთვის, რომელსაც უყვარს დაჭრილი ფერადი ქაღალდებით გამოსახულებების შექმნა, შეიძლება ეს საინტე-



რესო იყო ნინა კვირას, მაგრამ შემდეგ კვირას არ ვიცი მოეწონება თუ არა იმავეს კეთება, ამიტომ მისი სხვა ინტერესის გათვალისწინებით, აუცილებლად გკონდით რეზერვში ისეთი აქტივობა, რომელიც რთული სიტუაციიდან გამოიყვანთ.

- მხოლოდ ვიზუალური და ტაქტიური მასალა არ არის საკმარისი, საჭიროა აუდიო-ვიდეო მასალაც. სასურველია, ეს ვიდეო-მასალაც თავად შექმნათ. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს მოსწავლეებთან ბევრი რესურსი გამოვიყენე ამინდის შესასწავლად, მაინც აღმოვჩინე სირთულის წინაშე – როცა ვუბნებოდი ეჩვენებინათ, რომელია ქარიანი ამინდი, სულ სხვა ამინდის ფონის მიჩვენებდნენ. მიხვდი, რომ გაუჭირდათ თემის აღქმა, ამიტომ შევქმენი ვიდეომასალა. ვაჩვენე რეალურად როგორ გამოიყურება სამყარო მზიანი ან ღრუბლიანი ამინდის დროს და ა.შ.
- იმისათვის, რომ ინფორმაცია იყოს ადვილად აღქმადი და ეფექტურად გადაეზღვიანება გზების გამოყენებით, ასეთია ვიზუალური და ტაქტიური რესურსები. მაგალითად, ამინდის სწავლებისას, ნომინალი ამინდი გახერტილი ჭიქით განვასახიერე, ვადმოღენილი წვეთებით დავასველებინე ხელი; ქარი განვასახიერე წიგნის ზევით-ქვევით სწრაფი მოძრაობით; თოვლი რეალურს ვერ მიუახლოვე, მაგრამ შევეცადე წვრილად დაჭრილი ხელსახოცებით შექმენა წარმოდგენა ფიქვებზე. რაც შეეხება მზიან და ღრუბლიან ამინდს, თეჯირზე გამოსახული ცა და მდელო ვაჩვენე. ცის ერთ ნაწილზე მივანებე მზე და უკანა მხრიდან ფანრიტ გავანათე, ხოლო ღრუბლიანი ამინდი მივანებე იმ ადგილას, სადაც ცაც უფრო მუქი ფერის იყო და მდელოც.
- კომპიუტერი ყველა ბავშვის საყვარელი ნივთია, მოსწონთ ისტ-ის გაკვეთილები და სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, რამდენიმე აქტივობა power point-ში თამაშის სახით გადავქმენა. ერთ-ერთი აქტივობა, რომელიც მნიშვნელოვანია მისი მონაწილეობის უნარების განვითარებისთვის, წყვეტილი ხაზების შეერთება ან ორი მოშორებული წერტილის სწორი ხაზით შეერთებაა. კომპიუტერული თამაშები ხელს უწყობს თვალისა და ხელის კოორდინაციის გავარჯიშებას.
- ასანწყობი ფაზლების მიზანია, ააწყონ და დაასახელონ ნივთი მათი ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად. ფაზლის აწყობა ასოს გრაფიკული გამოსახულების დამახსოვრების საუკეთესო საშუალებაა. ბევრი ფაზლი არსებობს, მაგრამ უპირატესობას მაინც ჩემს შექმნილს ვანიჭებ, რადგან მორგებულია მოსწავლის სხვადასხვა საჭიროებას.

მოტივაციის სახით

მინდა მოგიყვებო ჩვენი ერთი მოსწავლის წარმატების ამბავი, რომელსაც ინტელექტუალური განვითარების დარღვევა ჰქონდა.

6 წლის ასაკში დამოუკიდებლად მას არ შეეძლო: **ფუნქციური უნარ-ჩვევები** – საჭირო ოთახის გამოყენება; ჩაცმა-ვახდა; ლილების, თასმების შეკრა; **აკადემიური უნარ-ჩვევები** – მეტყველება არ არის განვითარებული (ბგერები ჰგავს ლმობს); არ შეუძლია: ნახატზე მიუთითოს დასახელებული ობიექტი; არაფრის გამოსახვა; ჯღაბნის.

ახლა, 12 წლის ასაკში, მას უკვე დამოუკიდებლად შეუძლია: **ფუნქციური უნარ-ჩვევები** – ჭამს კოვზისა და ჩანჯლის გამოყენებით; იცვამს, იკრავს თასმებს, ლილებს; **აკადემიური უნარ-ჩვევები** ინგლისურ ენაში – წერს ანბანის ყველა მთავარულ/არამთავარულ ასოს; კითხულობს, წერს და თარგმნის ნასწავლ სიტყვებს – ნასწავლი სიტყვებისგან შედგენილ მარტივ წინადადებებს; სვამს/პასუხობს კითხვებს მისთვის ნაცნობ თემატიკაზე. ეს ძალიან დიდი მიღწევაა და ვფიქრობ, რომ სწორედ ჩვენზე, მასწავლებლებზე, თითქმის, ყველაფერი დამოკიდებული. ამ გზაზე ჩვენ გვექონდა წინსვლაც და უკუსვლაც. თუმცა, უკუსვლა როცა გექნებათ, არ დაითრგუნოთ, პირიქით, უფრო მეტი შემართებით დაიწყეთ თავიდან და მოძებნეთ სხვა, ახალი სტრატეგიები.

სიტუაციები

1. მაგალითად, გაკვეთილის დაწყებიდან გარკვეული დროის შემდეგ, მოსწავლე იწყებს მის ან თანაკლასელების მერხებიდან სასკოლო ნივთების გადაყრას. ამ დროს მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, რა „შეტყობინებას“ აგზავნის ის. ჩემ მაგალითზე მოსწავლემ მაგრძობინა, რომ დიდხანს დამრჩა ყურადღების მიღმა. თუმცა, ეს პირველადი დაკვირვებით ვერ დავასკენი. მეორე

ინკლუზიური განათლება

გაკვეთილზე უფრო მეტი დრო დავუთმე და ანალოგიური ქცევა აღარ განმეორებულა. შემდეგ ჯერზე, ისევე ყურადღების მიღმა დავტოვე ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ისევე მოიქცა.

2. მოსწავლე მასწავლებლის მაგიდიდან იღებს ასანყობ პირამიდას. მასწავლებელი მიდის მოსწავლესთან და ეუბნება „არ შეიძლება პირამიდის აღება!“ და აბრუნებს თავის ადგილას. ამ დროს მოსწავლე ხელს კრავს მერხს და აგდებს ძირს. რა უძღვის ნინ ამ ტიპის ქცევას? თავი აარიდეთ სიტყვებს – „არა“, „არ შეიძლება“, რადგან ეს სიტყვები აღიქმება ისე, თითქოს, არასოდეს არ შეიძლება. ამიტომ, სჯობს უთხრათ, როდის შეიძლება.

ქცევა შეიძლება იყოს ორი ტიპის, ერთი – როდესაც მოსწავლე აკონტროლებს მას და იცის, თუ რისი მიღწევა სურს ამ ქცევი; მეორე – როდესაც ღიზიანდება მოსწავლის ნერვული სისტემა. ამ დროს, შეიძლება ძლიერად მოგაჭიროთ ხელი ხელზე,

როდესაც გააშვებინებთ, შეიძლება თვითდამაზიანებელი ქცევა განახორციელოს – კბენა დაინყოს. როგორია ამ დროს თქვენი რეაქცია? მთავარია, ხმის ტონი არ აუნითო. არ მისცეთ არანაირი ინსტრუქციები, მითითებები, ნებისმიერ შეკითხვას კიდევ უფრო მეტი გაღიზიანებით უპასუხებს. ამ დროს ვიღებ პლასტილინს, ვანოდებ მოსწავლეს, რომ ჩემს ნაცვლად მას მოუჭიროს ხელი. მისი შინაგანი ენერჯია ახლა მთლიანად პლასტილინზე გადადის. როცა ვხედავ რომ სიმშვიდისკენ მიდის, ნელ-ნელა გადავდივართ აქტივობაზე. მაგალითად, თუ მზეს ვასწავლი, მის გამომქრნვას ვინყებთ. ასე ვერთვებით ხელახლა სასწავლო პროცესში.

3. მოსწავლე, გაკვეთილის განმავლობაში, რამდენჯერმე სვამს ერთი და იმავე კითხვას. მაგალითად – დედა მოვა? ყოველ ჯერზე ვპასუხობ და ვუხსნი, რომ აუცილებლად მოვა. თუმცა, არსებობს ერთი მარტივი გზა – კითხვის დაბრუნება. იგივე

კითხვა დაუსვით მას: – დედა მოვა? ის აუცილებლად მისთვის სასურველ პასუხს გაგცემთ. ამას, დაახლოებით, 10 წამი სჭირდება. ვერ გეტყვით, რომ პრობლემა აღმოიფხვრება და აღარ გკითხავთ, მაგრამ ნაკლებ დროს დახარჯავთ ამის ასხანაში.

4. როდესაც ატყობთ მოსწავლეს, რომ სურს გაკვეთილიდან გასვლა, სჯობს, თქვენ დაასწროთ და ჰკითხოთ: ნომ არ სურს გაკვეთილიდან გასვლა, დერეფანში გასეირნება. გარეთ გასვლის შემთხვევაში, უყურადღებოდ არ დატოვოთ, თვალი მიადევნეთ, რას აკეთებს.

არის შემთხვევები, როცა მოსწავლე, დავალების შესრულებისას, უეცრად რვეულს ხევის და ძირს აგდებს. ამის მიზეზი შეიძლება ის გახდეს, რომ მას ცოტა რთულ დავალებაზე გადასვლა მოუწია და ვეღარ უმკლავდება. ამიტომ მნიშვნელოვანია, მუდმივად დააკვირდეთ მას მუშაობის პროცესში და თუ დახმარება სჭირდება, დაეხმარეთ.

ხარისხის განვითარება

საჯარო დანებსებულება გამართულად რომ ფუნქციონირებდეს

საქართველოში მიმდინარე საჯარო მმართველობის რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილი საჯარო მოხელის პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი პროგრამების შემსრულებელი აკრედიტაციის და განხორციელებაა. სწორედ თითოეული მოხელის აუცილებელ ცოდნასა და უნარზე დამოკიდებული ნებისმიერი საჯარო დანებსებულების გამართული ფუნქციონირება, რაც, ჯერჯერობით, ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევად რჩება. საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების ხარისხის კონტროლს, აკრედიტაციის გზით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს. ამიტომ მივამართებ რამდენიმე შეკითხვით პროგრამის აკრედიტაციის პროცესის კომპლექსურად, თანამარ შენგებულებას.



იურიდიული პირი. რაც შეეხება დამატებითი პროფესიული განვითარების პროგრამებს, ზემოთ ჩამოთვლილი პირების გარდა, მათი განმხორციელებელი შესაძლებელია იყოს, ასევე, ფიზიკური პირიც.

რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამა, რომ მოიპოვოს აკრედიტაცია?

აკრედიტაციის პროცესში ექსპერტთა ჯგუფი ადგენს პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის შესაბამისობას აკრედიტაციის სტანდარტებთან, რომელიც ეხება პროგრამის შინაარსს და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ რესურსებს. პროგრამის შინაარსთან დაკავშირებული სტანდარტი მოიცავს 10 კომპონენტს, რომლებიც შეეხება პროგრამის განხორციელების გეგმას, მსმენელთა შეფასებას, პროგრამის შესაბამის სასწავლო მასალას, პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემას და სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს.

ამასთან, მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს მთავრობის დადგენილებების („პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილება) დანართით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კერძოდ, დანართით გათვალისწინებული „პროფესიული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსისა“ და „მოხელის მენეჯერული უნარების“ მოდულები, „მენეჯერული უნარების“ პროგრამის მინიმალური ვადა განსაზღვრულია 24 აკადემიური საათით, ხოლო მაქსიმალური – 40 აკადემიური საათით. პროგრამა ითვალისწინებს ისეთ საგნებს, როგორცაა: სტრატეგიული მართვა-დაგეგმვა, პროფესიული კომუნიკაცია, საჯარო სამსახურის ეთიკა და სხვა. რაც შეეხება „პროფესიული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების“ პროგრამას, მინიმალური ვადა განსაზღვრულია 16 აკადემიური საათით, ხოლო მაქსიმალური – 24 აკადემიური საათით. პროგრამა ითვალისწინებს ისეთ საგნებს, როგორცაა: ადმინისტრაციული წარმოება, ეთიკა საჯარო სამსახურში და სხვა.

აკრედიტაციის მეორე სტანდარტი, რომელიც შეეხება პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ რესურსებს, მოიცავს 4 კომპონენტს, მათ შორის, სათანადო კვალიფიკაციის მქონე ტრენერების მიერ სწავლებას, რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებას, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსების ქონას. საერთო ჯამში, დაწესებულების რესურსებ-

ბი უნდა უზრუნველყოფდეს პროგრამის ეფექტიან განხორციელებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

ვინ შეიძლება იყოს აკრედიტაციის ექსპერტი აღნიშნული მიმართულებით, ასევე, მნიშვნელოვანია აკრედიტაციის საბჭოს შემადგენლობა...

ამ ეტაპზე, ხარისხის განვითარების ცენტრში, პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის მიზნით, მიმდინარეობს კონკურსი. ვფიქრობ, უახლოეს მომავალში დამტკიცდება ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობა. ექსპერტთა ერთ-ერთ საკვალიფიკაციო მოთხოვნად გათვალისწინებულია 5-წლიანი სამუშაო გამოცდილება რომელიმე შემდეგ სფეროში: ორგანიზაციების მართვა; ადამიანური რესურსების განვითარება და მართვა; ზრდასრულთა განათლება და გადამზადება; სამართალი; განათლების ადმინისტრირება. უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის ექსპერტი არ შეიძლება იყოს ცენტრის ან საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ცენტრში/ბიუროში დასაქმებულია 3 თვეზე ნაკლები ვადით, კონკრეტული მოცულობის საექსპერტო სამუშაოს შესასრულებლად.

პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებულ გადამწყვეტილებებს იღებს მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო, რომლის წევრებსაც ნიშნავს და ათავისუფლებს საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი: საბჭო შედგება, მინიმუმ, 5 წევრისაგან, რომელთაგან ერთი წევრი ბიუროს წარმომადგენელია, ხოლო სხვა წევრები შეიძლება იყვნენ საჯარო მოხელეები, აკადემიური წრის ან არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საბჭოს ფორმირება და უახლოეს მომავალში მისი შემადგენლობაც დამტკიცდება. საბჭოს უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება ერთი წლით.

რა სახის გადამწყვეტილებებს იღებს საბჭო საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებით?

აკრედიტაციის საბჭო, მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე, იღებს სამი სახის გადამწყვეტილებას: ა) აკრედიტაციის შესახებ – თუ პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს; ბ) აკრედიტაციისაზე უარის თქმის შესახებ – თუ პროგრამა ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის ერთ-ერთ სტანდარტს; გ) აკრედიტაციის გაუქმების შესახებ – თუ პროგრამის აკრედიტაციის პერიოდში დაფიქსირდა აკრედიტაციის პირობების დარღვევის ფაქტი.

ამასთან, აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ფასდება სამდონიანი სკალის საშუალებით: „შესაბამისობა სტანდარტის მოთხოვნებთან“, „მეტწილად შესაბამისობა სტანდარტის მოთხოვნებთან“ და „არ არის შესაბამისობა სტანდარტის მოთხოვნებთან“. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამა მოთხოვნებს „მეტწილად შესაბამისობა სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადამწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად.

პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების შემდეგ, რა ფორმით შეამოწმებს განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი აკრედიტაციის პირობების შესრულებას?

პროგრამის აკრედიტაციის ვადა 5 წელია. აკრედიტაციის პირობების შემოწმების მიზნით, დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პროგრამას, ვალდებულია პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის მინიჭებულ სამწლიანი ვადის გასვლიდან ერთი თვის ვადაში ცენტრს წარუდგინოს თვითშეფასების ანგარიში. გარდა ამისა აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება ხორციელდება გვერდით და/ან არაგვერდით მონიტორინგის გზით. მონიტორინგი ხორციელდება ცენტრის ინიციატივით ან საბჭოს შუამდგომლობით. პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, ცენტრი უფლებამოსილია, დაწესებულებისგან გამოითხოვოს დოკუმენტაცია და/ან გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და/ან მონიტორინგის ვიზიტის შესახებ. აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად, საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადამწყვეტილება პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების შესახებ, თუ გამოვლინდა აკრედიტაციის პირობების დარღვევის ფაქტი.

ესაუბრა ანა ფირცხალაიშვილი

შპს თბილისის ღვინო-საყვინძეობის სასწავლო უნივერსიტეტი ასხადებს ღია კონკურსს 2019 წლის 25 აპრილიდან, აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

1. ბიზნესი და ადმინისტრირება:

- ა) პროფესორი – 2 ვაკანსია;
- ბ) ასოცირებული პროფესორი – 3 ვაკანსია;
- გ) ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანსია.

2. ენები:

- ა) გერმანული ფილოლოგია:
 - ა.ა) პროფესორი – 1 ვაკანსია;
 - ა.ბ) ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსია;
 - ა.გ) ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანსია.

3. ჯანდაცვა:

- ა) სტომატოლოგია:
 - ა.ა) პროფესორი – 3 ვაკანსია;
 - ა.ბ) ასოცირებული პროფესორი – 3 ვაკანსია;
 - ა.გ) ასისტენტ-პროფესორი – 3 ვაკანსია.

ბ) ბიოლოგიის კურსი:

- ბ.ა) პროფესორი – 1 ვაკანსია;
- ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსია;
- ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანსია.

გ) ქიმიის კურსი:

- გ.ა) პროფესორი – 1 ვაკანსია;
- გ.ბ) ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსია;
- გ.გ) ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანსია.

4. სამართალი:

- ა) პროფესორი – 3 ვაკანსია;
- ბ) ასოცირებული პროფესორი – 3 ვაკანსია;
- გ) ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანსია;
- დ) ასისტენტი – 2 ვაკანსია.

5. ჰუმანიტარული მეცნიერებები

(ენების გარეშე):

- ა) ფილოლოგია და ეთიკა:
 - ა.ა) პროფესორი – 1 ვაკანსია;
 - ა.ბ) ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსია.

საკონკურსო კრიტერიუმები:

პროფესორის აკადემიური თანამდებობისათვის:

- ა) დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სა-მეცნიერო ხარისხი;
- ბ) არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გამოცდილება.

ასოცირებული პროფესორის აკადემიური

თანამდებობისათვის:

- ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი;
- ბ) არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გამოცდილება.

ასისტენტ-პროფესორის აკადემიური

თანამდებობისათვის:

- ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი.

ასისტენტის აკადემიური თანამდებობისათვის:

ა) დოქტორანტი.

შპს თბილისის ღვინო-საყვინძეობის სასწავლო უნივერსიტეტში პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი აირჩევა 4 წლის ვადით.

საკონკურსოდ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
- ბ) კონკურსანტის ანკეტა;
- გ) ავტობიოგრაფია (CV);
- დ) პირადობის მოწმობის ასლი;
- ე) 2 ფოტოსურათი (ზომა 3X4);
- ვ) უმაღლესი განათლების, აკადემიური ხარისხის/წოდების, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;
- ზ) ინფორმაცია ბოლო 10 წელიწადში საკონკურსო მიმართულების/დარბის შესახებ შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების შესახებ (ბარდა ასისტენტისა);
- თ) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის (შრომის წიგნაკის) ასლი, ან ცნობა, ანუ დამსაქმებლის, ან საარქივო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, რომელიც ადასტურებს საკონკურსო აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილ შესაბამის სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილებას.

კონკურსის ვადები:

- ა) კონკურსი გამოცხადებულია 2019 წლის 25 აპრილიდან;
- ბ) კონკურსანტთა საბუთების მიღების ვადა განისაზღვროს 2019 წლის 28 მაისიდან 06 ივნისამდე (შაბათ-კვირის გარდა), 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა №24, VI სართული, ოთახი №605 (საკონტაქტო ტელეფონი: 237 88 66; 599 76 59 65. განცხადებისა და ანკეტის ფორმები განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.tdasu.edu.ge);
- გ) კონკურსის პირველი ეტაპი – საბუთების გადაჩვენა – ჩატარდეს 2019 წლის 7 ივნისს;
- დ) კონკურსის მეორე ეტაპი – საკონკურსო კომისიასთან გასაუბრება – ჩატარდეს 2019 წლის 10-11 ივნისს (გასაუბრების წესები თარიღი და დრო განიხილეთ ვებგვერდზე კონკურსის პირველი ეტაპის გავლის შემდეგ);
- ე) კონკურსში გასულ მონაწილეთა სია გამოქვეყნდეს 2019 წლის 13 ივნისს;
- ვ) განცხადება კონკურსის შედეგების გასაჩივრების შესახებ მიიღება 2019 წლის 14 და 17 ივნისს;
- ზ) საჩივრის განაცხადები განიხილება 2019 წლის 18-19 ივნისს;
- თ) კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2019 წლის 20 ივნისს.

საკონკურსო კომისიის სახელზე განცხადებისა და ანკეტის ფორმები იხილეთ სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.tdasu.edu.ge

ინფორმაცია

„აკადემია ევროპეა“ – საგანმანათლებლო ჰაბი, სადაც სამეცნიერო-კვლევითი სენტრი დაიწყებს ფუნქციონირებას

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრი გაიხსნა. ცენტრი დაეხმარება საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებას ევრო-

პის მეცნიერების, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სივრცესთან დაახლოებაში და ხელს შეუწყობს ქვეყანას ევროინტეგრაციის მიმართულეობით სვლაში.

ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრი დიდ ბრიტანეთში დაფუძნებული ევროპული აკადემიის (Academia Europea) რეგიონული ცენტრების ქსელის ნაწილს წარმოადგენს და მოემსახურება მეცნიერების მენეჯმენტში ევროპული მიღწევების გამოყენებას ეროვნული და რეგიონული პოლიტიკის წარმოებისათვის, საერთაშორისო სააგენტოებთან კოორდინირებული მუშაობისთვის, ინტერდისციპლინური და საერთაშორისო უმაღლესი ხარისხის სამეცნიერო კვლევების, ცოდნისა და განათლების წახალისებისათვის. თბილისის ცენტრი მეცნიერებათა ევროპული აკადემიის რეგიონული ცენტრების ქსელის მეხუთე წევრია.

ირინა აბულაძის განცხადებით, განათლების რეფორმის ფარგლებში, უმაღლესი განათლების მიმართულეობით მთავარ ამოცანას საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ევ-

როპული უმაღლესი განათლების სივრცეში ინტეგრაცია და განათლების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის დანერგვა წარმოადგენს. მისივე თქმით, მეცნიერების მიმართულეობით რამდენიმე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი განისაზღვრა, კერძოდ, ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის სისტემასთან მეტი ინტეგრაცია, ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა, მეცნიერების დაფინანსების მოქნილი და ეფექტური სქემების შემუშავება და სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაცია.

„განათლების სისტემის მასშტაბური რეფორმის პროცესში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „აკადემია ევროპეას“ რეგიონული ცენტრის გახსნას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველო პირველი ქვეყანაა ევროკავშირის არანაწევრ ქვეყნებს შორის, სადაც „აკადემია ევროპეას“ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი დაიწყებს ფუნქციონირებას. ამ საგანმანათლებლო ჰაბს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განსაკუთრებული მხარდაჭერა ექნება“ – აღნიშნა ირინა აბულაძემ.



მასწავლებლობა უდიდესი პასუხისმგებლობაა

მოძალადეობა არ არის დაკავშირებული არც ეთნიკურ წარმომავლობასთან, არც რელიგიურ აღმსარებლობასთან, მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი ადამიანის თავისუფალი არჩევანის შედეგია და არა მიმკვიდრეობით მიღებული იდეოლოგია. მოსწავლის სამოქალაქო კომპეტენციის ჩამოყალიბებისა და საზოგადოებაში სამოქალაქო კულტურის დამკვიდრებისათვის, აქტიური და პასუხისმგებლობის გრძელვადიანი მომენტი მოქალაქის აღზრდისთვის, სამოქალაქო განათლების საბუნებისმეტყველებას გადაწყვეტი მიიღება აქვს, თუმცა, კარგად გააზრებული თეორიის მიუხედავად, ამ საბუნებისმეტყველებას სკოლაში, ჯერ კიდევ, მიორჩენიან მნიშვნელოვან ანიჭებენ.

ვინ და რატომ უნდა ასწავლოს სამოქალაქო განათლება, რა როლი უჭირავს საბანს მოსწავლეების ცხოვრებაში – ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება ნინო ზომბილაშვილი, გომგორის საჯარო სკოლის ძირითადი მასწავლებელი და ლიტერატურის, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი.

– როდის გადაწყვიტეთ თქვენი პროფესიული ცხოვრების სკოლასთან დაკავშირება და რას ნიშნავს თქვენთვის პროფესია მასწავლებელი?

– ჩემი პროფესიული ცხოვრება სკოლას უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე დაუკავშირდა. პროფესიით ჟურნალისტი ვარ. 2011 წელს, დროებით, დავინყე მუშაობა მასწავლებლად და დღემდე სკოლაში ვმუშაობ. აღმოვაჩინე, თუ როგორი რთული და საინტერესო პროფესიაა. ჩემთვის პროფესია მასწავლებელი უდიდესი პასუხისმგებლობაა.

– რა არის იმისთვის საჭირო, რომ გახდეთ წარმატებული პედაგოგი, ავტორიტეტი მოიპოვოთ და შეინარჩუნოთ?

– წარმატებულ პედაგოგს, ვფიქრობ, სულ ორი რამ სჭირდება – უყვარდეს ბავშვები და თავისი პროფესია. ეს ორი ფაქტორი აძლევს ბიძგს მასწავლებელს მუდმივად ვითარდებოდა, რაც ნებისმიერ პროფესიაში წარმატების და ავტორიტეტის მოპოვების საწინდარია.

– რა მოეთხოვება სამოქალაქო განათლების პედაგოგს და ვინ უნდა ასწავლოს ეს საგანი?

– სამოქალაქო განათლება, ალბათ, უნდა ასწავლოს პედაგოგმა, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება გააზრებაში, თუ როგორი მნიშვნელოვანია თავისუფალი და პატივითი მოქალაქე ქვეყნის და საზოგადოების განვითარებისთვის.

– რა პრობლემები ახლავს სამოქალაქო განათლების სწავლებას?

– ზოგადად, პრობლემა სამოქალაქო განათლების მეორეხარისხოვან საგნად მიჩნევა. ჩემს სკოლაში, საბედნიეროდ, ეს ასე არ არის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გომგორის საჯარო სკოლა პროგრამა „მომავლის თაობას“ შეუერთდა. ეს არაჩვეულებრივი პროგრამა საშუალებას გვაძლევს, მოსწავლეებს, დამხმარე რესურსებით და პროექტული სწავლებით, მაქსიმალურად შედეგიანად ვასწავლოთ საკითხები, რასაც სამოქალაქო განათლება მოიცავს.

– რა არის მთავარი იმისთვის, რომ აღვზარდოთ აქტიური მოქალაქე?

– როგორც პედაგოგი, ვფიქრობ, საზოგადოებრივი საქმიანობის სწავლება და საზოგადოებრივი სარგებლის გაზრება თეორიულად შეუძლებელია. აქტიური მოქალაქის აღზრდისთვის, საჭიროა ახალგაზრდების ჩართვა თვითმმართველობაში, მათი აზრის გათვალისწინება მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას. ეს გაზრდის ახალგაზრდების მოტივაციას და პასუხისმგებლობას საზოგადოებრივი საქმიანობის მიმართ.

– რა პრობლემებს აწყდებით თანამედროვე მოსწავლეებთან ურთიერთობისას და როგორ ახერხებთ მათ დაძლევის... დისციპლინის საკითხი ყოველთვის იყო და არის ერთ-ერთი

უმნიშვნელოვანესი პრობლემა, როგორ ფიქრობთ – რატომ?

– ძირითადი პრობლემა, რაც მოსწავლეებთან ურთიერთობისას ჩნდება ხოლმე, მოტივაციის ნაკლებობაა, რის მეტ-ნაკლებად დაძლევის მრავალფეროვანი აქტივობების შეთავაზებით ვახერხებთ. რაც შეეხება დისციპლინას, პრობლემის გამოწვევები ერთ-ერთი ფაქტორი კლასებში მოსწავლეთა რაოდენობაა – ოცდაათი და მეტი ბავშვი კლასში. კლასების განტვირთვა, ვფიქრობ, მოხსნის ამ პრობლემას. ჩემს სკოლაში დისციპლინის საკითხი ნაკლებად დგას, რადგან მთიანი სოფლის სკოლა და კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა მცირეა.

– გაგვიზიარეთ თქვენ მიერ განხორციელებული პროექტები, სასკოლო სამოქალაქო ინიციატივები და მიღწეული შედეგები, რა შეცვალა სამოქალაქო განათლებამ თქვენი მოსწავლეების ცხოვრებაში?

– 2018 წლის გაზაფხულიდან, პროგრამა „მომავლის თაობაში“ ჩართვის შემდეგ, მრავალი სიახლე დაინერგა სამოქალაქო განათლების კუთხით. პირველი, რამაც სასიკეთო გავლენა მოახდინა სასკოლო ცხოვრებაზე, ეს იყო სამოქალაქო კლუბის ჩამოყალიბება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დავინყეთ პროექტებით სწავლება. ამან საშუალება მისცა მოსწავლეებს, პრაქტიკულად აეთვისებინათ საგნის ფარგლებში შესასწავლი მასალა, განეხორციელებინათ ბევრი საინტერესო და სასარგებლო სასკოლო და სათემო პროექტი. ყველაზე ვერ ვისაუბრებ, მოგვიყვებით შედარებით მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ.

ერთ-ერთი გამორჩეული პროექტი – „ნიგნიერების დონის ამაღლება“ – მიზნად ისახავდა მოსწავლეებში ნიგნის კითხვისადმი მოტივაციის ამაღლებას. მოსწავლეებმა ითანამშრომლეს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობასთან“, ადგილობრივ თვითმმართველობასთან, საგარეჯოს კულტურის დანერგვით პროექტების გაერთიანებასთან, მწერალ ბექა ქურხულთან. შედეგად, სკოლას გადაეცა გომგორის გამგეობის შენობაში არსებული, უფუნქციო 15 314 ნიგნი, გარემონტდა სკოლის ბოლითიუკა, შეიქმნა სასაიამოვნო გარემო, რამაც ხელი შეუწყო მოსწავლეების კითხვით დაინტერესებას.

უნდა გამოვიყო PH International-ის მიერ დაფინანსებული პროექტი „კინო ღია ცის ქვეშ“. ეს მცირე საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტია, რომელიც მოსახლეობასა და მოსწავლეებში ადამიანის უფლებათა შესახებ ცნობიერების დონის ამაღლებას ემსახურებოდა. ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადმოცემულ სივრცეში 12 ფილმის ჩვენება გაიმართა, აქედან 3 ფილმი ქალთა უფლებებს ეხმიანებოდა, 3 – რასიზმს, 2 ბავშვთა უფლებებს, ხოლო 4 – ადამიანის უფლებათა სხვადასხვა დარღვევას. ყოველი ფილმის დასასრულს ეწყობოდა განხილვა და მისი დაკავშირება ადამიანის უფლებებთან, ადამიანის უფლებათა დეკლარაციასა და ბავშვთა უფლებათა კონვენციასთან.

საინტერესო პროექტი იყო ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, რომლის ფარგლებში, მოსწავლეებმა განახორციელეს შემდეგი აქტივობები: კვლევა ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ; საინფორმაციო კამპანია ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ; ტრენინგი მოწვევის მავნებლობის შესახებ; კვების რაციონის შედგენა ბიოლოგიის მასწავლებელთან ერთად; შეხვედრა მონვეულ სტუმართან, მორაგებ მერაბ შარიქაძესთან; სპორტული ღონისძიება-მარათონი. პროექტი შედეგიანი აღმოჩნდა – მოსწავლეებსა და ახალგაზრდებში გაიზარდა სპორტი და ჯანსაღი ცხოვრების წესით დაინტერესება.

განხორციელებული აქტივობების შედეგად მოსწავლეებმა გაიზარდა საზოგადოებრივი საქმიანობის და თითოეული წევრის ჩართულობის, მონაწილეობის მნიშვნელობა; აუმაღლდათ სამოქალაქო ცნობიერება, ჩამოყალიბდათ ჯგუფური მუშაობისა და თანამშრომლობის უნარ-ჩვევები. თვითშეფასების ამაღლებამ საკუთარი თავის რწმენა გააღრმავა, რაც მათ მიერ ინიცირებულ ახალ პროექტებსა და ღონისძიებებში აისახება. მოსწავლეთა აღნიშნული საქმიანობა კი სასიკეთო გავლენას ახდენს სასკოლო და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

– რამდენად რთულია სიახლეების დაწერვა, როგორ ხდებოდათ ინიციატივას მოსწავლეები, კოლეგები, რა როლი უჭირავს თანამედროვე ტექნოლოგიებს საკლასო ოთახში? რა მიდგომებს, მეთოდებს, სტრატეგიებს იყენებთ სწავლებაში, რათა გაკვეთილი უფრო მრავალფეროვანი, პრაქტიკული, ინტერაქტიული და საინტერესო გახადოთ?



– რა თქმა უნდა, სიახლეების დაწერვა რთულია. მოსწავლეებში სიახლისადმი მზაობა მაღალია, მათ მოსწონთ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში, თუმცა სკოლებს ჯერ კიდევ არ აქვს ის რესურსები, რაც პრაქტიკული, ინტერაქტიული სწავლებისთვის არის საჭირო. კონსტრუქტივისტულ მიდგომებს ვიყენებთ, „სწავლა კეთებით“, ხშირად – დისკუსიას, როლურ, საგანმანათლებლო თამაშებს, რაც ეხმარება მოსწავლეებს, მაქსიმალურად კარგად აითვისონ და გაიაზრონ მასალა.

– აკმაყოფილებს სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელოები თანამედროვე მასწავლებლისა და მოსწავლის მოთხოვნებს?

– ეს სახელმძღვანელოები შესანიშნავი რესურსია მასწავლებლისთვის და მოსწავლეებისთვის. მოიცავს თითქმის ყველა იმ საკითხს, რასაც სამოქალაქო განათლება უნდა ფარავდეს.

– რა მიგაჩნიათ განათლების სისტემის მთავარ პრობლემად?

– განათლების სისტემის მთავარი პრობლემა სკოლებში ისეთი ფიზიკური გარემოს და საჭირო რესურსების არარსებობაა, რომელიც აუცილებელია ინტერაქტიული, მრავალფეროვანი სწავლებისთვის და რომელიც გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. პრობლემა ასევე მშობელთა არასაკმარისი ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, რასაც მეტ ყურადღებას უნდა უთმობდეს განათლების სამინისტრო.

– რამდენად ახერხებთ პროფესიულ განვითარებას, როგორ იყენებთ თავისუფალ დროს და როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

– პროფესიული განვითარებისთვის მრავალი საშუალება არსებობს. ვესწრები ტრენინგებს, ვეცნობი სხვადასხვა საგანმანათლებლო რესურსებს ინტერნეტში.

თავისუფალ დროს მხატვრული ლიტერატურის კითხვისთვის და ინგლისური ენის შესასწავლად ვიყენებ, რადგან ჩემი პროფესიისთვის ძალიან ბევრი საჭირო და საინტერესო რესურსია ამ ენაზე.

სამომავლო გეგმები კი, კვლავ სკოლას უკავშირდება. მიყვარს ჩემი პროფესია, მინდა გავიგრძელო ცოდნა და შევძლო ჩემს ძალიან ნიჭიერ, გონიერ მოსწავლეებში მათი მრავალმხრივი და საინტერესო უნარების განვითარება.

ესაუბრა მასპა ყიფიანი



კვლევა დასახარებად

დიდი ნიგნები

საქართველოში თანდათან იხვეჭს პოპულარობას დიდი ნიგნების გამოყენება სასწავლო პროცესში კითხვის უნარების განვითარების მიზნით. აღნიშნული რესურსის შესახებ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამზადებული საგანმანათლებლო ფილმი „დიდი ნიგნების კითხვა“, რომელიც თავისუფლად ხელმისაწვდომი ინტერნეტ-საიტზეა.

მოკლედ მიმოვიხილოთ: 1. რა არის დიდი ნიგნი? 2. როდის და რა მიზნით უნდა გამოვიყენოთ დიდი ნიგნი? 3. როგორ გამოვიყენოთ ეს რესურსი და 4. როგორ დავამზადოთ დიდი ნიგნები?

1. რა არის დიდი ნიგნი

დიდი ნიგნი არის დიდფორმატიან ქალაქზე დაწერილი/დაბეჭდილი, საინტერესო ამბისა თუ ინფორმაციის შემცველი ილუსტრირებული ნიგნი. როგორც ჩვეულებრივ ნიგნს, დიდი ნიგნსაც აქვს ყდა და სათაური, ჰყავს ავტორი. მასში გამოყენებულია დიდი ასოები ისე, რომ საკლასო ოთახის ბოლო რიგში მჯდომი მოსწავლისთვისაც ადვილად წასაკითხი იყოს ტექსტი.

როგორც წესი, დიდი ნიგნის განშლის ერთი ფრთა უკავია ილუსტრაციას, ხოლო მეორე გვერდზე/ფრთაზე დაწერილია/დაბეჭდილია ტექსტი.

2. როდის და რა მიზნით უნდა გამოვიყენოთ დიდი ნიგნი

იმისდა მიხედვით, თუ როდის, რა ასაკის ბავშვთან ვიყენებთ დიდ ნიგნს, განისაზღვრება დიდი ნიგნის გამოყენების მიზნებიც. პირობითად, მისი გამოყენებისთვის განისაზღვრება სამი პერიოდი: I. სკოლამდელი ასაკი, II. პირველი კლასი – წინასაანბნო და საანბნო პერიოდი და III. ანბანის ათვისების შემდგომი პერიოდი.

სკოლამდელ პერიოდში დიდი ნიგნების კითხვა წარმართება მშობლების, ახლობლების მიერ. რასაკვირველია, ბავშვი ვერ ასხვავებს სხვადასხვა ასოებსა და სიტყვებს, მაგრამ თანდათან აცნობიერებს, რომ ილუსტრაცია და ნაწერი ტექსტი განსხვავდება ერთმანეთისგან. ხვდება, რომ ილუსტრაციის შესაბამისი ამბები დაწერილია მეორე გვერდზე და ა.შ. მოკლედ, ამ ასაკში ნიგნების წაკითხვა მეტად სასარგებლოა ბავშვებისთვის და, როგორც კვლევებიც ადასტურებენ, ის ბავშვები აღწევენ ნიგნიერებაში წარმატებას, რომლებსაც ბავშვობაში ბევრს უკითხავდნენ.

პირველ კლასში, წინასაანბნო და საანბნო პერიოდში, მოსწავლე უკვე აცნობიერებს იმას, რომ ნიგნებში ამბის გადმოცემა დაწერილი ტექსტებით ხდება. ასხვავებს ცალკეულ სიტყვებსა და ასოებს. თანდათან, დროთა განმავლობაში, დღით დღე, ახალი ასოების ათვისების კვალად ფორმას იძენს თითოეული ასო, სიტყვა, წინადადება. პირველკლასელი მოსწავლე ნელ-ნელა გადადის ასეთი რესურსის დამოუკიდებლად წაკითხვის გზაზე.

ანბანის შესწავლის შემდეგ დიდი ნიგნები მოსწავლეებისთვის ერთი ყველაზე საყვარელი საკითხავი რესურსია, რადგან მისი მახასიათებლებიდან გამომდინარე იგი:

- დაწერილია დიდი ასოებით და მარტივი, ადვილად გასაკვირ და ამოსაკითხი სიტყვებითა და წინადადებებით.
- შეიცავს საინტერესო ამბავს/ინფორმაციას.
- თითოეულ განშლაზე არსებულ ტექსტს შეესაბამება მიმზიდველი ილუსტრაცია.
- მიუხედავად ნიგნის სიდიდისა, იგი სულ რამდენიმე (3-8) განშლა და მისი წაკითხვა არ იწვევს მოსწავლის გადაღლას.
- მისი გამოყენებით წარმართული სასწავლო აქტივობები სახლისა მოსწავლეებისთვის და იწვევს მათ მოტივირებულ წართულობას.

რომ მივუბრუნდეთ ნიგნის გამოყენების საგანმანათლებლო მიზნებს, ცხადია, იგი გამოიყენება დამწყები მკითხველების მიერ კითხვაში განაწილებისთვის. კერძოდ, მთლიანი სიტყვების ამოკითხვის, ასოს ამოცნობის, ფონოლოგიური უნარების განვითარებისთვის. ამ სხვადასხვა სამიზნე უნარს, რასაკვირველია, სხვადასხვაგვარად წარმართული აქტივობა დასჭირდება. მაგალითად, თუკი მიზანი მთლიანი სიტყვების ამო-

კითხვაში განაწილება, მასწავლებელი გამოიყენებს ე.წ. ჩარჩოს, დაადებს შესაბამის სიტყვას და ისე წაკითხვებს მოსწავლეს. ანდა ცალკე ექნება დამზადებული დიდი ნიგნის ტექსტის რამდენიმე სიტყვის ბარათი და აჩვენებს მოსწავლეს, რომლებიც ნიგნში იპოვიან იმ სიტყვას და ამოიცნობენ/ამოიკითხავენ.

ფონოლოგიური უნარების განაწილისა თუ გადამოწმებისთვის მასწავლებელი, ტექსტის სიტყვების გამოყენებით, მოსწავლეს შეასრულებინებს სხვადასხვა სახალისო სავარჯიშოს.

კარგია დიდი ნიგნების გამოყენება ანბანის ათვისების მიზნითაც. შესაძლოა, სამიზნე ასო-ბგერა გამიზნულად იყოს უხვად გამოყენებული ტექსტში და მოსწავლეები ძალაუფლებურად გაამახვილებენ მასზე ყურადღებას...

3. როგორ გამოვიყენოთ ეს რესურსი

მაინც როგორ წარვმართოთ კითხვის აქტივობები მისი გამოყენებით?

- მნიშვნელოვანია, დიდი ნიგნის წაკითხვა დაიწყოთ ყდაზე ინტერაქციით. პირველ რიგში, ყურადღებას ვამახვილებთ სათაურზე. ვსაუბრობთ მის შინაარსობრივ მნიშვნელობაზე, რას გვასხვავებს, რაზე შეიძლება მიუთითებდეს იგი? სათაურის მიხედვით რაზე შეიძლება იყოს ეს ნიგნი? შემდეგ ყურადღებას ვამახვილებთ ყდის ილუსტრაციაზე, რომელიც უნდა აზუსტებდეს სათაურის გზავნილს, უნდა წარმოადგინდეს ნიგნის მთავარ შინაარსს, პერსონაჟს/პერსონაჟებს და სხვ. ყურადღება მახვილდება ავტორზეც, რომელიც, წესით, ყდის ზედა ნაწილში უნდა ეწეროს. უნდა ვისაუბროთ ავტორის შესახებაც, თუ რა იციან მოსწავლეებმა მასზე (ცხადია, ეს უნდა წარმართოს სამიზნე ენაზე და, შესაბამისად, ჩვენ, გარკვეულწილად, შეზღუდულები ვიქნებით მოსწავლეთა ენობრივი მზაობის გამო. თუმცა არ უნდა ავუკრძალოთ მოსწავლეებს მოსაზრებების მშობლიურ ენაზე გამოთქმა, მიუხედავად იმისა, გვესმის თუ არა ეს ენა ჩვენ, მასწავლებლებს).
- შემდეგი ნაბიჯი იქნება ილუსტრაციების გადათვალიერება. ათვალიერებენ თითოეულ ილუსტრაციას და განიხილვენ მათ. აღწერენ, თუ რა შინაარსს გადმოსცემს ეს ილუსტრაცია. გამოთქვამენ ვარაუდს მომდევნო ილუსტრაციის შესახებ. ზოგიერთი მასწავლებელი ამჯობინებს, ილუსტრაციები კი არ დაათვალიერებინოს და შემდეგ წაკითხონ ტექსტი, არამედ თითოეული ილუსტრაციის განხილვის შემდეგ წაკითხონ მისი შესაბამისი ტექსტი და გადავიდნენ მეორე ილუსტრაციაზე, რათა ბოლომდე შენარჩუნდეს ნიგნის შინაარსის ინტრიგა, რაც სასურველია, გააჩნდეს ამ ნიგნებს. ჩვენ შეგვიძლია, ერთი მიდგომა გამოვიყენოთ ერთი ნიგნის წაკითხვისას, ხოლო მეორე ნიგნის წაკითხვისას მეორე მიდგომა მოვსინჯოთ.

- არსებობს დიდი ნიგნების წაკითხვის რამდენიმე გარკვეული მეთოდი/სტრატეგია: 1. აუცილებელი სამოძრაო ნაკითხვა. ამ დროს ბავშვები დამწყები მკითხველები არიან და მასწავლებლის მიერ წაკითხვას გადამწყვეტი როლი აკისრია. თითოეული განშლის ტექსტის ერთი-ორჯერ სამოძრაო წაკითხვა ხელის გაყოლებით მეტად სასარგებლოა. 2. ექოს ტიპის წაკითხვისას ჯერ მასწავლებელი კითხულობს ერთ წინადადებას/სიტყვას, შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ ერთად და ხმამაღლა იმავეს. შესაძლოა, მასწავლებელმა, კითხვის გახალისების მიზნით, მოსწავლეთა გარკვეული საჭიროების გათვალისწინებით, ამ პროცესში შერჩევით ჩართოს მოსწავლეები. მაგალითად, წინა რიგებში მსხდომები, გოგონები, პირველი ჯგუფის ბავშვები, ვისაც შარვალი აცვია და სხვ. 3. ერთობლივად ხმამაღლა წაკითხვა ეფექტურია ამ დროს. მასწავლებელი, მოსწავლეებთან ერთად, ხელის გაყოლებით კითხულობს ხმამაღლა. იგი თავის ხმას ისე მართავს, რომ მოსწავლეების კარგად კითხვისას მინიმუმამდე დაჰყავს საკუთარი ხმის სიმაღლე და პირიქით: როცა გარკვეულ სირთულეებს აწყდებიან, უფრო უმაღლესს ხმას.

- წაკითხვის პარალელურად, რასაკვირველია, აქცენტი კეთდება შინაარსის აღქმაზე, ტექსტის გაგება-გააზრებაზე. ამ პროცესის აზრტულად წარმართვის მიზნით, მასწავლებელი მიმართავს ვარაუდების გამოთქმისა და გადამოწმების სტრატეგიას. სხვაშე შეკითხვებს, ერთი მხრივ, მოსწავლეთა გააზრების გადამოწმების მიზნით, მეორე მხრივ, ამ პროცესის ხელშესაწყობად. რაც მთავარია, ყველა მოსწავლეს უნდა მიეცეს თავისუფლად აზრის გამოთქმის და შეკითხვის დასმის, დასკვნის გაკეთების, მოსაზრების დასაბუთების საშუალება, აგრეთვე: ნიგნზე შეხების, ხელის მოკიდების უფლება.




4. როგორ დავამზადოთ დიდი ნიგნები

დიდი ნიგნების დამზადება შეუძლია ნებისმიერ მასწავლებელს, მით უმეტეს, როდესაც ამ პროცესში სიხარულით ერთვებიან მოსწავლეებიც. შესაძლებელია, მეოთხე კლასის მოსწავლეები ჩავართოთ ისეთი დიდი ნიგნის დასამზადებლად, რომელსაც გამოვიყენებთ პირველ ან მეორეკლასელებთან...

პირველ რიგში, უნდა შევარჩიოთ საინტერესო ამბავი. ამისთვის რამდენიმე გზა გვაქვს: ა) ავიღოთ რომელიმე პოპულარული ზღაპარი და მისი ტექსტი დავიყვანოთ საჭირო კონდიციამდე, ანუ შევამციროთ, ბ) რომელიმე მოთხრობა გადავაკეთოთ, გავადაპტიროთ, გ) ჩვენვე დავწეროთ, დ) ამბავი შევთხზათ სიუჟეტური ბარათების მიხედვით (მაგალითად, შემოთავაზებულ ფოტოებზე).

ტექსტზე მუშაობისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ასპექტები:

- ტექსტი არ უნდა იყოს დიდი ზომის. არსებული ტექსტები უნდა შევამციროთ.
- წინადადებებიც მოკლე და მარტივი უნდა იყოს. გასათვალისწინებელია, რომ ერთ გვერდზე უნდა განთავსდეს ერთი, ორი ან სამი წინადადება. ოთხი წინადადება უკვე ბევრია, კი



არა, სამივე არაა სასურველი, რადგან გადაიტვირთება. ტექსტში უნდა მივძალათ ენაში არსებული ხშირი სიტყვების გამოყენებას. ასეთი სიტყვების ამოკითხვაში განაწილა ერთობ ეხმარება პატარა მკითხველებს თავად ამ ტექსტის წაკითხვაში და, ზოგადად, კითხვის უნარის დახვეწაში. თვალისთვის მიმზიდველი და ადვილად დასამახსოვრებელი გამეორებული შორისდებულების (ვაი! უუუ!..), ხმის გამოხატვითი თანხმოვანთა ერთობების (ფშშშშშ... წკრრრრ...) გამოყენება.

გაფორმებისას აუცილებელია ილუსტრაციების მოფიქრება და დახატვა. ერთ განშლაზე მარცხნივ ილუსტრაცია იქნება, მარჯვნივ ტექსტი (ზოგიერთი მასწავლებელი ზედა ნაწილში ხატავს ილუსტრაციას და ქვემოთ წერს ტექსტს.) არ უნდა დავავიწყდეს ყდის გაფორმებაც: სათაურის ლამაზი, დიდი ასოებით დაწერა, იქვე საკვანძო ილუსტრაციის დახატვა, ავტორის, გამომცემლობისა და გამოცემის წელის დაწერა.

რაც შეეხება ასოების ზომას, როგორც ვნახეთ, ასოები იმდენად დიდი უნდა იყოს, რომ მათი აღქმა თავისუფლად შეიძლებოდეს მოზრდილი საკლასო ოთახის ბოლოდანაც. ეს ასპექტი უნდა გავითვალისწინოთ ილუსტრაციების დახატვის დროსაც, უნდა მოვერიდოთ შეუმჩნეველი დეტალებით მათ გადატვირთვას. ზემოხსენებული რეკომენდაციების გათვალისწინებით შესაძლებელი იქნება მეტად საინტერესო და სასიამოვნო რესურსი დავამზადოთ და გამოვიყენოთ ჩვენი უმცროსი მოსწავლეების კითხვის კომპეტენციის განაწილებისთვის.

ფოტოებზე წარმოდგენილია ჩემ მიერ სიუჟეტური ბარათების (სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათმორისი ურთიერთობის ცენტრის გამოცემა) მიხედვით დამზადებული დიდი ნიგნის – „ცელქი ბურთი“ ფოტოები.



სამოქალაქო გაკვეთილების ნიმუშები

ძარბაზის და ლიტერატურის მანერების განვითარება

გაკვეთილის თემა	„თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა...“
სწავლების საფეხური, კლასი	საბაზო საფეხური მე-9 კლასი
მოსწავლეთა რაოდენობა	29 მოსწავლე
გაკვეთილის დროითი ჩარჩო	1 გაკვეთილი – 45წთ.
გაკვეთილის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები	<p>1. სხვადასხვა ტიპის ტექსტების ურთიერთდაკავშირება და საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა;</p> <p>2. კოგნიტიური უნარებისა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა.</p> <p>გაკვეთილის მსვლელობისას და შედეგად, მოსწავლეები:</p> <ul style="list-style-type: none"> შეძლებენ სხვადასხვა ტიპის ტექსტების ერთმანეთთან დაკავშირებას; გაუმჯობესდება მათი სოციალური, სამოქალაქო და სხვა კომპეტენციები; შეძლებენ მსჯელობას, საკუთარი მოსაზრების გადმოცემას, არგუმენტირებას; გაუმჯობესდება კოგნიტიური უნარები.
ესგ-ით განსაზღვრული მისაღწევი შედეგები და ინდიკატორები	<p>ქართ. IX. 6. მოსწავლეს შეუძლია პრობლემურ ან სადავო საკითხებზე სხვადასხვა თვალსაზრისის შემცველი მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.</p> <p>შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:</p> <ul style="list-style-type: none"> კითხულობს სხვადასხვა სახის მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებს, უკეთ გასაზრებლად ყურადღებას ამახვილებს არა მხოლოდ ზოგად შინაარსზე, არამედ დეტალებსა და მნიშვნელოვან ნიუანსებზეც; ანალიზებს ტექსტში მოცემულ ფაქტობრივ და კონცეპტუალურ ინფორმაციას და გამოაქვს შესაბამისი დასკვნები; უკავშირებს ნაკითხულ ტექსტში გადმოცემულ ან ნაგულისხმევ თვალსაზრისებს ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებს, მხატვრულ და სამეცნიერო-დოკუმენტურ ფილმებს, სპექტაკლებს და სხვ.
გაკვეთილის ჩატარების წინაპირობა	<ul style="list-style-type: none"> მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ უცხო ტექსტებთან მუშაობა; უნდა ფლობდნენ მცირე გუნდებში მუშაობისა და მსჯელობის საწყის უნარებს. ნასწავლი აქვთ შემდეგი ტექსტები: „ბედი ქართლისა“, „ბაში-ჩუკი“, „დიდი იოსები“, „ადამიანი გაზეთის სვეტი“.
მსვლელობა ნაბიჯ-ნაბიჯ (აქტივობები და დრო)	<p>A ფაზა</p> <p>პირველი გაკვეთილი</p> <p>გაკვეთილის მიზნების გაცნობა, სიის ამოკითხვა.</p> <p>პატივმოება I. გამონეგა-ასოციაციური რუკა. მოსწავლეებს ვთხოვთ, ჩამოწერონ დაფაზე, რასთან ასოცირდება მათთვის სიტყვა – ღირებულება. რომელია ამთავან უმთავრესი და რატომ? (სავარაუდოდ, ისინი იტყვიან, რომ ესაა თავისუფლება. თუ ამას ერთბაშად ვერ შეძლებენ, შევეცდებით, გამოვიყენოთ მეთოდით, შეკითხვებით და ა.შ. მივიყვანოთ ამ პასუხამდე).</p> <p>დრო: 5წთ.</p> <p>პატივმოება II. გონებრივი იერიში: განვლილი მასალის გადახედვა-გამეორება</p> <p>დრო: 15წთ.</p> <p>B ფაზა</p> <p>პატივმოება I. შეკითხვა: როგორ ფიქრობთ, თავისუფლებისთვის მხოლოდ ადამიანი იბრძვის თუ ეს ცხოველებსაც ახასიათებთ?</p> <p>უცხო ტექსტის ანალიზი – ბასილი მელიქიშვილის „ქვირინაი“. მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, გამოთქვამენ მოსაზრებებს, მსჯელობენ მწერლის მიზანდასახულობასა და მთავარ სათქმელზე, ტექსტის განწყობასა თუ მხატვრულ მხარეზე.</p> <p>დრო: 15წთ.</p> <p>პატივმოება II. ვუყურებთ ნანყვეტს მულტფილმიდან „სპირიტი“.</p> <p>დრო: 5წთ.</p> <p>ვაანალიზებთ ფრაგმენტს, ვაკავშირებთ ნაკითხულთან (დაფასთან დიაგრამა).</p> <p>დრო: 5წთ.</p> <p>გაკვეთილი მე-2</p> <p>პატივმოება I. გუნდური მუშაობა.</p> <p>გუნდები მუშაობენ განსხვავებულ საკითხებზე.</p> <p>დრო: მუშაობა – 10წთ, პრეზენტაცია – 15წთ.</p> <p>C ფაზა</p> <p>პატივმოება I. ვიმსჯელოთ, შევაჯამოთ!</p> <p>თავისუფლება, ანუ ვაკეთოთ, რაც მოგვსურვება?</p> <p>როგორ გვსმით სიტყვა „თავისუფალი“? (მოგვყავს დოსტოვესკის სიტყვები: „თავისუფლება თავის არშეკავებაში (შეუკავებლობაში) კი არ არის, არამედ საკუთარი თავის ფლობაში“); მოიყვანეთ ცხოვრებისეული მაგალითები თავისუფლების გამოხატვის ან თავისუფლების „დამახინჯებული“ გაგებისა.</p> <p>დრო: 10-12წთ.</p> <p>პატივმოება II. საშინაო დავალება</p> <p>გაცნანი ბლოგზე შემოთავაზებულ მასალებს და დაწერე ერთი თხზულება:</p> <ul style="list-style-type: none"> რა არის თავისუფლება? თავისუფლება – უფლება ყველაფრის? „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა...“ იმსჯელეთ რომელიმე მოაზროვნის ფრაზაზე, რომელიც თავისუფლებას ეხება. <p>დავალება იხილეთ ბლოგზე – http://nino42.blogspot.com/2018/05/blog-post.html (26თ)</p> <p>პატივმოება III. შეფასება</p> <p>განმავითარებელი (სიტყვიერი).</p> <p>ურთიერთშეფასება – მოსწავლეები ამთავრებენ ფრაზას – „დღეს ყველაზე მეტად მომეწონა....., რადგან.....“ (ასახელებენ მოსწავლეს და მოჰყავთ არგუმენტი – რატომ მოეწონათ).</p> <p>დრო: 3-5წთ.</p> <p>პატივმოება IV. თვითშეფასების კითხვარის შევსება</p> <p>დრო: 26წთ.</p>
შეფასება	განმავითარებელი (სიტყვიერი) ურთიერთშეფასება: დღეს ყველაზე მეტად მომეწონა

საკლასო მენეჯმენტი	ფურცლები, კალმები, კომპიუტერი, პროექტორი, სლაიდშოუ, ნანყვეტი ან მაციური ფილმიდან, სამუშაო ფურცლები (შესაბამისი ტექსტითა და დავალებით).
საგანმანათლებლო რესურსები	გაკვეთილის რესურსების შექმნისათვის გამოვიყენე: Google-ის საძიებო სისტემა, youtube.com; blogspot.com; Word; PowerPoint და სხვა. საშინაო დავალება შეუძლიათ ჩაინიშნონ ან მოძებნონ ჩემი ბლოგზე http://nino42.blogspot.com/2018/05/blog-post.html

რეზიუმე

რატომ ისევ გამჭოლი კომპეტენციები და მედიანინიერება? პასუხი მარტივია – იმიტომ, რომ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია სწავლების თანამედროვე გაგებაში. გამჭოლი კომპეტენციების განვითარება ყველაზე რთული და ყოვლისმომცველი პროცესია. ჩემი აზრით, თავის თავში ეს ინტეგრირებასაც გულისხმობს, ნიგინერებასაც და 21-ე საუკუნის უნარებსაც. მაგალითისთვის დღევანდელი გაკვეთილიც გამოდგება. ამ გაკვეთილს თავისუფლად შეიძლება დავარქვათ ინტეგრირებული, რადგან აქ ბუნებრივად მოხდა ისტორიისა და სამოქალაქო განათლების საგანთა ინტეგრირება ქართულთან, ანუ ლიტერატურასთან და მედიატექსტთან, როგორც ამ საუკუნის ნიშანთან თუ განუყოფელ ნაწილთან. ჩემი მთავარი მიზანი ცოდნის გამოლიანება, სხვადასხვა დეტალებით შევსება, საკითხის შიდა პლასტებში ჩაღრმავება და განსხვავებული მოსაზრებების მოსმენა-წარმოჩენა იყო. სწორედ ამას ეწოდება გამჭოლი კომპეტენციების განვითარება, სწორედ ესაა მედიანინიერება, რაც თავისთავად განავითარებს მოსწავლეებში მსჯელობის, ანალიზის, სინთეზის, მოსაზრებების გამოთქმისა თუ შეფასების უნარ-ჩვევებს. ეს უკანასკნელი და უმთავრესია მოაზროვნე, განვითარებული მოქალაქეების ჩამოსაყალიბებლად.

ჩვენ შევისწავლეთ არაერთი ტექსტი (როგორც შარშან, ისე წელს), რომელშიც თავისუფლების იდეა მთავარი ან ერთ-ერთი მთავარი თემა იყო, მაგრამ ეს ტექსტები გაფანტულად ისწავლება, თითქოს მოსწავლეებში წვეთ-წვეთად უნდა დაგროვდეს ეს სულისკვეთება (და მიზანშეწონილად მიმაჩნია, რადგან თავისუფლებას პირდაპირ ვერ ასწავლი, ერთ კი არა, ათ გაკვეთილშიც ვერ ახსნი), მაგრამ გამიჩნდა სურვილი, გამეერთიანებინა ეს ტექსტები, შემეცხო დამატებითი მასალით, ლიტერატურული თუ მედიატექსტებით, უფრო ღრმად ჩავენდომოდი თავისუფლების ცნებას, სიტყვის მნიშვნელობას.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ არაერთი გაკვეთილი მივუძღვევით ადამიანისა და უმაღლესი ღირებულებების გააზრებას, ჩავთვალე, რომ მეცხრაკლასელებს არც ამ ურთულესი საკითხის გააზრება გაუჭირდებოდათ და არ შეემცდარებოდათ.

გაკვეთილის დასაწყისში, გამონეგამ შესაბამისი ფუნქცია შეასრულა და განწყობაც შექმნა. მოსწავლეებმა მშვენივრად გაართვეს თავი დავალებებს – გაიხსენეს ნასწავლი მასალა (როგორც ლიტერატურული, ასევე ისტორიისა და სამოქალაქო განათლების ტექსტები), გაავლეს პარალელები, გამოთქვეს მოსაზრებები, საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო. ინტერესით ნაკითხეს მათთვის უცნობი მწერლის – ბასილ მელიქიშვილის „ქვირინაი“, გააანალიზეს; უყურეს მულტფილმის („სპირიტი“) ნანყვეტს და მინიატურა მედიატექსტს შეადარეს.

მეორე გაკვეთილი კი გუნდური მუშაობით დავინწყეთ. კლასი ექვს მცირე გუნდად დაიყო (რამდენიმე მოსწავლე ვაკლავდა და ამან კიდევ უფრო შეამცირა მოსწავლეთა რაოდენობა გუნდებში). მხოლოდ ერთი იყო ექვსკაციანი (რადგან იგი ორ ქვეგუნდად იყო დაყოფილი. მათ ნიკო ლორთქიფანიძის „მონა“ და აკაკი წერეთლის „ვედრება“ უნდა წაეკითხათ, ჩამოეყალიბებინათ ნაწარმოებების სათქმელი და ერთმანეთისთვისაც შეედარებინათ). თითოეულ ჯგუფს მიცემული ჰქონდა ინდივიდუალური დავალება, რომელიც ითვალისწინებდა (ახალი ტექსტის გაცნობის საფუძველზე) ანალიზისა და სინთეზის უნარების განვითარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა უმეტესობა აქტიურობდა, რამდენიმე მოსწავლე მაინც პასიურად მეჩვენა გონებრივი იერიშის დროს, თუმცა ეს არ გამკვირვებია, რადგან ეს კონკრეტული გოგონები, საერთოდ, ძალიან მოკრძალებულები არიან და არ უყვართ თავის წარმოჩენა, თუმცა კარგი აკადემიური მოსწავლეები აქვთ და მუდამ მომზადებულები არიან. ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს, მეტ-ნაკლებად, მათი ბუნებაა და ამის ხელოვნურად შეცვლა შეუძლებელია, თუმცა რიგი აქტივობები სწორედ იმას უნდა ემსახურებოდეს, რომ ასეთმა მოსწავლეებმა საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა შეძლონ. სწორედ ამიტომ დავყავი კლასი მცირე გუნდებად და მართლაც, იმ მოსწავლეებმა, რომლებიც პასიურობდნენ, ახლა ლიდერის ფუნქციაც კი იტვირთეს. ამდენად, ვფიქრობ, მათი გააქტიურება ნამდვილად შეეძლო.

გუნდური სამუშაოს შემდეგ, მოსწავლეებს საშუალება მიეცათ, შეეჯამებინათ საკითხი, შეეფასებინათ ერთმანეთი და საკუთარი თავი, რასაც, ვფიქრობ, დიდი დატვირთვა აქვს. პირველ რიგში იმიტომ, რომ მოსწავლეები შეთავაზებული „წარჩოთ“ გამოხატავენ დადებით დამოკიდებულებას ერთმანეთის მიმართ. მასწავლებელმა მათ უნდა მიუთითოს ხარვეზებზე და უნდა ასწავლოს მათი დაძლევის გზა, მაგრამ ურთიერთშეფასებისას დადებით მომენტებზე აქცენტირება ნამახალისებელიცაა და ასწავლის მოზარდებს, დაინახონ და დააფასონ სხვაში ღირსებები. რაც შეეხება თვითშეფასებას, აქ უკვე მოსწავლე საკუთარ თავთან მარტო რჩება. მან იცის, რომ ინკოგნიტოდ ავსებს კითხვარს, რაც მას უბიძგებს, ობიექტურად შეაფასოს საკუთარი თავი და სამომავლოდ გამოასწოროს ის, რაც ამჯერად არ გამოუვიდა.

გაკვეთილზე გამოვიყენე სლაიდშოუ. მას არ ჰქონდა ინფორმაციული ხასიათი, უბრალოდ, ის ხან დაფის მაგივრობას მიწევდა (მაგ.: როცა გაკვეთილის მიზნები უნდა გავაცნო მოსწავლეებს), ხანაც მეხმარებოდა, მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრირებაში (რადგან ეკრანზე ჩნდებოდა ის ძირითადი შეკითხვები, რისი დასმაც საჭიროდ მივიჩინე). მოკლედ რომ ვთქვათ, სლაიდშოუ დინამიკურობას უწყობდა ხელს.

მოსწავლეთა თვითშეფასებები ცხადყოფს, თუ როგორი კრიტიკული არიან ისინი საკუთარი თავის მიმართ, რაც განვითარების საწინდარია.

ეტაპების მიხედვით თუ განვიხილავთ გაკვეთილს, უნდა ითქვას, რომ ყველაფერი გემის მიხედვით წარმართა და არანაირი ცვლილების შეტანა არ გახდა საჭირო.

რაც შეეხება გაკვეთილის უარყოფით მხარეს, მომეჩვენა, რომ მასალების მრავალფეროვნების მიუხედავად, ბავშვები ცოტად დაიღალნენ. ეს არ შეტყობია მათ ინტერესს, ჩართულობას და გაკვეთილის დინამიკა არ შენელებულა, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ საჩვენებელი გაკვეთილი მათთვის ერთგვარი გამოწვევაა და ნახალისებაც, რადგან ყოველთვის დადებითად ხვდებიან ამ წინადადებას, მაგრამ მაინც ახლავს ამას დამატებითი ემოციები და ალბათ უმჯობესია, სამოდლო გაკვეთილი 45 წუთით შემოიფარგლებოდეს.


ვერ ვიტყვი, რომ ამაზე არ მიფიქრია წინასწარ, მაგრამ საკითხში ჩაღრმავებისთვის, ვფიქრობ, სრული ორი გაკვეთილი მჭირდებოდა და ბავშვების სიტყვიერი შეფასებები წამახალისებელი აღმოჩნდა ჩემთვის. მათი კმაყოფილება ხომ ყველაფერზე მეტია.

გარდა ამისა, მოსწავლეთა რეფლექსიების გაცნობის შემდეგ დავრწმუნდი, რომ გაკვეთილი მართლაც წარმატებული იყო, რადგან ბავშვებს საინტერესოდ მოეჩვენათ მასალები და აღნიშნეს, რომ სამკაცრიან გუნდებში მუშაობას მეტი ეფექტი ჰქონდა.

ნინო ნასყიდაშვილი
 აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის
 თბილისის №42 საჯარო სკოლის
 ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი,
 ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ჯგუფური მუშაობის რუბრიკა

კრიტერიუმები	დაბალი	საშუალო	მაღალი
ჯგუფის მიერ სამუშაოს მიზნის გაგება-გააზრება	ჯგუფმა სამუშაო მიზანი კარგად ვერ გააცნობიერა.	ჯგუფმა სამუშაო მიზანი ნაწილობრივ გააცნობიერა.	ჯგუფმა სამუშაო მიზანი სრულყოფილად გააცნობიერა.
ჯგუფის მიერ სამუშაოს ორგანიზება	სამუშაო არ იყო ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა.	სამუშაო ნაწილობრივ იყო ორგანიზებული და ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები არათანაბრად გადანაწილდა.	სამუშაო კარგად იყო ორგანიზებული, ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციები სწორად და თანაბრად გადანაწილდა.
თანამშრომლობა	ჯგუფის წევრები არ აქტიურობდნენ, მათ შორის არ შეინიშნებოდა თანამშრომლობითი გარემო.	მხოლოდ ერთი-ორი მოსწავლე აქტიურობდა. ჯგუფის აქტიურ და პასიურ წევრებს შორის ზოგჯერ ურთიერთობები იძაბებოდა.	ჯგუფის ყველა წევრი იყო აქტიური, მათ შორის იყო პოზიტიური და საქმიანი ურთიერთობები.
დროის ლიმიტი	ვერ იცავდნენ დროის ლიმიტს.	უჭირთ დროის ლიმიტის დაცვა.	საუკეთესოდ იცავენ დროის ლიმიტს.



თანამშრომლობის ტიპი და ვითარება კლასში მისი მნიშვნელობის სხვაობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა

„მე და საზოგადოების“ ინტეგრაცია მათემატიკასთან

როგორც ვიცით, საგნის „მე და საზოგადოება“ სწავლება 2018-2019 სასწავლო წელს დაიწყო სკოლებში. საგანი რომ ცალკე არ აღვიქვამთ და მოსწავლეებს საგნის მიმართ დადებითი მოლოდინები შევუქმნათ, უნდა მოვახდინოთ მისი ინტეგრაცია სხვადასხვა საგანთან. შესასწავლ თემებს თუ გადავხედავთ, მისი ინტეგრაცია ნებისმიერ საგანთან შეიძლება, თუმცა, მე პირადად, მინდა გავიზიაროთ ჩემი გამოცდილება თუ როგორ დავაკავშირე „მე და საზოგადოება“ და მათემატიკა. ვფიქრობ, კოლეგებისთვის საინტერესო იქნება ჩემ მიერ დაგეგმილი ინტეგრირებული გაკვეთილი, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საგნის „მე და საზოგადოება“ არეალი ძალიან ფართოა. ამავე დროს, ჩემი მიზანია, მოსწავლეები კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ მათემატიკის ყოველდღიურობასთან კავშირში.

სამოქმედო გეგმის მიზანი

მასწავლებლის სახელი გვარს: ელენე ჯელაძე/ნონა მაისურაძე
 საგანი: მე და საზოგადოება/მათემატიკა
 სწავლების საფეხური/კლასი: მე-3 კლასი
 მოსწავლეთა რაოდენობა: 29 მოსწავლე
 გაკვეთილის თემა: სიკეთის გაკვეთილი
 გაკვეთილის ტიპი: ინტეგრირებული
 გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ:

- ✓ გააცნობიეროს რატომ არის მნიშვნელოვანი სიკეთის კეთება და თანადგომა.
- ✓ გააცნობიეროს საკუთარი პასუხისმგებლობა გარემომყოფების მიმართ.
- ✓ გაივარჯიშოს შემოქმედებითი უნარი, ფაქტები დაუკავშიროს ცხოვრებისეულ მოვლენებს;
- ✓ შეძლოს თანამშრომლობა თანატოლებთან და საგანთან ინტეგრაცია, მათემატიკაში შესწავლილი კონკრეტული საკითხების, ალტერნატიული გზებისა და ხერხების მოშველიება მე და საზოგადოების გაკვეთილზე.

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)
1	აქტივობა 1. საორგანიზაციო საკითხები გაკვეთილის მიზნისა და შეფასების პრინციპების გაცნობა. აქტივობის მიზანი: მოსწავლეთა მობილური გაკვეთილისთვის. მათთვის სწავლების ხელშეწყობის გარემოს უზრუნველყოფა, რაც უკავშირდება საკითხზე ფოკუსირებას და ყურადღების კონცენტრირებას. აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას, მიზანს; ესაუბრება, რა მეთოდებსა და რესურსებს გამოიყენებს მიზნის მისაღწევად და რა შედეგს ელის გაკვეთილის ბოლოს; აცნობს შეფასების რუბრიკებს.	ვერბალური მეთოდი	საერთო საკლასო	ფლიპჩარტზე გამზადებული თემა/მიზნები, შეფასების რუბრიკა (თვალსაჩინოებისთვის)	3წთ
2	აქტივობა 2. პროვოცირება/გამოწვევა ვიდეორგოლის ჩვენება „სიკეთის ბუმერანგი“ https://www.youtube.com/watch?v=nwAYpLVveFU აქტივობის მიზანი: წინასწარ გაკვეთილს განწყობის შექმნა, რაც უკავშირდება მოტივაციის ზრდას და საგანგებო მზაობას, ასევე ლოგიკური კავშირის დამყარებას მთავარ თემასთან. აღწერა: საგნის „მე და საზოგადოება“ მასწავლებელს მომზადებული აქვს პროექტორი და მოძიებული აქვს ვიდეო, რომელსაც ნახავენ ბავშვები და გამოთქვამენ თავიანთ ემოციას ნაწახის ირგვლივ.	ელექტრონული მეთოდი	საერთო საკლასო	პროექტორი, ეკრანი	7წთ
3	აქტივობა 3. ვიდეორგოლის გააზრება აქტივობის მიზანი: ვარაუდების გამოთქმა. მოსწავლე შეჯერდეს მენეჯერსთან და საერთო აზრი ჩამოაყალიბონ. ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდია იმისთვის, რომ მოსწავლეს გამოუმუშავდეს კომუნიკაციის, თანამშრომლობის უნარ-ჩვევები. მეთოდი სამსაფეხურიანია და თითოეულ საფეხურზე კონკრეტულად არის განსაზღვრული მოსწავლეთა საქმიანობა: I. დაფიქრდი – მოსწავლეები ინდივიდუალურად ფიქრობენ დასმულ კითხვაზე; II. დაწყვილდი – მოსწავლეები წყვილებში და განიხილავენ მოფიქრებულ საკითხს; III. გაუზიარე – მოსწავლეები კლასს უზიარებენ წყვილებში განხილულ საკითხს.	დაფიქრდი-დანწყვილდი-გაუზიარე	წყვილში მუშაობა	გრაფიკული მარგანიზებული ასოციაციური რუკა	6წთ

აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეებს აწყვეტს შემთხვევითობის პრინციპით, სთხოვს შეჯერდნენ და უპასუხოთ კითხვას: რა არის სიკეთე?					
4	აქტივობა 4. თემის შეჯამება. საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება და ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან დაკავშირება. აქტივობის მიზანი: სწავლების ამ აქტიური მეთოდით, მასწავლებელს შეუძლია, თამაშით და ხალისით, შესთავაზოს ბავშვებს სასწავლო ამოცანა. მოსწავლეები ბუნებრივად, სტრესის გარეშე, ეუფლებიან ცოდნას, განაზოგადებენ და სისტემატიზაციას უკეთებენ დიდი მოცულობის სამუშაოს. ეს ხელს უწყობს მაქსიმალურ ჩართულობას და მოტივირებას. აღწერა: საგნის „მე და საზოგადოება“ მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს თაბახის ფურცლებს, სადაც მოცემულია ფრაზა – <i>მე კეთილი ვარ იმიტომ, რომ...</i> აძლევს მკაფიო ინსტრუქციას, გაიხსენონ რაიმე ფაქტი, რაც დაეხმარებათ დაასრულოთ წინადადება, შემდეგ დაჭმუჭნონ ფურცელი და დაამსგავსონ თოვლის გუნდას. როცა ყველა გაამზადებს, დაელოდებიან მასწავლებლის მითითებას და, ერთდროულად, იწყება გუნდაობა. მოსწავლე ირჩევს თანაკლასელს და ესვრის გუნდას. ბავშვები ხსნიან გუნდას და კითხულობენ მეგობრის მიერ დასრულებულ წინადადებას. მასწავლებელი აჯამებს აქტივობას კითხვით – რა ყოფილა სიკეთე?				5წთ
5	აქტივობა 5. საგანთაშორის ინტეგრაცია ავაგოთ სიკეთის სახეები აქტივობის მიზანი: გაიზიარონ სიკეთის მნიშვნელობა, შეძლონ შექმნან სახლი, რომელიც ემსახურება სიკეთეს. დაამყარონ საგანთაშორისი ინტეგრაცია, მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ დაინახონ მათემატიკის როლი ყოველდღიურ ცხოვრებაში. აღწერა: მოსწავლეები დაჯგუფდებიან ერთი ფერის ბარათების მიხედვით. დაფაზე მასწავლებელი წერს სიტყვებს: სიყვარული, სიბოლო, დავა, ერთგულება, ჩაგრა, ურთიერთპატივისცემა, ძალადობა, სიკეთე და ა.შ. მათემატიკის პედაგოგი ეკითხება მოსწავლეებს: • თქვენი აზრით, რომელ საგანში ნასწავლი მასალა დაგვეხმარება სახლის აგებაში? (ხელოვნება, მათემატიკა) • რა გვჭირდება იმისთვის, რომ სახლი ავაშენოთ? (სავარაუდო პასუხი: აგური, ცემენტი, სახურავი, ბლოკი...) მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ფერად-ფერად ფურცლებზე ამობეჭდილ სივრცული ფიგურის შლილებს და სთხოვს, ააგონ სივრცული ფიგურები. მიღებული ფიგურები გამოიყენონ აგურებად, ამოირჩიონ დაფაზე მოცემული სიტყვებიდან ისეთი სიტყვები, რომელიც სიკეთის სახლის მშენებლობისთვის გამოგვადგება, დაანერონ თითოეულ აგურზე და ააგონ სახლები.	სწავლა კეთებით	ჯგუფური მუშაობა	სივრცული ფიგურის შლილები, მაკრატელი, ნემო, ქალაქის სკოჩი	15წთ
6	აქტივობა 6. გაკვეთილის შეჯამება-პრეზენტაცია აქტივობის მიზანი: განუვითარდეთ პრეზენტაციის და არგუმენტირებულად მსჯელობის უნარი. აღწერა: ჯგუფმა წარმოადგინოს ნამუშევარი და შეაფასონ თავიანთი ჯგუფის გადაწყვეტილება. სახლის მშენებლობისას, როგორი წარწერები გამოიყენეს აგურებზე და რატომ? რაში გამოიყენეს მომავალში ამ გაკვეთილზე მიღებულ ცოდნას?	კითხვა-პასუხის მეთოდი	საერთო საკლასო	რესურსი: ფორმატზე გამზადებული კითხვები	9წთ

გაკვეთილის ზოლოს მისაღწევი შედეგები:

სტანდარტი:

მიმართულება: პიროვნული განვითარება

საზ. მეც. დაწყ. (I). 2 საკუთარი თავისა და სხვა ადამიანების მიმართ ზრუნვა-პატივისცემის გამოვლენა.

მიმართულება: სოციალურ-კულტურული განვითარება, მოქალაქეობა და უსაფრთხოება

საზ. მეც. დაწყ. (I). 10. მოსწავლემ უნდა შეძლოს ღირებულებების (მაგ.: ეთიკური ქცევის ნორმების დაცვა, სამართლიანობა, პასუხისმგებლობა, კულტურული მრავალფეროვნების გააზრება და დაფასება) ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება.

საზ. მეც. დაწყ. (I). 13. მოსწავლემ უნდა შეძლოს ბავშვის უფლებებისა და მოვალეობების, ასევე ოჯახისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გაცნობიერება.

მიმართულება: გეომეტრია და სივრცის აღქმა

მათ. III. 8. მოსწავლეს შეუძლია გეომეტრიული ფიგურის ამოცნობა და აღწერა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლემ:

- ამოიცნობს სივრცულ გეომეტრიულ ფიგურებს არქიტექტურისა და ხელოვნების ნიმუშებში ან მათ ილუსტრაციებში, ყოფითი და-ნიშნულების საგნებში ან ფიგურათა მოდელის გროვში;
• განასხვავებს ფიგურის ელემენტებს და იყენებს გეომეტრიულ ტერმინებს მათი დასახელებისას (მაგალითად: წვერო, წახნაგი, ნიბო).

შეფასება: განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

Table with 4 columns: კრიტერიუმები, ყოველთვის, ხშირად, საჭიროებს დახმარებას. Rows describe criteria for geometry and social skills.

ელენე ჯეორგი

სსიპ ქალაქ თბილისის №147 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის წამყვანი პედაგოგი

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა (დაწყებითი საფეხური) 2018-2024;
2. ვიზუალური სქემები და გრაფიკული ორგანიზატორები კითხვისა და წერის სწავლებისთვის, დაწყებით საფეხურზე - kargiskola.ge;
3. მასწავლებლის საქმიანობის დანების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი, II ნაწილი.

პრობლემაზე ორიენტირებული სამოძრაო გაკვეთილის გეგმა მათემატიკაში

მასწავლებლის სახელი, გვარი: ნანა ცინცაძე.

საგანი: მათემატიკა

სწავლების საფეხური/კლასი: I საფეხური, მე-5 კლასი

მოსწავლეთა რაოდენობა: 20

გაკვეთილის ტიპი: პრობლემაზე ორიენტირებული

გაკვეთილის თემა: წილადების შედარება და დალაგება.

გაკვეთილის მიზანი:

მოსწავლე შეძლებს:

- წილადების შეფასებას და შედარებას, სხვადასხვა ეფექტური სტრატეგიის გამოყენებით;
• მიღებული ცოდნით პრაქტიკული ამოცანების ამოსხნას, ნაკლები ძალისხმევით.

Table with 6 columns: №, აქტივობის აღწერა, გამოყენებული მეთოდები, კლასის ორგანიზების ფორმები, სასწავლო რესურსები, დრო (წთ).

Table with 5 columns: აქტივობის აღწერა, თანამშრომლობითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, კომპიუტერი, პრაქტიკული მუშაობა, დრო.

Table with 5 columns: No., Description, Subject, Teacher, and Date. Contains 13 rows of educational records.

ესგ-ით განსაზღვრული გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები: მათ.V.2. კითხულობს, გამოსახავს, აფასებს, ადარებს და აღვსებს წილადებს.

ისტორია

სამოძრაო საშუალებების გზაზე ისტორიაში

Table with 2 columns: Information and Details. Contains details about the subject 'History of Transport in History'.

შეფასება

Table with 5 columns: Criteria, Description, Evaluation, Quality, and Remarks. Used for student assessment.

რეზიუმე

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება არის სწავლა-სწავლების მეთოდი, რომელიც ეფუძნება პრობლემას, როგორც ახალი ცოდნის შექმნისა და მისი ინტეგრირების პრინციპს.

ნაწილი

ნიკო მარის სახელობის ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლის მათემატიკის ნაწყვეტი პედაგოგი

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა;
2. საქართველოს დანაშაულები განათლების პროექტის ტრენინგის მასალები;
3. სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის „განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“, მ. ხუნძაყიშვილი.

დაკვირვების ფურცელი ჯგუფური მუშაობისთვის

Table with 4 columns: Group, Start/End, Observations, and Remarks. Used for group work observations.

მიზნის შესაბამისი კრიტერიუმები

Table with 4 columns: Criterion, Achievement, Assessment, and Remarks. Used for criterion-based assessment.

სასწავლო მასალა და რესურსები:

- უახლესი ისტორია, მე-12 კლასი, ავტ.: გ. აბდლაძე, ნ. კვიციანიშვილი, ბ. კუპატაძე, ქ. ჯანუაშვილი;
• კოლაუ ნადირაძის ლექსი „1921 წლის 25 თებერვალი“;
• სიმღერა „გაჩუქეთ ერთმანეთს ტიტები“ (ტექსტი - მ. ფოცხიშვილის, მუსიკა - ჯ. სეფიაშვილის);
• თემატური რუკები;
• მოსწავლეთა მიერ შექმნილი თემატური ნახატები;
• თემატური სურათები, ლინკები მოცემულ დროზე - 28.03.2019;

https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/3/3d/DRG_act_of_independence_1918.JPG

<http://georgianencyclopedia.ge/images/c/c4/Georgia-flag.jpghttp://georgianencyclopedia.ge/images/c/c4/Georgia-flag.jpg>

<https://cdn2.ipn.ge/media/uploads/2019/01-10/drosha.jpg>

<https://burusi.wordpress.com/2009/09/11/kolau-nadiradze/>

<https://burusi.files.wordpress.com/2009/07/e18399e1839de183afe183a0e18398e183a1-e183a2e183a7e18394e183a8e18398-e18393e18390e183ace1839de183aae18398e1839ae18394e18391e18398.jpg>

<http://vestnikkavkaza.net/upload2/files/2010/Apr/9-aprelya-1989-goda-v-Gruzii-konfliktogennyi-aspekt10.jpghttp://vestnikkavkaza.net/upload2/files/2010/Apr/9-aprelya-1989-goda-v-Gruzii-konfliktogennyi-aspekt10.jpg>

https://jam-news.net/wp-content/uploads/2017/04/9_aprili2.jpg

<https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/thumb/2/29/April9victims.jpg/250px-April9victims.jpg>

<http://experti.ge/aprili-9-kvavilebi.jpg>

<http://cyc.ge/wp-content/uploads/2018/03/31-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98-640x381.jpg>

<http://ai-ia.info/online-arqivi/fotoebi/damoukideblobisaqti1991.jpghttp://ai-ia.info/online-arqivi/fotoebi/damoukideblobisaqti1991.jpg>

<http://ghn.ge/img/uploads/files/news/2017-03/1490938282.jpg>

http://kvira.ge/wp-content/uploads/2018/05/33937564_1875225785833239_1417531501955776512_n.jpg

http://2.bp.blogspot.com/-9UuT9dmE8cI/UCJ7GQz4OAI/AAAAAAAAACrQ/qbHY0ApGao/s1600/973_pg.jpg

https://reginfo.ge/media/k2/items/cache/9d420ea9134f51f1b7d6e409defa19a0_XL.jpg?t=1499976935https://reginfo.ge/media/k2/items/cache/9d420ea9134f51f1b7d6e409defa19a0_XL.jpg?t=1499976935

http://3.bp.blogspot.com/-PrVIXV_qdDw/URBpXfjRaI/AAAAAAAAAt0/bCjWd3GN3xi/s1600/1378300_615680321816783_182941781_n.jpg

<https://cdn.1tv.ge/app/uploads/2018/01/Heritage-1517285475-e1517285491427.gif>

<http://amigo.ge/saunjegallery/albums/userpics/10001/saqrtavelo-1.jpg>

https://cdn-images-1.medium.com/max/1600/1*cLSxT5AwMI_-LOGfEXCFw.jpeg

აპტივობა №1. ვაკვეთილის თემის, მიზნისა და შეფასების კრიტერიუმების გაცნობა
აქტივობის აღწერა: კლასს ვაცნობ ვაკვეთილის თემის, მიზანსა და შეფასების კრიტერიუმებს.

აქტივობის მიზანი: ყურადღების კონცენტრაცია საგაკვეთილო თემისა და მიზნის ირგვლივ.
აქტივობის შედეგი: მოსწავლეები ორიენტაციას იღებენ მიზანზე და აკეთებენ მიზნის შესაბამის დასკვნებს.

კლასის ორგანიზების ფორმა: საერთო საკლასო
დროის მენეჯმენტი: 15თ

აპტივობა №2. ერთი ფოტოს ისტორია

აქტივობის აღწერა: კლასს წარვუდგენ 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის სურათს და მათ უნდა განსაზღვრონ, რა შინაარსის მატარებელია ეს ფოტო და რა მნიშვნელობა ექნებოდა მას ქართველი ხალხის ისტორიაში. მოსწავლეთა ნაზრების მოსმენის შემდეგ, მათ მოსაზრებებს გაავამყარებთ იმ კონკრეტული მუხლებით, რომელიც წარმოდგენილი ფოტოს შინაარსობრივი მხარეა. მოსწავლეები კითხულობენ დამოუკიდებლობის აქტის მუხლებს და კიდევ ერთხელ აკეთებენ დასკვნას ამ პროცესის მნიშვნელობაზე ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

აქტივობის მიზანი: მოსწავლეები შეეცდებიან, კონკრეტულ ფოტოსა და დამოუკიდებლობის აქტის მუხლებზე დაყრდნობით, გააკეთონ დასკვნები ქართველი ხალხის არჩევანზე – დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის პრეცედენტზე.

აქტივობის შედეგი: კონკრეტულ სურათსა და დამოუკიდებლობის აქტის კონკრეტულ მუხლებზე დაყრდნობით, მოსწავლეები, სათანადოდ აფასებენ 1918 წლის 26 მაისს შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მნიშვნელობას.

კლასის ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური
დროის მენეჯმენტი: 35თ.

აპტივობა №3. ერთი ლექსის ისტორია

აქტივობის აღწერა: მოსწავლეებს ვეკითხები, ხომ არ იციან კოლაუ ნადირაძის ლექსი „1921 წლის 25 თებერვალი“. თუ იციან, ვთხოვ, წაიკითხონ, ხოლო თუ არ იციან, მე თვითონ წარვუდგენ ამ ლექსს p.p-ის პრეზენტაციით, რომელსაც კითხულობს მარიამ ტყემლაშვილი. ლექსის წაკითხვამდე, მოსწავლეებს ვაძლევ ინსტრუქციას, ამ ლექსიდან გამოვძინარე, მათ უნდა გააკეთონ დასკვნა, თუ რა ფაქტზეა საუბარი, რომელი ფრაზები გამოხატავენ ყველაზე კარგად ადამიანთა განცდას და, ზოგადად, რა იდეის მატარებელია ამ ლექსის თითოეული სტროფი, როგორი იყო საგარეო თუ საშინაო ფაქტორების გავლენა ამ პროცესზე.

აქტივობის მიზანი: მოსწავლეები შეეცდებიან, კონკრეტულ ლექსზე დაყრდნობით, ამოიცნონ შესაბამისი ფაქტი/მოვლენა, გააკეთონ დასკვნები ქართველი ერის განცდაზე და, ზოგადად, საგარეო თუ საშინაო ფაქტორების გავლენის შესახებ ქართულ სახელმწიფოზე.

აქტივობის შედეგი: კოლაუ ნადირაძის ლექსზე დაყრდნობით, ამოიცნობენ ფაქტს, რომელსაც მიუძღვნა ეს ლექსი, ამოიცნობენ ქართველი ერის განცდას-მწუხარებას, რადგან რუსეთის მიერ განხორციელდა საქართველოს ინტერვენცია, ოკუპაცია, ანექსია, ანუ გააკეთებენ შესაბამის დასკვნებს საგარეო თუ საშინაო ფაქტორების გავლენის შესახებ, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვაზე.

კლასის ორგანიზების ფორმა: ჯგუფური
დროის მენეჯმენტი: 55თ.

აპტივობა №4. ერთი სიმღერის ისტორია

აქტივობის აღწერა: სიმღერის „ვარუჟოთ ერთმანეთს ტიტები“ მოსმენისას, მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რა განცდა იკვეთება ამ სიმღერაში და რა კონკრეტულ ფაქტზე შეიძლება დაწერილიყო. პასუხების შემდეგ, ვაჩვენებ 9 აპრილის ტრაგედიის სურათებს. ამ რესურსებზე დაყრდნობით, მათ უნდა განსაზღვრონ ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის განცდა, კიდევ ერთხელ გააკეთონ სათანადო დასკვნები ამ პროცესზე საგარეო ფაქტორების გავლენასთან დაკავშირებით.

აქტივობის მიზანი: კონკრეტულ სიმღერასა და ფოტოებზე დაყრდნობით, მოსწავლეები შეძლებენ გააცნობიერონ საგარეო ფაქტორების გავლენა ქართულ სახელმწიფოზე.

აქტივობის შედეგი: რუსეთის მიერ ქართული სახელმწიფოს მიმართ უარყოფითი/სასტიკი დამოკიდებულების, ასევე, ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის განცდის გაცნობიერება.

კლასის ორგანიზების ფორმა: ჯგუფური
დროის მენეჯმენტი: 75თ.

აპტივობა №5. ერთი წერილის ისტორია

აქტივობის აღწერა: კლასს წარვუდგენ 13 წლის ხატია გუდუმაძის წერილს, რომელიც 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით დაწერა: „მე, ეროვნებით, სისხლით და ხორციტ ქართველს, რუსული სკოლის მოსწავლეს, ეროვნული თვითშეგნების ასე მძლავრმა გამოვლიცებამ თითქოს უნებურად დაკარგული სამშობლო დამიბრუნა. რა ძნელი, რა ტკივილიანი, მაგრამ, ამავე დროს, რა დიდი ბედნიერების მომგვრელი ყოფილა იმის შეგნება, რომ შენ საქართველოს ღვიძლი შვილი ხარ, მისი არსებობის, მისი მარადისობის თუნდაც ერთი უმცირესი, მაგრამ განუყოფელი ნაწილი. ღრმად მწამს ჩემი სამშობლოს ნათელი ხვალისდელი დღისა“.

აქტივობის მიზანი: მოსწავლეები შეძლებენ იმ განწყობის გაცნობიერებას, რომელიც აპრილის მძიმე დღეებში, საზოგადოებაზე, ყველა ასაკის ადამიანში, ერთგვარონად აისახა და იმჯგულებენ იმ შედეგზე, რომელიც ხალხის ერთიანობამ, შეხედულებებმა (საშინაო ფაქტორი) შეიძლება მოიტანოს სამომავლოდ.

აქტივობის შედეგი: თანატოლის წერილის საფუძველზე, აკეთებენ სათანადო დასკვნებს აპრილის დღეებში დატრიალებული ტრაგედიის შედეგად საზოგადოებაში ჩამოყალიბებული განწყობის შესახებ. დაასკვნა, რომ მყარი საშინაო ფაქტორი, ორიენტირებული დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე, განაპირობებს იმედიან ხვალისდელ დღეს.

კლასის ორგანიზების ფორმა: ჯგუფური
დროის მენეჯმენტი: 45თ.

აპტივობა №6. ერთი სარეფერენდუმო ბიულეტენის ისტორია

აქტივობის აღწერა: არჩევნების მოდელირება – მოსწავლეებს ვურიგებ სარეფერენდუმო ბიულეტენებს (1991 წლის 31 მარტის ბიულეტენის მსგავსად),სადაც დასმულია კითხვა: გასურთ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა? (პასუხები – დიახ/არა) და უნდა დააფიქსირონ პასუხი (შემოხაზონ მათთვის სასურველი პასუხი). ხმებს დავითვლით და შედეგებს გამოვაცხადებთ. შემდეგ მოსწავლეებს წარვუდგენ 1991 წლის 31 მარტის სარეფერენდუმო ბიულეტენის სურათს და გავაცნობ შედეგს – 97%-იანი მხარდაჭერით, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას. მოსწავლეებმა უნდა დააფიქსირონ პასუხი კითხვაზე, თუ რას ნიშნავს მათთვის ქვეყნის დამოუკიდებლობა და რომელმა ფაქტორმა (საგარეო/საშინაო) განაპირობა ქართველი ერის არჩევანის წარმატებით განხორციელება.

აქტივობის მიზანი: მოსწავლეები შეძლებენ გააცნობიერონ საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობის არსი და ამ პროცესში საგარეო თუ საშინაო ფაქტორების როლი.

აქტივობის შედეგი: არჩევნების მოდელირებითა და რეალური რეფერენდუმის საფუძველზე, მოსწავლეები აცნობიერებენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის არსს და უყალიბდებთ საკუთარი აზრი ამ საკითხთან მიმართებაში.

კლასის ორგანიზების ფორმა: ჯგუფური
დროის მენეჯმენტი: 95თ.

აპტივობა №7. ერთ თემაზე შექმნილი ერთი ფოტოსა და ერთი ნახატის ისტორია

აქტივობის აღწერა: კლასს წარვუდგენ 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტისა და ამ აქტის ინიციატორის – საქართველოს პირველი პრეზიდენტის სურათებს. მათ უნდა შეაფასონ პრეზიდენტისა და ხალხის ეს გადანწყვეტილება. ამის შემდეგ თემატურ ნახატებს წარმოადგენენ თავად ავტორები (ამ კლასის მოსწავლეები), შინაარსობრივი განხილვით, რომელიც კვირულის „აპრილიდან 9 აპრილამდე“ ფარგლებში მომზადდა.

აქტივობის მიზანი: კონკრეტულ რესურსებზე დაყრდნობით, ეცდებიან შეაფასონ საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და ქართველი ხალხის გადანწყვეტილება (საშინაო ფაქტორი).

აქტივობის შედეგი: მოსწავლეები კიდევ ერთხელ შეაფასებენ საქართველოს 1991 წლის 9 აპრილის არჩევანს – დამოუკიდებლობას და განუმტკიცდებთ/ჩამოუყალიბდებთ დადებითი ემოცია/განწყობა ქვეყნის დამოუკიდებლობისადმი (საშინაო ფაქტორი).

კლასის ორგანიზების ფორმა: ჯგუფური
დროის მენეჯმენტი: 55თ.

აპტივობა №8. ერთი რუკის ისტორია

აქტივობის აღწერა: მოსწავლეებს წარვუდგენ საქართველოს რუკას, სადაც აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი სხვა ფერითაა გამოყოფილი. მათ უნდა გააანალიზონ რუკა – განსაზღვრონ სხვა სახელმწიფოს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის შედეგი.

აქტივობის მიზანი: მოსწავლეები შეძლებენ განსაზღვრონ და შეაფასონ საგარეო ფაქტორების გავლენა ქართული სახელმწიფოს ერთიანობაზე/ განვითარებაზე.

აქტივობის შედეგი: განსაზღვრავენ რუსეთის სახელმწიფოს გავლენას ქართულ სახელმწიფოზე და შეაფასებენ ამ პროცესს.

კლასის ორგანიზების ფორმა: ჯგუფური
დროის მენეჯმენტი: 35თ.

აპტივობა №9. ისევ ფოტოების ისტორია

აქტივობის აღწერა: ვუჩვენებ 2008 წლის აგვისტოს ომისა და „მცოცავი ოკუპაციის“ ამსახველ სურათებს. მათ უნდა წაიკითხონ ფოტოები და განმარტონ, შეიცვალა თუ არა რუსეთის განწყობა საქართველოს მიმართ.

აქტივობის მიზანი: მოსწავლეები შეეცდებიან ამოიცნონ ამ ფოტოების მიღმა არსებული რუსეთის დამოკიდებულება საქართველოსადმი და გააკეთონ შესაბამისი დასკვნები.

აქტივობის შედეგი: ამოიცნობენ რუსეთის დამოკიდებულებას საქართველოსადმი და ამ საკითხისადმი უარყოფითი დამოკიდებულება უყალიბდებათ.

კლასის ორგანიზების ფორმა: ჯგუფური
დროის მენეჯმენტი: 35თ.

აპტივობა №10. ერთი ყუთის ისტორია – „პანდორას ყუთი“

აქტივობის აღწერა: კლასს წარვუდგენ „პანდორას ყუთის“ სურათს და მათ უნდა განმარტონ, რა დატვირთვა აქვს ამ სურათს. სწორი პასუხის დაფიქსირების შემთხვევაში, წარვუდგენ პატარა ყუთს (პირობითად „პანდორას ყუთი“) და ვეკითხები, რა შეიძლება იყოს განთავსებული ყუთის ფსკერზე. შემდეგ ვთხოვ, ამოიღონ და წაიკითხონ ყუთში მოთავსებული ფურცელი, რომელზეც წერია – „იმედი“. ისინი პოულობენ ერთგვარ უკუკავშირს ამ სიტყვასთან მიმართებაში (თუ რატომ „იმედი“).

აქტივობის მიზანი: მოსწავლეები ეცდებიან განახორციელონ უკუკავშირი.

აქტივობის შედეგი: კონკრეტულ სტრატეგიაზე დაყრდნობით, გამოაქვთ სათანადო დასკვნები საქართველოს იმედთან მომავალთან დაკავშირებით.

კლასის ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური
დროის მენეჯმენტი: 35თ.

აპტივობა №11. შეფასება

აქტივობის აღწერა: მოსწავლეთა შეფასება კონკრეტულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით.

აქტივობის მიზანი: მასწავლებელი, განმავითარებელი შეფასებით, ახორციელებს უკუკავშირს.

აქტივობის შედეგი: მოსწავლეები სათანადოდ აანალიზებენ მასწავლებლის განმავითარებელ შეფასებას.

კლასის ორგანიზების ფორმა: საერთო საკლასო
დროის მენეჯმენტი: 25თ.

ზოოლოგია

სამოედლო გაკვეთილი ზოოლოგიაში

მასწავლებლის სახელი, გვარი: ნანა შუბითიძე

საბანი: ბიოლოგია

სწავლების საფეხური: საშუალო საფეხურის X კლასი

გაკვეთილის თემა: ძუძუმწოვრების სისხლის მიმოქცევის სისტემა, გულისა და სისხლძარღვების აგებულება და ფუნქციები, გულის ციკლის ფაზები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები, სახელმძღვანელოში მოცემულ, ასევე, ჩემ მიერ მიწოდებულ დამატებით ინფორმაციაზე დაყრდნობით, გაიაზრებენ ძუძუმწოვრების გულისა და სისხლძარღვების აგებულებას და ფუნქციებს.

საჭირო წინარე ცოდნა და უნარ-ჩვევები: მოსწავლეებს შეუძლიათ სისხლის უჯრედების აღწერა, სისხლის შემადგენლობის და ფუნქციების ჩამოთვლა; გულის, როგორც სიცოცხლის უწყვეტი ტუმბოს, სისხლისა და სისხლძარღვების მუშაობას შორის ურთიერთკავშირის დანახვა; ჯგუფური მუშაობა, არგუმენტირებული მსჯელობა, დასკვნების გამოტანა, მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დანახვა, პოსტერის შექმნა და პრეზენტაცია.

სასწავლო მასალა და რესურსები: სახელმძღვანელო, საშუალო ფურცლები, ცარი, დაფა, მარკერები, ფლიპჩარტები, ნებვადი ლენტი, მაგნიტები, სამუშაო რეგულები და კალმები.

გაკვეთილის მსვლელობა:

აქტივობა 1 (3წთ). გაკვეთილის მიზნისა და შეფასების რუბრიკების გაცნობა

მასწავლებელი ესალმება კლასს, ეკითხება როგორია მათი განწყობა, აცნობს გაკვეთილის მიზანს: „დღეს თქვენ გაეცნობით ძუძუმწოვრების გულის, სისხლძარღვების აგებულებასა და გულის ციკლის ფაზებს, მოგიწევთ ბევრ საინტერესო და სახალისო აქტივობაში ჩართვა. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს შეფასების რუბრიკებს.

აქტივობა 2 (3წთ). მოსწავლეებში განწყობის შექმნა და ინტერესის აღძვრა გონებრივი იერიშის გამოყენებით, პრობლემური სიტუაციური ამოცანის შეთავაზება

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, წარმოიდგინონ ასეთი სიტუაცია: მათ აქვთ სასმელი წყლის პრობლემა, რომელიც აუცილებლად საჭიროებს გადამწყვეტას, რადგან წყლის გარეშე ცოცხალი ორგანიზმების არსებობა შეუძლებელია, თუმცა, არსებობს გამოსავალი – ეზოში ჭის ამოთხრა სავსებით შესაძლებელია. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაუფიქრდნენ თუ რას გაითვალისწინებდნენ ჭის ამოთხრისას, რათა ჭიდან დიდი რაოდენობით წყალი ამოეკაჩათ? მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს, მასწავლებელი ინიშნავს მათ ვარაუდებს და, პარალელურად, სვამს კითხვებს, რათა დარწმუნდეს რამდენად არგუმენტირებულად ასაბუთებენ მოსწავლეები მოსაზრებებს.

აქტივობა 3 (5წთ). კითხვა-პასუხი, წინარე ცოდნის გასააქტიურებლად

მასწავლებელი სვამს კითხვებს წინარე ცოდნის გასააქტიურებლად, რათა მოახდინოს ახალი მასალის მიწოდება ცოდნის კონსტრუირების გზით. საპრეზენტაციო ფორმატში, სლაიდ-შოუს გამოყენებით, მასწავლებელი უჩვენებს მოსწავლეებს სისხლის უჯრედებს, გულის ფორმას და ეკითხება:

- რისგან შედგება სისხლი?
- რა მნიშვნელობა აქვს მის უჯრედებს?
- რა ფუნქციას ასრულებს სისხლი ორგანიზმში?
- რამდენი სახის სისხლძარღვი არსებობს?
- რომელი სისხლძარღვის კედელია უფრო სქელი?
- რისი ანალოგიაა ჭა, ძრავა (წყალსაქაჩი), წყალი, მილები?

მოსწავლეები პასუხობენ კითხვებს, სლაიდებზე ამოცნობენ სისხლის უჯრედებს, ასახელებენ გულის და სისხლის, სისხლძარღვების კავშირის მაგალითებს და უკავშირებენ ჭის, წყალსაქაჩის, მილების ანალოგიებს ერთმანეთთან, ასაბუთებენ რატომ მოძრაობს ყველაზე დიდ სისხლძარღვში დიდი რაოდენობით სისხლი, რომელ სისხლძარღვში მოძრაობს უფრო მცირე რაოდენობით სისხლი.

აქტივობა 4 (7წთ). ახალი მასალის მიწოდება ინტერაქციული ლექციის გამოყენებით

მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას გულის მუშაობაზე, ხსნის გულის აგებულებას და ფუნქციებს, გულის ციკლის ფაზებს, სისხლძარღვების აგებულებას და სისხლის მიმოქცევის სისტემის მცირე და დიდ ნრებს ტაბულების, მის მიერ ფლიპჩარტზე შექმნილი რესურსის გამოყენებით. რესურსის გამოყენებისას, მასწავლებელი დეტალურად აჩვენებს მოსწავლეებს გულის განყოფილებებს, წინაგულსა და პარკუჭებს შორის მოთავსებულ კარისებურ სარქველებს, პარკუჭებსა და სისხლძარღვებს შორის მოთავსებულ ნამგლისებურ სარქველებს, ასევე დეტალურად აღწერს სისხლის მიმოქცევის მცირე და დიდი ნრეების დანაწევებს და დამთავრების ადგილებს, სხვადასხვა ზომის სისხლძარღვებს; უთითებს ვენური და არტერიული სისხლის მოძრაობის ადგილებს, მაგ.: ფილტვის არტერიები ჟანგბადით ღარიბი ვენური სისხლი შედის ფილტვებში და იქ, გაზთა ცვლით, ვენური სისხლის არტერიულად გარდაქმნა ხდება და ჟანგბადით მდიდარი არტერიული სისხლი, ფილტვის ვენებით, მიემართება გულის მარცხენა განყოფილებისაკენ. მასწავლებელი, ილუსტრაციაზე და რესურსზე, დეტალურად უჩვენებს მოსწავლეებს თითოეულ სტრუქტურას.

პარალელურად, უსვამს კითხვებს, ახალი მასალის მათი დაინტერესებისთვის და გასააქტიურებლად:

- თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა აქვს წინაგულსა და პარკუჭებს შორის სარქველების არსებობას?
- რა მოხდებოდა, გულის ციკლის ფაზები რომ არ არსებობდეს და გულს არ დაესვენა?
- რატომაა მარცხენა პარკუჭის კედელი უფრო სქელი?
- რატომაა სისხლის მიმოქცევის ფილტვის ნრე მცირე?
- რატომ არ ერევა ერთმანეთს არტერიული და ვენური სისხლი?
- რატომ ფეთქავს გული ორგანიზმიდან ამოღებისას?

აქტივობა 5 (5წთ). დისკუსია

მასწავლებელი გამართავს დისკუსიას გულის მუშაობის შეფერხებასთან დაკავშირებით წარმოქმნილ პრობლემებზე, სვამს ისეთ შეკითხვებს, რომლებიც მოსწავლისგან დასაბუთებას და მტკიცებულებების მოყვანას მოითხოვს; მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, იმსჯელონ პრობლემის გამოშვებულ მიზეზებზე და ეს პრობლემები ცხოვრებითეული გამოცდილებას დაუკავშირონ (გულის დაავადებების მქონე ადამიანების და ამ დაავადებებით გარდაცვლილი ადამიანების რაოდენობა გაიზარდა), გამოიტანონ დასკვნები.

- რა პრობლემა შეიძლება გაჩნდეს გულში სარქველების დაზიანებისას?
 - რა პრობლემა შეიძლება გაჩნდეს სისხლძარღვების დაზიანებისას?
 - რა პრობლემა შეიძლება გაჩნდეს სისხლის ფუნქციის დარღვევისას?
- მოსწავლეები მსჯელობენ, ასახელებენ პრობლემებს, მოჰყავთ ცხოვრებითეული მაგალითები და აკეთებენ დასკვნებს.

აქტივობა 6 (5წთ). სიტუაციურ ამოცანებზე მუშაობა მასალის სიღრმისეული გაგება/გააზრებისთვის

მასწავლებელი ინდივიდუალურად ურიგებს მოსწავლეებს სიტუაციურ ამოცანებს, რომელშიც არსებული პრობლემა უნდა აღმოაჩინონ და დაასახელონ მისი მოგვარების გზები.

- შენ ხარ ექიმი. პაციენტი ესაჩირობა სასწრაფო დახმარება. რა ფორმით დაუნიშნავ სამკურნალო პრეპარატს – აბებით, კუნთში თუ ვენაში გასაკეთებელს? ახსენი შენი გადაწყვეტილება.
- სულ უმნიშვნელო დარტყმამაც კი, შესაძლებელია, ცხვირიდან სისხლდენა გამოიწვიოს. რით შეიძლება აიხსნას ცხვირის სისხლძარღვების სისუსტე?
- ხანგრძლივი გონებრივი მუშაობის შემდეგ, ხანდახან, ფეხები ცივდება, რატომ?
- რამდენად საჭიროა ქირურგიული ჩარევა გულის თანდაყოლილი მანკის დროს?

აქტივობა 7 (7წთ). ჯგუფის მიერ პოსტერის მომზადება

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა გაიაზრონ გულის, სისხლძარღვების და სისხლის შეთანხმებული მუშაობის მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისთვის, მასწავლებელი კლასს უსვამს პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებულ კითხვას: თქვენი აზრით, როგორ შეიძლება ავირიდოთ თავიდან გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები? ამისათვის ჯგუფს სთხოვს, შექმნან პოსტერი „ჩვენი ჯანმრთელობა“, კლასში სულ 4 მოსწავლეა და, შესაბამისად, ერთი ჯგუფია. მასწავლებელი მათ ურიგებს ფლიფჩარტს და მარკერებს, პოსტერის შესაქმნელად ავალებს ჯგუფში მუშაობას.

აქტივობა 8 (5წთ). პრეზენტაცია

პოსტერის შექმნის და მუშაობის დასრულების შემდეგ, ჯგუფი აკეთებს პრეზენტაციას, დაფაზე გამოიტანენ ნამუშევარს. მასწავლებელი მათ აძლევს უკუკავშირს.

აქტივობა 9 (2წთ). გაკვეთილის შეჯამება – გასასვლელი ბილეთი

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს გასასვლელ ბილეთებს.

გასასვლელი ბილეთი

მოსწავლის გვარი/სახელი.....

დაასრულე ქვემოთ მოცემული წინადადებები:

- დღევანდელი გაკვეთილიდან ჩემთვის ყველაზე საინტერესო იყო.....იმიტომ, რომ.....
- ჩემთვის ბუნდოვანი დარჩა.....
- დღევანდელი გაკვეთილიდან რომელ საკითხზე ვისურვებდი უფრო მეტი ინფორმაციის გაგებას (თქვენ მიერ მითითებული საკითხი, გთხოვთ, ჩაინეროთ საშინაო დავალების რეგულშიც).....

შეფასება (2წთ).

- მოსწავლეები საკუთარი ჯგუფის მუშაობას აფასებენ კომენტარებით;
- გასასვლელი ბილეთების გამოყენება – მოსწავლეთა ცოდნის დონის შემოწმებისა და შემდგომი საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვისთვის;
- მოსწავლეები ფასდებიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. გაკვეთილის განმავლობაში მასწავლებელი აკეთებს ჩანაწერებს წინასწარ მომზადებულ შეფასების რუბრიკაში. რუბრიკებს იცნობენ მოსწავლეებიც.

საშინაო დავალება (15წთ)

მასწავლებელი მოსწავლეებს ავალებს, მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია გულის დაავადებებზე.

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

ბიოლ. X.9. მოსწავლეს შეუძლია დაასაბუთოს სატრანსპორტო სისტემის მნიშვნელობა ორგანიზმისათვის.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ახასიათებს სისხლის მიმოქცევის სისტემის 4 ძირითად კომპონენტს (არე – სისხლი, გამტარი მილები – სისხლძარღვები, ტუმბო – გული, მიმოცვლის უშუალო სერგმენტი – კაპილარები) და თითოეულის მნიშვნელობას ნეოთიერებათა ტრანსპორტირების პროცესში.

ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმი/შკალა	დაბალი	საშუალო	კარგი	საუკეთესო
მონაწილეების ჩართულობა	არ არიან ჩართულები.	იშვიათად ერთვებიან.	არიან ჩართულები.	გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს.
მონაწილეებს შორის კომუნიკაცია	არ უსმენენ ერთმანეთს. პატივს არ სცემენ ერთმანეთის აზრს. არ მსჯელობენ.	იშვიათად უსმენენ ერთმანეთს. იშვიათად სცემენ პატივს ერთმანეთის აზრს. ვერ მსჯელობენ.	აქტიურად უსმენენ ერთმანეთს. პატივს სცემენ ერთმანეთის აზრს. მიმართავენ პოზიტიურ კრიტიკას. კარგად მსჯელობენ.	აქტიურად უსმენენ ერთმანეთს. პატივს სცემენ ერთმანეთის აზრს. მიმართავენ პოზიტიურ კრიტიკას. მსჯელობენ.
ლიდერობა	ჯგუფში არ არის ლიდერი. ვერ იღებენ გადაწყვეტილებებს კონსენსუსით.	იშვიათად გამოიკვეთება ჯგუფში ლიდერი. იშვიათად იღებენ გადაწყვეტილებებს კონსენსუსით.	ჯგუფში გამოიკვეთება ლიდერი. ხშირად იღებენ გადაწყვეტილებებს კონსენსუსით.	ჯგუფში არის ლიდერი. ყველა წევრს აქვს ლიდერობის საშუალება. იღებენ გადაწყვეტილებებს კონსენსუსით.
როლების გადანაწილება და შესრულება	ჯგუფში არ არის გადანაწილებული როლები.	ჯგუფში განაწილებულია როლები. წევრები ვერ ინარჩუნებენ საკუთარ როლს.	ჯგუფში მკაფიოდ არის განაწილებული როლები. წევრები ვერ ინარჩუნებენ საკუთარ როლს.	როლები მკაფიოდ არის განაწილებული. როლები ვაცნობიერებულია. წევრები ინარჩუნებენ საკუთარ როლს.
სასწავლო ამოცანის შესრულება	არ უსმენენ და არ იზიარებენ სასწავლო ამოცანის ინსტრუქციას. საბოლოო შედეგი გაუაზრებელია.	იშვიათად უსმენენ და იზიარებენ სასწავლო ამოცანის ინსტრუქციას. საბოლოო შედეგი გაუაზრებელია.	ყურადღებით უსმენენ და იზიარებენ სასწავლო ამოცანის ინსტრუქციას. საბოლოო შედეგი კარგადაა გააზრებული.	ყურადღებით ისმენენ და იზიარებენ სასწავლო ამოცანის ინსტრუქციას. საბოლოო შედეგი გააზრებულია.
ორგანიზება	ვერ მართავენ დროს და ვერ იცავენ რეგლამენტს.	იშვიათად მართავენ დროს და იცავენ რეგლამენტს.	კარგად მართავენ დროს და იცავენ რეგლამენტს.	მართავენ დროს. იცავენ რეგლამენტს.
გამოცდილების გაზიარება	არ უსმენენ სხვა ჯგუფის პრეზენტაციებს. არ არის უკუკავშირი.	იშვიათად უსმენენ სხვა ჯგუფის პრეზენტაციებს. იშვიათად უკეთებენ კომენტარს.	ყურადღებით უსმენენ სხვა ჯგუფის პრეზენტაციებს. არის უკუკავშირი, უკეთებენ კომენტარს.	ჯგუფის წევრები აქტიურად უსმენენ სხვა ჯგუფის პრეზენტაციებს. არის უკუკავშირი/კომენტარი.

ნანა შუბითიძე

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორგოლოვის №3 საჯარო სკოლის ბიოლოგიის ნამყვანი პედაგოგი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2011- 2016 (მოქმედი რედაქცია);
2. მასწავლებლის საქმიანობის დანყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი, მეორე ნაწილი;
3. ზაალიშვილი ნ., იოსებაშვილი ნ., ბიოლოგია, X კლასი. გამომცემლობა „ტრიასი“. 2012წ

დახმარებითი საფუნდო
გამჭოლ კომპეტენციებზე ორიენტირებული
სამოძრაო გაკვეთილი

ეროვნულ სასწავლო გეგმაში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული პრიორიტეტული გამჭოლი
კომპეტენციები. მიზანია, რომ სწორედ დაწყებითი საფეხურიდან უნდა ვეცადოთ ამ კომპე-
ტენციების განვითარება.

ამ მიზნით, გადავწყვიტე დამეგეგმა გაკვეთილი, რომელიც მოსწავლეებს პრიორიტეტულ
გამჭოლ კომპეტენციას განუვითარებდა, კერძოდ კი, სემიოტიკურ კომპეტენციას.

წარმოგიდგინებ ჩემ მიერ მორე კლასში ჩატარებულ გამჭოლ კომპეტენციებზე ორიენტი-
რებულ სამოძრაო გაკვეთილის გეგმას.

გაკვეთილის თემა: ზამთრის ესკიზი
გაკვეთილის მიზანი:

- მოსწავლე წაიკითხავს და გაიაზრებს ტექსტს, უპასუხებს შეკითხვებს წაკითხულ ტექსტთან
დაკავშირებით;
• დაეუფლება ლექსიკურ ერთეულებს და გაიმდიდრებს ლექსიკურ მარაგს;
• შესძლებს ილუსტრაციების შექმნას ტექსტის შინაარსის მიხედვით.

Table with 5 columns: №, აქტივობის აღწერა, გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები, კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები, სასწავლო რესურსები, დრო (წთ)

Table with 5 columns: №, აქტივობის აღწერა, გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები, კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები, სასწავლო რესურსები, დრო (წთ)

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:
ქართ. II. 4. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი კოდის გაშიფვრა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• ხმამაღლა (მთლიანი სიტყვებით ან დამარცვლით) კითხულობს მარტივი წინადადებებით
შედგენილ მცირე ზომის ტექსტებს (კითხვის ტექნიკის დაუფლების ხელშეწყობის მიზნით
შედგენილ ტექსტებს, საბავშვო ლექსებს, გამოცანებს, ანდაზებს, ენის გასატყეხებს, ფრაგმენტ-
ტებს მოთხრობებიდან, იგავ-არაკებსა და სხვ.); ცდილობს დაიცვას პაუზა სასვენი ნიშნებთან;
• აგრძელებს სხვის მიერ დაწყებულ კითხვას.

შეფასება:
• მოსწავლეები შეფასდებიან იმის მიხედვით თუ რამდენად გამართულად შესძლეს ტექსტის
წაკითხვა, გაგება და გააზრება;
• ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობის ამოცნობა და ადეკვატურად გამოყენება; ილუსტ-
რაციების შექმნა.
დასკვნა: ვფიქრობ, მოცემული გეგმის მიხედვით განერილი აქტივობები და დამხმარე რესურ-
სები ხელს შეუწყობს მოსწავლეებში სემიოტიკური კომპეტენციების განვითარებას, რადგან-
ც ის ითხოვს ტექსტში გადმოცემული აზრის ილუსტრაციით გამოხატვას.

შეფასების რუბრიკა

Table with 5 columns: №, კრიტერიუმები, „გასაუმჯობესებელია“, „კარგია“, „საუკეთესო“

მანანა დოლიძე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მაკვანეთის საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელი

პრობლემაზე ორიენტირებული სამოძრაო
გაკვეთილის გეგმა

მასწავლებელი სახელი, გვარი: ცირა მურჯიკიანი

საბანი: ქართული ენა

სწავლების საფეხური: დაწყებითი, პირველი კლასი

მოსწავლეთა რაოდენობა: 14

გაკვეთილის თემა: „სათამაშო ურიკა“

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ:

- კითხვის საწყისი უნარების განვითარება;
• სათაურის და სიუჟეტის ტექსტის წაკითხვა;
• მიზნმიმართული სამეცნიერო აქტივობების უნარის განვითარება;
• მთელისა და ნაწილის ურთიერთმიმართების დამყარება.

Table with 7 columns: №, აქტივობის აღ-წერა, მეთოდი/ მეთოდები, კლასის ორგანიზების ფორმები, სასწავლო რესურსები, დრო, თითოეული აქტივობის ბოლოს მისაღწევი შედეგი

Table with 6 columns: No., Topic, Author, Source, Date, Content. Rows 6-10.

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები: მიმართულება: ზეპირმეტყველება ქართ.1.1. მოსწავლე ისმენს და ადეკვატურად აღიქვამს მარტივ ინფორმაციას; სწორად რეაგირებს ნაცნობ სამეტყველო სიტუაციებში. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ასრულებს მასწავლებლის მარტივ ზეპირ ინსტრუქციებს; უცნობი სიტყვების მნიშვნელობის დასაზუსტებლად სვამს შეკითხვებს; მონაწილეობს სიტუაციურ თამაშებში და ჯგუფურ აქტივობებში. მიმართულება: კითხვა ქართ.5. მოსწავლე სათანადოდ აღიქვამს ნაკითხული მარტივი ტექსტის შინაარსს. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

ქართული ენა როგორ შევუწყოთ ხელი მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას

დღეს ჩვენ ვზრდით თაობას, რომელთა მხრებზეც 21-ე საუკუნის ყველა გამოწვევა გადაივლის. როგორი უნდა იყოს 21-ე საუკუნის მოქალაქე? პირველ რიგში მას უნდა შეეძლოს ინფორმაციის ოკეანეში ორიენტირება და საჭირო მასალის მოძიება. ინფორმაციის გაცხროლა, მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის ერთმანეთისაგან გარჩევა, სიტუაციის ანალიზი, პრობლემის იდენტიფიცირება, პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენა, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. დღემდე, მასწავლებლებსა და მშობლებს შორის დამკვიდრებულია ტრადიციული მიდგომა საკითხისადმი. თუ დაწყებითი კლასების მოსწავლე კარგად კითხულობს, გადმოსცემს ნაკითხულს თხრობით, წარმატებულ მოსწავლედ ითვლება. არავის აინტერესებს შეუძლია თუ არა ამ მოსწავლეს მიღებული ცოდნის სხვა კონტექსტში გამოყენება. მასწავლებელს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი აკისრია, დაწყებითი კლასების მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და ამოცანების გადაჭრისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების პროცესში. პედაგოგისთვის გამომწვევაა ამ მნიშვნელოვანი მიზნის მოსწავლის განვითარებისთვის შესაფერისი აქტივობების დადგენა. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია ზედმეტად რთული მოგვეჩვენოს, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ის მხოლოდ მცირე ცვლილებას მოითხოვს არსებულ მიდგომაში. მასწავლებლებს შეუძლიათ ყოველდღიურად შექმნან ისეთი გარემო, სადაც მოსწავლეებს სამუშაო მასალის იდენტიფიცირების შესაძლებლობა ექნებათ – სხვადასხვა მახასიათებლის ანალიზი, მსგავსებებისა და განსხვავებების აღმოჩენა. აგრეთვე, მასწავლებლებს შეუძლიათ დროისა და სივრცის გამოყოფა კონკრეტული იერიშისა თუ გეგმების დაწყობისა და შემოწმებისთვის. გთავაზობთ იმ გზებს, რომელთა საშუალებით მასწავლებელი დაეხმარება მცირეწლოვან მოსწავლეებს, იმუშაონ ამოცანებზე და ისწავლონ საკუთარ აღმოჩენებზე დაყრდნობით. კრიტიკული აზროვნების ცნობილი მკვლევარი დ. კლუსტერი განსაზღვრავს კრიტიკული აზროვნების შემდეგ ძირითად პრინციპებს: 1. კრიტიკული აზროვნება არის დამოუკიდებელი აზროვნება. ამგვარად, აზროვნება შეიძლება იყოს კრიტიკული მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ინდივიდუალურია; 2. ინფორმაცია წარმოადგენს კრიტიკული აზროვნების საწყის და არა საბოლოო პუნქტს. ცოდნა აჩენს მოტივაციას, რომლის გარეშეც ადამიანს არ შეუძლია იაზროვნოს კრიტიკულად; 3. კრიტიკული აზროვნება იწყება საკითხის წამოჭრითა და გადასაჭრელი პრობლემის გააზრებით; 4. კრიტიკული აზროვნება მიისწრაფვის სარწმუნო არგუმენტაციისკენ. კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანი პოულობს პრობლემის გადაჭრის საკუთარ გზას და ამყარებს საკუთარ განწყვეტილებებს გონივრული არგუმენტებით, საფუძვლიანი მოსაზრებებით. არგუმენტაციის სტრუქტურული ელემენტებია: მოსაზრება, მტკიცებულება, დასაბუთება და საფუძველი. ეს უკანასკნელი ყველა დანარჩენი ელემენტის ათვისების ნერტილია. საფუძველი – ეს ის წინაპირობაა, რომელიც საერთო ორატორის ან მწერლის და მათი აუდიტორიისათვის. საფუძველს ეყრდნობა მთელი არგუმენტაცია; 5. კრიტიკული აზროვნება სოციალური მოვლენაა, რამდენადაც ყოველი მოსაზრების გამოცდა და დახვეწა ხდება მაშინ, როდესაც მას ვუზიარებთ სხვებს, ან როგორც ფილოსოფოსი ჰანს არენდტი წერს: „სრულყოფილება მიიღწევა მხოლოდ ცოცხალ ურთიერთობაში, ვისიმე თანდასწრებით“. ჩემ პრაქტიკაში ხშირად ვიყენებ პრობლემაზე ორიენტირებულ სწავლებას. როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების აქტივობებში, მაგალითად, პროექტებში. ვცდილობ, ჩემი პატივები დანეყნებული კლასებიდანვე შევარჩეო კრიტიკულ აზროვნებას. მინდა გავაცნოთ ერთ-ერთი ჩემი გაკვეთილის გეგმა. გაკვეთილი მესამე კლასში ჩავატარე. მიღწეული შედეგიდან გამომდინარე ვფიქრობ, მიზანს მივაღწიე. მოსწავლეებმა შესანიშნავად გაართვეს თავი ჯგუფურ სამუშაოს – მოიფიქრეს პრობლემის გადაჭრის მრავალფეროვანი გზები.

- კითხულობს ხმამაღლა, მთლიანი სიტყვებით მარტივი წინადადებებით შედგენილ მცირე მოცულობის ტექსტს;
• აგრძელებს სხვის მიერ დაწყებულ კითხვას;
• პოულობს და კითხულობს ტექსტში მასწავლებლის მიერ მითითებულ ადგილებს;
• სვამს კითხვებს ნაკითხულთან დაკავშირებით და პასუხობს მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს.

რეზიუმე

მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს გაუჭირდათ შესწავლილი ასო-ბგერების დამახსოვრება და ნაკითხვა. გადაწყვიტე დამატებითი აქტივობების ჩატარება, პრობლემაზე ორიენტირებული სამოძრაო გაკვეთილის სახით. გაკვეთილის თემა იყო „სათამაშო ურიკა“. მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ კითხვის საწყისი უნარების განვითარება, დამარცვლითი კითხვა. გაკვეთილი დაიწყო კლასის ორგანიზებით. შემდეგ, კითხვებზე პასუხის გაცემით, გაავაქტიურე წინარე ცოდნა. ანბან-პლაკატის გამოყენებით, მოსწავლეები კითხულობენ და ასახელებენ ნასწავლ ასო-ბგერებს. შემდეგ ვასახელებ მარცვალს, მოსწავლეები ამატებენ მარცვალს და ამთლიანებენ სიტყვებს. ტექსტის დამუშავების დროს მოსწავლეები კითხულობდნენ ასო-ასო, რადგან ორი ასო-ბგერის ერთად დამახსოვრება და ნაკითხვა გაუჭირდათ. მოსწავლეები ვამუშავე მოძრაი ანბანით. გაიზარეს სიტყვაში შემავალი ასოების რაოდენობა, შეადგინეს სიტყვები, დამარცვლეს და ნაკითხეს. ნუთმევენებაც გამოვიყენე მიზნობრივად. კითხვის უნარის განვითარების მიზნით, ბარათზე გაფანტული მარცვლებით, მოსწავლეები ადგენენ სიტყვებს და კითხულობენ. მოსწავლეები ამ აქტივობებით უკეთ დაეუფლნენ საჭირო ხერხებს. გაკვეთილზე მიღებული ცოდნის შესამოწმებლად გამოვიყენე დამოუკიდებელი სამუშაო. მოსწავლეებმა იმუშავეს წყვილებში. შედეგი იყო თვალსაჩინო, რითაც კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამ გაკვეთილის საჭიროებაში. გაკვეთილის დასკვნით ნაწილში მოვახდინე შეჯამება-შეფასება, გამოვიყენე განმავითარებელი შეფასება, ურთიერთშეფასება. ვფიქრობ, აქტივობები და კლასის ორგანიზების ფორმები სრულად შეესაბამებოდა გაკვეთილის მიზანს. ჩემ მიერ პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილის ჩატარების იდეა, ვფიქრობ, უბიძგებს კოლეგებს, მსგავსი პრობლემის წამოჭრისას ასეთივე გაკვეთილის ჩატარებისკენ. რაც შეეხება მოსწავლეებს, გაკვეთილმა მისცა დამარცვლითი კითხვის ხერხების უკეთ დაუფლებისთვის საჭირო ცოდნა, რომელიც გამოიკვეთა დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებისას. გაკვეთილის მიზანს მივაღწიე. ყველა აქტივობა წარმართა გეგმის შესაბამისად. ყველაზე წარმატებული იყო მარცვლებით სიტყვების შედგენა და ნაკითხვა, რადგან სწორედ ამ ნაწილში შეძლეს მოსწავლეებმა არსებული პრობლემის გარკვეულწილად დაძლევა. საჭიროა დამატებითი ვარჯიში სიტყვის გამოთლიანების, ამოკითხვის უნარის გასაუმჯობესებლად. მსგავსი ტიპის გაკვეთილის ჩატარების შემთხვევაში, ვეცდები, ამ კუთხით გამოვიყენო ეფექტური მეთოდები.

ცირა მურჯიანი თერჯოლის მუნიციპალიტეტის გურამ ქარქაშის სახელობის ლენკითის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგი

გაკვეთილის გეგმა ქართულ ენაში

საბანი: ქართული ენა სწავლების საფეხური/კლასი: დაწყებითი საფეხური/ მესამე კლასი მასწავლებელი: ნინო ციციძე მოსწავლეთა რაოდენობა: 25. სსსმ მოსწავლე – 1 თემა: მოდიფიცირებული საინფორმაციო ტექსტი: „ფოცხვერი“ (ტექსტი აღებულია პროექტ Gride-ის მესამე კლასის საკითხავი ლიტერატურიდან) მიზანი: მოსწავლეებმა შესძლონ:
• საინფორმაციო ტექსტის ნაკითხვა;
• ტექსტის გაგება-გააზრება;
• პრობლემის იდენტიფიცირება, გააზრება და გადაჭრის გზების ძიება;
• განუთარღებებთ კრიტიკული აზროვნებისა და თანამშრომლობითი უნარები.
ესგ-სთან შესაბამისად:
ქართ.დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შესძლოს განაფულად კითხვა.
> თავისუფლად კითხულობს ნაცნობ და უცნობ სიტყვებს, ცდილობს დაიცავს სათანადო ტემპი;
> ხმამაღლა კითხვისას იცავს პაუზას სასვენ ნიშნებთან.
> შეუძლია ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთდაკავშირება;
> ტექსტში ეძებს და პოულობს კონკრეტულ ინფორმაციას (როდის, სად, რამდენი, როგორი, რამდენ ხანს, რამდენჯერ და სხვ.).
ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შესძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ნაკითხვა და გაგება-გააზრება;
> ამოიცნობს ტექსტში მოცემულ სხვადასხვა ინფორმაციას შორის არსებულ მიზეზშედეგობრივ კავშირებს, გამოაქვს სათანადო დასკვნა.
ქართ.დაწყ.(I).12. მოსწავლემ უნდა შესძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.
> აჯგუფებს ინფორმაციას კონკრეტული ნიშნით;
> ცდილობს უცნობი სიტყვების ახსნას კონტექსტის გათვალისწინებით;
> ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შინაარსის შესახებ.

Table with 6 columns: No., Topic, Author, Source, Date, Content. Rows 1-3.

Table with 5 columns: No., Description, Category, Author, and Date. Contains 11 rows of educational materials.

შეფასების ტიპი და მიმღები: მოსწავლეები შეფასდებიან დაკვირვების საფუძველზე განმავითარებელი კომენტარებით.

მოსწავლის შეფასების რუბრიკა

Table with 5 columns: No., Criteria, Description, Rating, and Comments. Contains 4 rows of assessment criteria.

ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა

Table with 4 columns: Criteria, Description, Rating, and Comments. Contains 4 rows of group work assessment criteria.

ანოტაცია

წინამდებარე სტატია შეეხება დაწყებითი კლასების მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარებას ქართული ენის გაკვეთილზე.

წინა ციციქიძე

სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სართიჭალის №2 საჯარო სკოლის დანაყოფის კლასების წამყვანი პედაგოგი

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1. http://mastsavlebeli.ge/?p=2190
„რატომ უნდა ვასწავლოთ კრიტიკული აზროვნება?“, თამარ ტალიაშვილი, 21 ნოემბერი, 2013 წელი;
2. http://mastsavlebeli.ge/?p=1415
„კრიტიკული აზროვნების განვითარება დაწყებითი განათლების საფეხურზე“, ანა ჯანელიძე.

ბუნებისმეტყველება

მზის სისტემა

საბანი: ბუნებისმეტყველება

კლასი: მეოთხე

გაკვეთილის თემა: „მზის სისტემა“

თემის შესწავლა აქტიულოგია. მზის სისტემის ცენტრში მდებარეობს მზე, მზის მიზიდულობას „ჩაჭერილი ჰაერის“ მზის მახლობლად მდებარე ყველა კოსმოსური სხეული, მათ შორის ჩვენი პლანეტა – დედამიწაც.

მოცემული გაკვეთილი ხელს შეუწყობდა მოსწავლეებს, გარკვეულიყვნენ ამ თემის აქტიულობაში, მოესმინათ და ადეკვატურად აღეკვეთინათ ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვან თემაზე (იხ.დანართი 1 – გაკვეთილის გეგმა).

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა 1. მოსწავლეებს გაეცანი გაკვეთილის თემა, მიზანი, მისაღწევი შედეგები, შეფასების რუბრიკა. (იხ. დანართი 2).

აქტივობა 2. „გაისინე“ – მოსწავლეებს გაეცინენ ნასწავლი მასალა – ინფორმაცია მზისა და ვარსკვლავების შესახებ. წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, ვთხოვე კითხვებზე პასუხის გაცემა (იხ. დანართი 3).

აქტივობა 3. „ვარაუდების რუკა“ – მოსწავლეებმა დააფიქსირეს ყველა შესაძლო ვარაუდი აღნიშნული საკითხის ირგვლივ. წინა აქტივობის შემდეგ, მოსწავლეთაგან მიღებული პასუხების შემდეგ, ვთხოვე დაფიქრდნენ და გამოთქვან ვარაუდები მოცემულ კითხვაზე: თქვენი აზრით, მზის სისტემაში რომელი პლანეტა ცხელდება ყველაზე მეტად? რატომ? სავარაუდო პასუხები ჩამოვწერე ფლოფჩარტზე. მოსწავლეთა ყურადღება გავაამაზილე სტენდზე – „მზე და მზის სისტემა“ (იხ. დანართი 4).

აქტივობა 4. ვიდუოს ჩვენება მზის სისტემაზე. მოტივაციის გაზრდის მიზნით, ვაჩვენე ვიდუო მზის სისტემის შესახებ – ელექტრონული რესურსი (იხ. დანართი 5).

აქტივობა 5. ტექსტზე მუშაობა სახელმძღვანელოში – მოსწავლეებმა შეძლეს ნაკითხული ტექსტის ანალიზი და პრეზენტაცია. ტექსტზე მუშაობამ ხელი შეუწყო ინფორმაციის დახარისხებასა და ახალი მასალის ათვისებას. ოთხივე ჯგუფში მივეცი წინასწარ გამზადებული სხვადასხვა ტიპის სააზროვნო კოგნიტური სქემები და ვთხოვე ამოვწერათ ტექსტიდან მოკლე, მთავარი აზრი და გამოესახათ სქემაში (იხ. დანართი 6).

აქტივობა 6. „ფარული კითხვები შეჯამებისათვის“ – ტექსტის დამუშავების შემდეგ, მოსწავლეებმა შეაჯამეს და უპასუხეს კითხვებს. პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა საკლასო მსჯელობა, მოსწავლეებმა გააკეთეს უკუკავშირი. დაფაზე გამოკრულ მოზრდილ კონვერტში ჩანერილი კითხვებით შევაჯამე გაკვეთილი, რამდენად სწორად გაიგეს და მოახდინეს ცოდნის რეალიზება (იხ.დანართი 7).

აქტივობა 7. შეფასება – შეფასების რუბრიკის გამოყენებით. თვითშეფასება ბარათით. მოსწავლეები შეეფასეს განმავითარებელი კომენტარებით, შეფასების რუბრიკის მიხედვით. შემდეგ მათ საკუთარი თავი შეაფასეს თვითშეფასების ბარათებით. დამატებით შეეფასეს მოსწავლეები ზოდიაქოს ნიშნებით, წინასწარ მომზადებული სქემის საშუალებით – „მზის

ზოდიაქოს ნიშანი“ (იხ. დანართი 8).

აქტივობა 8. საშინაო დავალება

დახატე თვალსაჩინოდ მზე და მისი ოჯახი – რვა პლანეტა.

დასკვნა – ამ გაკვეთილმა მოსწავლეებს საშუალება მისცა, ემსჯელათ მეტად აქტიულოგიაში თემის შესახებ. სწორად გათვლილმა და განანილებულმა დრომ, აგრეთვე მოსწავლეთა ორგანიზებულიობამ და მონაწილეობამ, მობილიზებამ და ოპერატიულობამ განაპირობა გაკვეთილის გეგმით განსაზღვრული აქტივობების სრულყოფილად განხორციელება. გაკვეთილზე გამოყენებული სტრატეგიები სწორად აღმოჩნდა შერჩეული, რადგან უზრუნველყო მოსწავლეთა მაღალი მოტივაცია და დადებითად იმოქმედა მათ პროდუქტიულ ინტერაქციაზე. გაკვეთილზე შექმნილი მქონდა ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგების ხელშემწყობი გარემო, შევეცადე, ჩემსა და მოსწავლეებს შორის ყოფილიყო კეთილგანწყობილი და თანასწორობაზე აგებული ურთიერთობა. სასწავლო რესურსი და თვალსაჩინოება მიზნობრივად შექმნილი და მოსწავლეებისათვის მისაწვდომი იყო. გაკვეთილის ეფექტური და მიზნობრივი დაგეგმვით მოსწავლეებმა თანმიმდევრულად იმუშავეს საგაკვეთილო მასალაზე და წარმატებულად შეასრულეს დავალებები.

დანართი 1.

გაკვეთილის თემა: „მზის სისტემა“

გაკვეთილის მიზანი:

- მოსწავლეს უნდა შეეძლოს მზის სისტემის აღწერა, მზისა და პლანეტების მოკლე დახასიათება, მზის სისტემაში პლანეტების განლაგება აღწერა;
• შეძლოს საუბარი დედამიწის ფორმაზე;
• განივითაროს გარესამყაროზე დაკვირვების, აღწერის უნარ-ჩვევები.

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

მიმართულება: დედამიწა და გარესამყარო.

ბუნ. IV.7. მოსწავლეს შეუძლია დედამიწის ფორმაზე მსჯელობა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს დედამიწის სხვადასხვა გამოსახულებას, კოსმოსიდან გადაღებულ სურათებს და საუბრობს დედამიწის ფორმაზე;
• ბუნ. IV.8. მოსწავლეს შეუძლია მზის სისტემის აღწერა.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- იყენებს ილუსტრაციებს და ახასიათებს მზის სისტემას (მაგ., პლანეტების სიდიდე, დაშორება მზიდან).

მოსწავლეთა წინარე ცოდნა: მოსწავლეებმა იციან რა არის მზე, დედამიწა, ვარსკვლავები, მთვარე. შეუძლიათ ობიექტების კლასიფიკაცია მათი მახასიათებლების მიხედვით, კოგნიტურ სქემებზე მუშაობა.

სასწავლო მასალა და რესურსები: ინფორმაციის წყაროები: „ბუნებისმეტყველება IV კლასი“.

ელექტრონული პროგრამები და რესურსები:

YOUTUBE.GE https://www.youtube.com/watch?v=PPME-JnwrAA.

ტექნიკა და ინსტრუმენტები: კომპიუტერი, პროექტორი, თაბახის ფურცლები, მარკერები, კალმები.

გაკვეთილის მსვლელობა / საკლასო მენეჯმენტი

აქტივობა 1. ორგანიზაციული საკითხების გაცნობა – 3 წუთი

მოსწავლეებს ვაცნობ გაკვეთილის თემას, მიზანს, მისაღწევი შედეგებს, შეფასების რუბრიკას, ქცევის წესებს, კლასის ორგანიზების ფორმას.

აქტივობა 2. „გაიხსენე“ – 3 წუთი

მოსწავლეებს შევახსენებ ნასწავლი მასალა, კერძოდ, გაიხსენეს ინფორმაცია მზისა და ვარსკვლავების შესახებ. წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, ვთხოვე, ეპასუხათ შემდეგ კითხვებზე:

- 1) რა იციან მზისა და ვარსკვლავების შესახებ?
- 2) რომელია ჩვენი პლანეტა?
- 3) როგორ სხეულებს უწოდებენ ვარსკვლავებს?
- 4) როგორი ფერისაა ჩვენი მზე?

აქტივობა 3. „ვარაუდების რუკა“ – 2 წუთი

მოსწავლეებმა დააფიქსირეს ყველა შესაძლო ვარაუდი აღნიშნული კითხვის ირგვლივ. პირველი აქტივობისას მიღებული პასუხების შემდეგ ვთხოვე მოსწავლეებს, დაფიქრდნენ და გამოთქვან ვარაუდები მოცემულ კითხვაზე: თქვენი აზრით, მზის სისტემაში რომელი პლანეტა ცხელდება ყველაზე მეტად? რატომ? სავარაუდო პასუხები ჩამოვწერე ფლიფჩარტზე. მოსწავლეთა ყურადღება გავამახვილე სტენდზე – „მზე და მზის სისტემა“.

აქტივობა 4. ვიდეოს ჩვენება მზის სისტემაზე – 3 წუთი

მოტივაციის გაზრდის მიზნით, ვიდეოს ჩვენება მზის სისტემის შესახებ – ელექტრონული რესურსი.

აქტივობა 5. ტექსტზე მუშაობა სახელმძღვანელოში – 15 წუთი

მოსწავლეებმა შეძლეს ნაკითხული ტექსტის ანალიზი და პრეზენტაცია. ტექსტზე მუშაობამ ხელი შეუწყო ინფორმაციის დახარისხებას და ახალი მასალის ათვისებას.

ყველა ჯგუფს მივეცი წინასწარ გამზადებული სხვადასხვა ტიპის სააზროვნო კოგნიტური სქემები და ვთხოვე, ამოეწერათ ტექსტიდან მოკლე, მთავარი აზრი და გამოესახათ სქემაში.

I ჯგუფი – „ვარსკვლავის ფორმის სქემა“ – მნიშვნელოვანი დეტალები ჩანერეს ვარსკვლავის ქიმიური ვარსკვლავების შესახებ;

II ჯგუფი – „სხივისებური ფორმის სქემა“ – ძირითადი ინფორმაცია მზის შესახებ;

III ჯგუფი – „კიბისებური ფორმის სქემა“ – მთავარი ინფორმაცია პლანეტების შესახებ.

IV ჯგუფი – თითოეული აბზაციდან ამოიღეს ძირითადი თეზისები.

პრეზენტაცია – 7 წუთი – ჯგუფებმა თავიანთი ნამუშევრები გამოაკრეს დაფაზე და ჯგუფის მიერ არჩეულმა პრეზენტატორმა პრეზენტაცია დროის ლიმიტის დაცვით ჩაატარა. აქტივობის დასრულებისას შევაფასე მხოლოდ ჯგუფების პრეზენტატორები.

აქტივობა 6. „ფარული კითხვები შეჯამებისთვის“ – 7 წუთი

ტექსტის დამუშავების შემდეგ, მოსწავლეებმა შეაჯამეს და უპასუხეს კითხვებს.

პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა საკლასო მსჯელობა, მოსწავლეებმა გააკეთეს უკუკავშირი. დაფაზე გამოკრულ მოზრდილ კონვერტში ჩაწერილი კითხვებით შევაჯამე გაკვეთილი, რამდენად სწორად გაიგეს და მოახდინეს ცოდნის რეალიზება.

კითხვები:

- 1) რატომ გვეჩვენება ვარსკვლავები პატარა მანათობელ წერტილებად?
- 2) რით განსხვავდება პლანეტა ვარსკვლავისგან?
- 3) დაახლოებით დედამიწის მეზობელი პლანეტები?
- 4) რამდენი პლანეტაა „მზის ოჯახში“?
- 5) რომელ პლანეტაზე ყოფილა სიცოცხლე?
- 6) რომელია ყველაზე დიდი და ყველაზე პატარა პლანეტა მზის ოჯახში?
- 7) შენი აზრით, რატომ უწოდებენ დედამიწას ცისფერ პლანეტას?
- 8) რა პქვია იმ უხილავ გზას, რომელზედაც პლანეტები მოძრაობენ?

აქტივობა 7. შეფასება – შეფასების რუბრიკის გამოყენებით, თვითშეფასება ბარათით – 4 წუთი.

მოსწავლეები ფასდებიან განმავითარებელი კომენტარებით, შეფასების რუბრიკის მიხედვით. შემდეგ მათ საკუთარი თავი შეაფასეს თვითშეფასების ბარათებით. დამატებით შევაფასე მოსწავლეები ზოდიქოს ნიშნებით, წინასწარ მომზადებული სქემის საშუალებით – „შენი ზოდიქოს ნიშანი“.

ჯგუფური მუშაობის რუბრიკა.

თვითშეფასების ბარათი.

აქტივობა 8. საშინაო დავალება – 1 წუთი

დახატე თვალსაჩინოდ მზე და მისი ოჯახი – რვა პლანეტა.

დანართი 2.

გაკვეთილის თემა „მზის სისტემა“

გაკვეთილის მიზანი

- მოსწავლე უნდა შეძლოს მზის სისტემის ადრე მზის და პლანეტების მოვლედან დასაბუთებლად ადრე პლანეტების განლაგება მზის სისტემაში;
- შეძლოს საკუთარ დედამიწას ფორმზე
- განიხილოს გარემოებები დაკვირვების ადრე უნარგვეს

კომპეტენციები

- მიმართულ დედამიწა გარემო
- ზუნ II.7 – მოსწავლე შეძლებს დედამიწის ფორმის შეფასებას
- შედეგი თვალსაჩინოა თუ მოსწავლე
 - იყენებს დედამიწის ფორმის განმარტებას კომპიუტერული სურათის დასაბუთებლად დედამიწის ფორმის
-
- ზუნ II.8 – მოსწავლე შეძლებს მზის სისტემის ადრე
- შედეგი თვალსაჩინოა თუ მოსწავლე
 - იყენებს დედამიწის ფორმის და ახალი მზის სისტემის (მე, პლანეტების მიხედვით) დასაბუთებლად
 - ნატატ პლანეტის და თანმიმდევრულად განლაგება მზიდან დასაბუთების მიხედვით

პრეპენდენტის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	„ნაწილობრივ“	„კარგად“	„საუკეთესოდ“
მოსწავლეს შეუძლია მნიშვნელოვანი დეტალების ამოკრეფა ტექსტიდან			
საუბრობს გარკვევით			
აქვს კავშირი აუდიტორიასთან			
იცავს დროის ლიმიტს			

ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	„ნაწილობრივ“	„კარგად“	„საუკეთესოდ“
ჯგუფური მუშაობისას ჩართული იყო ყველა მოსწავლე			
მუშაობდნენ შეთანხმებულად			
იცავდნენ დროის ლიმიტს			

თვითშეფასების ბარათი

შე მო ხ ა ზ ე შესაბამისი ნიშანი	„დიან“	„ნაწილობრივ“	„არა“
1. ჩემი პასუხები იყო მართებული			
2. მომეწონა აქტივობები			
3. მივიღე ახალი ცოდნა			
4. ვიცავდი ქცევის წესებს			

დანართი 3. აქტივობა 2. „გაიხსენე“ – 3 წუთი

მოსწავლეებს შევახსენებ ნასწავლი მასალა, კერძოდ, ინფორმაცია მზისა და ვარსკვლავების შესახებ. წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, მოსწავლეებს ვთხოვე, პასუხი გაეცათ შემდეგ კითხვებზე:

- 1) რა იციან მზისა და ვარსკვლავების შესახებ?
- 2) რომელია ჩვენი პლანეტა?
- 3) როგორ სხეულებს უწოდებენ ვარსკვლავებს?
- 4) როგორი ფერისაა ჩვენი მზე?

დანართი 4.


აქტივობა 3. „ვარაუდების რუკა“ – 2 წუთი

მოსწავლეებმა დააფიქსირეს ყველა შესაძლო ვარაუდი აღნიშნული კითხვის ირგვლივ. წინა აქტივობის შემდეგ, მოსწავლეთაგან მიღებული პასუხების შემდეგ, ვთხოვე დაფიქრდნენ და გამოთქვან ვარაუდები მოცემულ კითხვაზე: თქვენი აზრით, მზის სისტემაში რომელი პლანეტა ცხელდება ყველაზე მეტად? რატომ? სავარაუდო პასუხები ჩამოვწერე ფლიფჩარტზე. მოსწავლეთა ყურადღება გავამახვილე სტენდზე – „მზე და მზის სისტემა“.

სტენდი „მზე და მზის სისტემა“

დანართი 5.

აქტივობა 4. ვიდეოს ჩვენება მზის სისტემაზე



მოტივაციის გაზრდის მიზნით მოსწავლეებს ვაჩვენებ ვიდეო მზის სისტემის შესახებ – ელექტრონული რესურსი.

ელექტრონული რესურსი: „საინტერესო გაკვეთილები – ჩვენი მზის სისტემა“

YOUTUBE.GE- <https://www.youtube.com/watch?v=PPME-JnwrAA>

დანართი 6.

აქტივობა 5. ტექსტზე მუშაობა სახელმძღვანელოში – 15 წუთი

მოსწავლეებმა შეძლეს ნაკითხული ტექსტის ანალიზი და პრეზენტაცია. ტექსტზე მუშაობამ ხელი შეუწყო ინფორმაციის დახარისხებას და ახალი მასალის ათვისებას.

ოთხივე ჯგუფს მივეცი წინასწარ გამზადებული სხვადასხვა ტიპის სააზროვნო კოგნიტური სქემები და ვთხოვე, ამოეწერათ ტექსტიდან მოკლე, მთავარი აზრი და გამოესახათ სქემაში.

I ჯგუფი – „ვარსკვლავის ფორმის სქემა“ – მნიშვნელოვანი დეტალები ვარსკვლავების შესახებ ჩანერეს ვარსკვლავის ქიმიური

II ჯგუფი – „სხივისებური ფორმის სქემა“ – ძირითადი ინფორმაცია მზის შესახებ;

III ჯგუფი – „კიბისებური ფორმის სქემა“ – მთავარი ინფორმაცია პლანეტების შესახებ;

IV ჯგუფი – თითოეული აბზაციდან ამოიღეს ძირითადი თეზისები.

პრეზენტაცია – 7 წუთი – ჯგუფებმა თავიანთი ნამუშევრები გამოაკრეს დაფაზე და ჯგუფის მიერ არჩეულმა პრეზენტატორმა პრეზენტაცია დროის ლიმიტის დაცვით გამართა. აქტივობის დასრულებისას შევაფასე მხოლოდ ჯგუფების პრეზენტატორები.

დანართი 7.

აქტივობა 6. „ფარული კითხვები შეჯამებისთვის“ – 7 წუთი

დანართი 8.

აქტივობა 7. შეფასება – შეფასების რუბრიკის გამოყენებით, თვითშეფასება ბარათით – 4 წუთი.

- ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა
- თვითშეფასების ბარათი
- სახალისო შეფასების ფორმა – „შენი ზოდიქოს ნიშანი“

დალი თურმანიძე

ჯემალ ქათამაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლის დანაწესითი კლასების მასწავლებელი, ბათუმის მასწავლებელთა სახლის დანაწესითი განათლებისა და ინკლუზიური განათლების მიმართულების ტრენერი

ქართული ენა და ლიტერატურა
სასწავლო დისკუსია – კრიტიკული აზროვნების განვითარების საშუალებად

ქართული ენისა და ლიტერატურის ეფექტური სწავლება მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. მასწავლებელი ცდილობს, მოსწავლეთათვის გაკვეთილი გახადოს საინტერესო, რაც მთავარია, საკლასო ოთახი ყოველი მოსწავლისთვის იყოს თვითრეალიზაციის კომფორტული სივრცე, სადაც მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას თანაკლასელები მოისმენენ, თუმცა, ან დაეთანხმებიან, ან არა.

საშუალო საფეხურის მოსწავლეებში, პრობლემაზე მუშაობის, მისი გადაწყვეტის გზების ძიების, მსჯელობისა და არგუმენტაციის, განსხვავებული თვალსაზრისის მოსმენისა და მიღების უნარის გასავითარებლად, ყველაზე ხშირად მივმართავთ სასწავლო დისკუსიის მეთოდს, რომელსაც სხვადასხვა ფორმით ვატარებ, ხან მცირე სადისკუსიო ჯგუფებში, ხან კი – მთელ კლასთან. დისკუსია ეფექტურია, თუ გამოიყენება პრობლემის მოგვარების არაერთი გზა, გამოსავალი, რათა მოსწავლეებმა შეძლონ სხვადასხვა შესაძლებლობიდან მათთვის მისაღები, რაციონალური და ყველაზე ეფექტური გზის არგუმენტირებულად დასაბუთება.

უმნიშვნელოვანესია, მასწავლებელმა სწორად, წინასწარ, კლასის მზაობის გათვალისწინებით, შეარჩიოს სადისკუსიო თემა. კლასის ყველა მოსწავლეს აუცილებლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენა სადისკუსიო საკითხზე, რათა მსჯელობა იყოს თანმიმდევრული და მკაფიო. რაც უფრო სიღრმისეულად იციან მოსწავლეებმა სადისკუსიო საკითხი, მით უფრო საინტერესოა პრობლემის გადაჭრის მათეული ვარიანტები. ისინი ზოგჯერ გვთავაზობენ ისეთ გამოსავალს, რომელზეც არ გვისაუბრია თემის შესწავლის ადრეულ ეტაპზე.

როგორ რეგულირებთ დისკუსიას?

- დისკუსიის სანაწიფი ფაზაზე, ცოდნის სისტემატიზებისათვის, ეფექტურია კლასტერების გამოყენება, რაც ხელს უწყობს სადისკუსიო საკითხის კონკრეტულ საკითხს. მოსწავლეთა მიერ აზრის გამოთქმის კვალდაკვალ, მასწავლებელს შეუძლია შეაფასოს კლასტერების თავისუფალი სივრცეები. მოსწავლეები ასე უკეთ ამჩნევენ, რომ მათი შეხედულება გათვალისწინებულია;
დისკუსიის სწორად წარმართვის აუცილებელი პირობაა წესებისა და დისკუსიის შეფასების რუბრიკის წინასწარი ცოდნა. მასწავლებელს შეუძლია, შეიმუშაოს სტანდარტული რუბრიკა, რომელიც გამოადგება ამა თუ იმ საფეხურზე მეთოდის გამოყენებისას, სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით. კარგი იქნება, თუ მოსწავლეებისათვის სტანდარტული წესები და შეფასების კრიტერიუმები კარგად ნაცნობი და არაერთგზის გამოყენებული იქნება;
მცირე ზომის ხმოვანი სიგნალი (პატარა ზომის ხარი, წკრილი და სხვ) გვეხმარება, შევძლებთ შენიშვნის გარეშე, ვმართოთ დისკუსიისას მოსწავლეების მიერ გამოყენებული დრო და ასევე ვანიშნოთ მოსწავლეს თემიდან გადახვევის შესახებ.

როგორ შევქმნათ მოსწავლისათვის კომფორტული ფსიქოლოგიური გარემო?

- მოსწავლეებმა დასაწყისშივე უნდა იცოდნენ, რომ აქეთ აზრის გამოთქმის თავისუფლება კონკრეტულ დროში;
დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ მათ მიერ გამოთქმული არც ერთი მოსაზრება არ იქნება უარყოფილი, თუ არგუმენტებით იქნება გამყარებული;
მნიშვნელოვანია, დისკუსიის მონაწილეებმა თავად დასვან კითხვები თანაკლასელების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით, რათა დისკუსიის პროცესი არ იყოს მხოლოდ „ჩემი აზრის გამოთქმის“ საშუალება, არამედ გადაიქცეს, დავის პირობებში, საუკეთესო იდეის მიგნების პროცესად;
მასწავლებელმა თავი უნდა შეიკავოს საკუთარი მოსაზრების გამოთქმისგან, რათა არ განსაზღვროს დისკუსიის მიმართულება;
პროცესის დასრულების შემდეგ, მოსწავლეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, შეაფასონ დისკუსიის მსვლელობა. ასე უკეთ გაეცნობა მასწავლებელი მოსწავლეთა სურვილებსა და შენიშვნებს როგორც პროცედურასთან, ასევე შინაარსთან დაკავშირებით, რასაც მომდევნო გაკვეთილებზე გაითვალისწინებს. ასეთად შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა სახის გაკვეთილის რეფლექსია/კითხვარი.

გთავაზობთ XI კლასში ჩატარებული გაკვეთილის გეგმას, რომელზედაც ერთ-ერთ ძირითად აქტივობად საკლასო დისკუსია გამოვიყენებ.

თემა: დისკუსია – რომელ ადამიანს უნდა მივმართოთ პიროვნებამ, თუ ის თემის საუკეთესო შვილია?
მიზანი: მოსწავლემ შეძლოს, მხატვრული ტექსტების პერსონაჟების ქმედების შეფასება-გააზრება; წარმოსახვითი უნარების გააქტიურება; გამოხატოს პერსონაჟთა მიმართ საკუთარი დამოკიდებულება; გააანალიზოს გარემოს/თემის როლი პიროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში; საკუთარი ინტერპრეტაციით წარდგეს აუდიტორიის წინაშე; ჩამოაყალიბოს არგუმენტები საკუთარი შეხედულების დასადასტურებლად; იმუშაოს კოლაბორაციულ გარემოში; გაამართოს დისკუსია თანაკლასელებთან.

კავშირი მსგ-სთან:

- ქართ. XI. 2. მოსწავლეს შეუძლია საჯარო გამოსვლების მოსმენა და კრიტიკულად შეფასება.
ქართ. XI. 4. მოსწავლეს შეუძლია ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიების გამოყენება საჯარო გამოსვლის მომზადების დროს.
ქართ. XI. 5. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ეპოქის ტექსტების გაანალიზება მათში ასახული ინფორმაციის, თემების, იდეებისა და პრობლემატიკის თვალსაზრისით.
ქართ. XI. 6. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს, როგორ გამოიყენება მხატვრული და არამხატვრული ტექსტის ელემენტები მისი ინტერპრეტაციის დროს.

Table with 5 columns: №, აქტივობის აღწერა, გამოყენებული მეთოდები, კლასის ორგანიზების ფორმა, სასწავლო რესურსები, დრო (წთ).

Table with 5 columns: №, სასწავლო დისკუსია, მასწავლებელი, მასწავლებლის მიერ წარდგენილი მასალა, დისკუსიის მიზანი, დრო (წთ).

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

- მოსწავლე წარადგენს სხვადასხვა მოსაზრებას პრობლემურ საკითხზე და ისმენს განსხვავებულ აზრს;
მონაწილეობს დისკუსიაში, ყველა მონაწილე წევრთან თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე;
აქვს საკუთარი არგუმენტირებული პოზიციის დამაჯერებლად წარდგენის უნარი როგორც ზეპირად, ასევე წერილობით;
შეუძლია პერსონაჟების ქმედებების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა/შეფასება.

რეფლექსია

გაკვეთილი დაიწყო მასწავლებელი შეკითხვით – რომელ ადამიანს მივმართოთ პიროვნებამ – სტუმართმოყვარეობისა თუ სისხლის აღების, ვაჟკაცის პატივისცემისა თუ მკლავის მოკვეთის? მოსწავლეებს შევახსენე, რომ ვაჟკაც პოემებში წარმოდგენილი თემა საინტერესო და თვითმყოფადი ინსტიტუტია, თუმცა, როგორც უკვე არაერთხელ ვნახეთ, საესეა წინააღმდეგობებით. მოსწავლეთათვის პირველი დავალება სწორედ ასეთი წინააღმდეგობების გაანალიზება იყო გრაფიკული მათემატიკის მეშვეობით. მათ შეძლეს მკაფიო და ეფექტური პრეზენტაციის მომზადება ჯგუფებში. ჩამოაყალიბეს აზრი, რომ თემში არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და შეუთანხმებელი წესები და ტრადიციები.

ამის შემდეგ მოსწავლეებს გავაცანი ხალხური ბალადა „შიოლა და მთრეხელი“, რომელშიც გადმოცემულია ისტორია, როგორ იფარებს მოკლულის, შიოლა ლუდუშაურის და ძმის მკვლელს, როგორ ვითარდება მოქმედება ტრაგიკული ისტორიის შემდეგ. ტექსტი წარმოადგენს საინტერესო რესურსს ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში არსებული მნიშვნელოვანი იდეების შესახებ, რამაც გაუადვილა მოსწავლეებს მხატვრულ ტექსტში დასმული პრობლემების აღქმა-გააზრება დისკუსიის პირობებში. იმსჯელეს თემაზე, რა უნდა იღონოს ინდივიდმა, რომ იპოვოს რთული მდგომარეობიდან მორალურ-ზნეობრივი გამოსავალი ისე, რომ თემი დარჩეს ისეთივე მნიშვნელოვანი ინსტიტუტად, როგორც იყო ასეულობით წლის განმავლობაში.

დისკუსია წინასწარ განსაზღვრული წესებისა და შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით წარმართა, იყო ძალიან საინტერესო და ეფექტური.

მოსწავლეები შეეფასეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებებით, შესაბამისი რუბრიკების გამოყენებით.

სასწავლო დისკუსიის გამოყენებით, X კლასში ჩავატარე გაკვეთილი თემაზე: ემოცია და ემოციური ინტელექტი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“. სადისკუსიო საკითხი შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: „ვეფხისტყაოსნის“ გმირები და ემოციური ინტელექტი, ანუ ადამიანობის ხელოვნება. მოსწავლეებმა ძალიან კარგად გაართვეს თავი „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების ემოციისა და ემოციური ინტელექტის განსაზღვრას; შეაფასეს ისინი ემოციური ინტელექტის 4 უნარის მიხედვით, თავიანთ მოსაზრებებს ამყარებდნენ ტექსტიდან არგუმენტებითა და მაგალითებით.

დისკუსიას, როგორც მნიშვნელოვან სასწავლო მეთოდს, წარმატებით იყენებენ მასწავლებლები სხვადასხვა დისციპლინების სწავლებისას, რადგან მისი მიზანი, განავითაროს მოსწავლის კრიტიკული აზროვნება, განსხვავებული აზრის მოსმენის, არგუმენტირებისა და მსჯელობის უნარები, მნიშვნელოვანია ყველა საგნის სწავლებისას.

თამარ ქუთათილაძე
სსიპ ქალაქ თბილისის
№128 საჯარო სკოლის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

- ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი
http://ncp.ge/ge/curriculum?class=33&pos1=500
ქართველი მწერლები სკოლაში; ვაჟა-ფშაველა, პოემები. II ნაწილი. თბილისი. 2001.

სწავლის მეთოდი

ბიოეთიკური განათლება

ბიოეთიკური განათლება, რომელიც კონცენტრირებულია სკოლის მოსწავლეებზე, სტუდენტებზე, ახალგაზრდებზე და სხვ., აერთიანებს ეთიკური კანონების და ბიოლოგიის კანონზომიერებების კავშირის შესწავლას. აღნიშნულ პრობლემებზე ფიქრისას საჭიროა, გადავხედოთ წარსულ გამოცდებს, განსაკუთრებით, ბიოეთიკის კუთხით მიღწეულ შედეგებს.

ბიოეთიკური განათლება არის მორალური განათლების კომპონენტი. მის ფუნდამენტურ ნაწილს შეადგენს ეთიკა. იგი კვეთს მოდის ისეთ ფუნდამენტურ მეცნიერებებთან, როგორცაა: ფსიქოლოგია, ბიოლოგია, აგრონომია, ვეტერინარია და, რა თქმა უნდა, მედიცინა. ბიოეთიკური განათლება კონცენტრირებულია მოსწავლეების აღზრდაზე, რათა მოხერხდეს მორალური კანონების და ბიოლოგიური კანონზომიერებების ეფექტური კორელაცია. ეს გამოცდილება დაეხმარება მათ, ბიოლოგიაში, მედიცინაში, სოფლის მეურნეობასა და სხვა დარგებში წარმატებულად განახორციელონ მეცნიერული კვლევები.

ახალგაზრდა თაობამ უნდა აილოს პასუხისმგებლობა მეცნიერების განვითარებაზე. ასევე კარგად გაიაზროს, თუ რა გავლენას მოახდენს ეს პროგრესი სიცოცხლის ნებისმიერ გამოვლინებაზე. ისინი ჩართულები უნდა იყვნენ ამ პროცესში, მიუხედავად მათი პროფესიული მიზნებისა, კარიერული წინსვლისა, საცხოვრებელი ადგილისა. პირდაპირ თუ ირიბად, ბიოეთიკური პრობლემები ყველა ადამიანს ეხება.

ბიოლოგიის სწავლებისას მოსწავლეები ეცნობიან გენეტიკის, ევოლუციური თეორიისა და სხვა დარგების კანონზომიერებებს, იღებენ ინფორმაციას ჯანმრთელობის დაცვისა და დაავადებების შესახებ. მათთვის სასარგებლო იქნება ამ საკითხების ირგვლივ წამოჭრილი მორალური დილემების ცოდნაც. ერთი მხრივ, ეს დაეხმარება მოსწავლეებს, უფრო საინტერესო და ინტერდისციპლინალური გახდეს ბიოლოგიის სწავლების პროცესი; მეორე მხრივ, ისინი მიხვდებიან მეცნიერების განვითარების მნიშვნელობას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ბაში. ამავე დროს, იმსჯელებენ ეთიკურ პრობლემებზე, რომელიც ბიოეთიკის შესწავლის და დაკვირვების სფეროში შედის.

ბიოეთიკა საკმაოდ წარმატებით ჩაერთვება და დიდ წვლილს შეიტანს ბიოლოგიის ისეთი მიმართულებების შესწავლაში, როგორცაა: გენური ინჟინერია, ემბრიონის დიფერენცირება, ინვიტრო განაყოფიერება, კლონირება, გენური თერაპია, ჩასახვისა და ჩასახვის სანინალმდეგო საშუალებების შესწავლა, სექსუალურად გადადები დაავადებები და სხვ.

ბიოეთიკის შესწავლისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც ტრადიციული სწავლების ფორმები (ლექცია, ლექცია-დისკუსია, სოკრატისული დიალოგის მეთოდი), ასევე თანამედროვე სწავლების მეთოდები. ეს მეთოდები ხელს შეუწყობს მოსწავლის ანალიტიკური აზროვნების ნახალისებას, მეცნიერული ცოდნის გაღრმავებას, ისეთი შეხედულებების ჩამოყალიბებას, რომლებიც გამყარებული იქნება მეცნიერული არგუმენტებით, ასევე, მოსწავლეთა ინტერაქციას ჯგუფებში.

ბიოეთიკის კუთხით განვიხილოთ თემა „კლონირება ცოცხალ ორგანიზმებში“. ამ თემის შესწავლისას მოსწავლეებმა უნდა დაიცვან მათი იდეები, გააკეთონ დასკვნები, გამოიყენონ თემის შესაბამისი ტერმინოლოგია. არგუმენტები, რომელსაც ისინი გამოთქვამენ, უნდა ეფუძნებოდეს ბიოლოგიის ფუნდამენტურ კონცეფციებს. ჯგუფური დისკუსიების დროს, მოსწავლეებმა უნდა გასცენ პასუხი პრობლემურ კითხვებს და დაასაბუთონ მოსაზრებები არგუმენტებით: არის თუ არა საჭირო ცხოველთა კლონირება? ცხოველის კლონირებას უფრო მეტი დადებითი შედეგები აქვს თუ უარყოფითი? ბიოეთიკის მსგავსი მეთოდებით სწავლება დაანახებს მოსწავლეს გამოყენებითი ბიოლოგიის მნიშვნელობას და თითოეული მოქალაქის ჩართულობის საჭიროებას ამ ეთიკური პრობლემის (კლონირების) გადაწყვეტის პროცესში.

მორალური პრობლემები იმ შესაძლებლობების პარალელურად ვითარდება, რომელსაც ბიოტექნოლოგია სთავაზობს

კაცობრიობას. ტექნოლოგიის სწრაფი პროგრესი შესაბამის დამოკიდებულებას მოითხოვს, რომ არ მოხდეს ყველა სამეცნიერო განაცხადის განურჩეველი მიღება ან პირიქით, განვითარდეს უნდობლობა და მტრობა მეცნიერების მიმართ.

შემდეგი თემა, რომელიც ასევე შეიძლება განვიხილოთ ბიოეთიკური კუთხით, არის გენური ინჟინერია. ამ საკითხის განხილვისას, მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს დისკუსიის მეთოდი და დასვას შემდეგი კითხვები: რატომ არის საჭირო გენმოდულირებული ორგანიზმების შექმნა? რა უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს გენმოდულირებულმა ორგანიზმებმა ეკოსისტემაზე? რამდენად უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის გენმოდულირებული საკვების მიღება?

ბიოეთიკის სწავლების პროცესში უნდა გამოიყენონ ბიოლოგიური ლაბორატორია, ელექტრონული მონაცემები, სპეციალური სასწავლო პროგრამები. ასევე რეკომენდებულია ისეთი მეთოდების გამოყენება, როგორცაა: პროექტების მომზადება, სამეცნიერო კვლევა, პრობლემაზე ორიენტირებული დავალებების შესრულება.

ბიოეთიკური განათლების ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი ეთიკა, ანუ მორალური განათლება. რა თქმა უნდა, ნათელია, რომ საჭიროა მორალური კანონების ინტერვენცია ბიოლოგიაში, მედიცინასა და სხვა უამრავ სამეცნიერო მიმართულებაში. სწორედ საგანმანათლებლო სისტემაში ბიოეთიკის შესწავლის დანერგვით იქნება შესაძლებელი მეცნიერებისა და ეთიკის თანხვედრა.

ნატო შატირიშვილი

ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა: Mariana Iancu, Bioethical education in teaching Biology, Sciencedirect.

დისგრავია გადაულახავი პრობლემა არ არის

ტერმინი „დისგრავია“, ზოგადად, გამოიყენება ცუდი კალიგრაფიის შემთხვევაშიც და აზრის წერილობით გადმოცემის პრობლემებთან მიმართებაში. ხშირად საკამათო ხდება, განეკუთვნება თუ არა დისგრავია სპეციალური განათლების სფეროს. დისგრავია ყოველთვის არ ნიშნავს, რომ მოსწავლეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები აქვს. თუმცა, სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეებს, წერის უნარ-ჩვევების დაუფლების პროცესში, აქვთ გარკვეული პრობლემები, რომელთა შორის მთავარია კალიგრაფია, მართლწერა და აზრის წერილობით გადმოცემა.

წერით ნამუშევრებზე დაკვირვების შედეგად, რამდენიმე მოსწავლის ნამუშევარში აღმოვაჩინე დისგრავია. კლასის წერის დაძაბული მანერა, სარკისებრი ასოების (წ-შ, ხ-ძ, წ-მ), სწორად ჩაწერის, ასოების გრაფიკული გამოსახულების დამახასიათებლისა და მათი სწორად მოხაზვის შეუძლებლობა.

კალიგრაფიის საბაზისო პრინციპების უგულვებელყოფას თუ დასაწყისშივე არ მიექცა სათანადო ყურადღება, მაღალ კლასებში, ნაწერის შეფასების მხრივ, გარკვეული სიძნელე შეექმნება როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლებლებსაც. დისგრავიამ მოსწავლეებში შეიძლება გამოიწვიოს დაბალი თვითშეფასება და მოტივაციის დაქვეითება.

მიზნად დავისახე მოსწავლეებში ნატიფი მოტოროის განვითარება და დისგრავიის აღმოფხვრა. ამ მიზნით, გადავწყვიტე განმეხორციელებინა პროექტი. მოვიძიე და გავეცანი სათანადო ლიტერატურას და აქტივობებს, შევხდი სპეციალისტებს და მოვისმინე მათი რეკომენდაციები.

მოსწავლეებთან და მშობლებთან ერთად, დავგეგმე და განვახორციელე სოციალური პროექტი „მოგზაურობა ანდაზეთში“. პროექტი ორი თვის განმავლობაში გაგრძელდა. ყოველ აქტივობას ერთობლივად შემუშავებული შეფასების რუბრიკების მიხედვით ვაფასებდით.



განხორციელებული აქტივობები:

- ხატვა გუაშებით;
- ხატვა ცარცით, ფანქრებით;
- აპლიკაციების შექმნა;
- ძერწვა;
- ფაზლების და კუბიკების აწყობა;
- წიგნის შექმნა;
- პრეზენტაცია.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების საშუალებით, გუაშებით ხატვისას, მოსწავლეებმა გამოიყენეს ხელები, თითები, ფუნჯები; მსხვილი ფერადი ცარცებითა და ფანქრებით შექმნეს ძალიან საინტერესო ნახატები, თარგის გამოყენებით; ჭრიდნენ სხვადასხვა ფიგურებს და აკეთებდნენ აპლიკაციებს; ძერწავდნენ ასოებს და აწყობდნენ სიტყვებს (წ-შ, ხ-ძ, წ-მ ასოების გამოყენებით).

ძალიან სახალისო და საინტერესო აღმოჩნდა ფაზლების და კუბიკების აწყობა (ხელს უწყობს გამომსახველობითი და ლოგიკური აზროვნების განვითარებას, ყურადღების მობილიზებას, აღქმას (ფორმების, ზომების და სხვ.) და, ამასთანავე, განავითარებს წვრილმან მოტოროიკას).

როდესაც მოსწავლეებში მზაობა დავინახე, კლასი ჯგუფებად დავაყავი, დავავალე გარკვეულ დროში ანდაზების (ჩვენ მიერ შესწავლილი, ასევე, ოჯახის წევრების დახმარებით მოძიებული) მოგროვება და ფერადი კალმებით ჩაწერა. ჩანაწერები მოიტანეს კლასში, გამოჭრეს და ჩააკრეს მათ მიერ წინასწარ შექმნილ წიგნებში. თითოეულ ჯგუფს ჰქონდა წიგნი სათაურით „მოგზაურობა ანდაზეთში“, მონაწილეთა სახელებითა და გვარებით, რომელიც დედადენის დღისთვის, 14 აპრილს, გამოფინეთ პირველკლასელთა ფოიეში. საერთოდ, ყოველი აქტივობის ბოლოს, შექმნილი ნამუშევრებით კლასში გამოფინას ვანწყობდით. მოსწავლეებს შეეძლოთ დაეთვალიერებინათ, შეეფასებინათ და საკუთარი მოსაზრებები გამოეხატათ.

პროექტზე მონიტორინგს დაკვირვების დღიურის საფუძველზე ვახორციელებდი, რაც პროექტის მსვლელობისას ხარვეზების აღმოჩენასა და აღმოფხვრას მიაღვივებდა. პროექტის ყველა აქტივობაში, მოსწავლეებთან ერთად, ჩართულები იყვნენ მშობლებიც. მათი თანადგომით პროექტი უფრო მეტად სახალისო გახდა ბავშვებისთვის.

დასასრულს შევჯავამეთ განეული სამუშაო – რამდენად შეუწყობ ხელი პროექტში ჩართულობამ ნატიფი მოტოროის განვითარებას და პრობლემის აღმოფხვრას. ამ ეტაპზე, დასახულ მიზანს მივალნივ, მოსწავლეებს აღარ ეშლებათ შ-წ, წ-მ, ხ-ძ ასოების გარჩევა, ასოების მოხაზულობა გამოასწორეს, მოეხსნათ დაძაბულობა წერის დროს. პერიოდულად, აქტივობებს ისევ განვახორციელებ, რათა შედეგი არ იყოს მოკვლეადიანი და იმავე პრობლემა მომავალში ისევ არ იჩინოს თავი. ამ პროექტმა მოსწავლეებს განუვითარა, ასევე, თანამშრომლობითი, შემოქმედებითი და პრეზენტაციის უნარები, მშობლებს კი საშუალება მისცა, აქტიურად ჩართულიყვნენ სასკოლო ცხოვრებაში.

თამარ მგალოზიშვილი

სისო გოგიტა კიკნაძის სახელობის თბილისის №182 საჯარო სკოლის დანეებითი კლასის პედაგოგი

წყარო: <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%90>
<http://mastsavlebeli.ge/?p=14733>



სწავლის მეთოდი

განახლებადი ენერჯიკა

მოსწავლეებში მასალის ხარისხიანად და ხანგრძლივი დროით დამახსოვრებისთვის, მათი შემეცნებითი უნარების განვითარებისთვის, გონების გახალისებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვისთვის სისტემურად ვიყენებ პროექტ-გაკვეთილებს, რომლებიც პრობლემაზეა ორიენტირებული. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლებისას პედაგოგმა მოსწავლეებს უნდა დაანახოს, რომ საკითხი, პრობლემა, რომელიც მრავალგვარი მიდგომითა და გზით შეიძლება გადაჭრას, საჭიროებს ძიებას, ალტერნატივების დაშვებას და იდეების ჩამოყალიბება-განვითარებას. მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ სასწავლო მასალა (ინფორმაცია) და პრობლემის გადაჭრის მათემატიკური ხედვა რეალური ცხოვრების მიზნებსა და მოთხოვნებს მიუხადავონ. ამ მიზნით, მოსწავლეებს დავალებად მივეცი პროექტი „განახლებადი ენერჯიკა“. მათ წარმოადგინეს სათბობ-ენერჯიკული რესურსების მნიშვნელობა, რომლის გარეშე ენერჯიკის განვითარება შეუძლებელია. ჩვენ, ყოველდღიურად, ელექტროენერჯიკაზე ვართ დამოკიდებული, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ დღევანდელ მსოფლიოში თითქმის 1,5 მილიარდამდე ადამიანი ჯერაც მოკლებულია ელექტროენერჯიკის გამოყენების შესაძლებლობას. მოსწავლეებმა მოიძიეს ინფორმაცია თბოელექტროსადგურებზე, ჰიდროელექტროსადგურებზე, ატომურ ელექტროსადგურებზე, მათი მუშაობის პრინციპზე და აღნიშნეს მათი როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები. პრობლემის გადაჭრის გზების ძიებამ ისინი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საჭიროა ალტერნატიული წყაროების გამოყენება: მზის, ქარის, გეოთერმული და ბიოგარსის. ამ განახლებადი ენერჯიკის შესასწავლად, მოსწავლეებს დავავალე, გამოეყენებინათ კომპიუტერული ტექნოლოგია და განახლებადი ენერჯიკის წყაროების პოპულარიზაცია მოეხდინათ.

მოსწავლეებმა წარმოადგინეს განახლებადი ენერჯიკის წყაროების მონოპოლოპების საშუალებები, მაგ.: მზის ენერჯიკა, სპეციალური დანადგარების საშუალებით, თბურ ან ელექტროენერჯიკად გარდაქმნება. ასეთივე ტიპის მონოპოლოპებია: მზის

კოლექტორი, სადაც წყალი ცხელდება და გამოიყენება გათბობისა და ცხელი წყლით მომარაგებისთვის; მზის ელექტროსადგური, რომელიც ორი ტიპისაა: პირველი – მზის ენერჯიკიდან იღებს თერმურ ენერჯიკს და შემდეგ ელექტროენერჯიკად გარდაქმნის. მზის ენერჯიკის გამოყენება დამოკიდებულია გეოგრაფიულ მდებარეობაზე. დედამიწაზე ყველაზე ძლიერი ნათება ეკვატორზეა, მისგან დაშორებით კი მცირდება. მზის ენერჯიკის გამოყენების თვალსაზრისით, გამოირჩევიან ისეთი ქვეყნები, როგორცაა: გერმანია, იტალია, იაპონია, აშშ, ესპანეთი, ჩინეთი, საფრანგეთი, ჩეხეთი, ბელგია, ავსტრალია. საქართველოში, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საკმაოდ მაღალია მზის ენერჯიკული და ხანგრძლივი გამოსხივება, მისი წლიური პოტენციალი 34 ათასი ტონა პირობითი სათბობის ეკვივალენტი, რაც მეტად მნიშვნელოვანი რესურსია. ევროკავშირის ქვეყნები ესწრაფვიან, რომ 2020 წლისთვის მზის ნიღმა ელექტრომომხარებაში 20%-ს მიაღწიოს, ხოლო 2040 წლისთვის – 40%-ს.

ქარის ენერჯიკის ინტენსიურ განვითარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქარის ელექტროსადგურების ჯამურმა სიმძლავრემ, 2016 წლის 31 დეკემბრისთვის, 486,7 გიგავატს მიაღწია. 2016 წელს, საქართველოში, ექსპლუატაციაში გაუშვეს 20,7 მგვტ-ის სიმძლავრის ქარის პირველი ელექტროსადგური.

მზისა და ქარის ელექტროსადგურების ერთი თავისებურება: მათი მუშაობა ხასიათდება დიდი ფლუქტუაციით (ცვალებადობით, რომელზეც მოქმედებს დღე-ღამე, ღრუბლიანი ამინდი, ქარი და უქარო საათები, დღეები), რაც ენერჯიკულ სისტემაში მათი ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სარეზერვო სიმძლავრეების არსებობას მოითხოვს და გამოიყენება ისეთი ენერჯიკული სიმძლავრეები, რომელთაც მანევრირების მაღალი ხარისხი აქვთ. ასეთია, პირველ რიგში, წყალსაცავიანი ჰესები, ჰიდროაკუმულაციური ჰესები, რომლებიც საქართველოში არ გვაქვს.

საქართველოს ენერჯიკულ ბალანსში გეოთერმულ წყლებს მცირე წილი აქვთ და, ძირითადად, გამოიყენება ან სა-

ყოფაცხოვრებო მიზნებისთვის, ან სოფლის მეურნეობაში სათბურების მოსაწყობად.

ენერჯიკის მნიშვნელოვანი წყაროა, აგრეთვე, ბიომასა. საქართველოში მერქნის საერთო მარაგი – 452მლნ.მ3 მსოფლიო მარაგის 0,13%-ს შეადგენს. საქართველოს ტყეების ენერჯიკული პოტენციალი მიჩნეულია 0,8მლრდ. კვტს-ის ეკვივალენტად.

კვლევების თანახმად, 2040 წლისთვის, მსოფლიოში, ენერჯიკაზე მოთხოვნა (საერთაშორისო ენერჯიკული სააგენტოს მონაცემებით) 37%-ით გაიზრდება. ეკოლოგიური პრობლემები უზიარებლად მსოფლიოს, განვითარდეს ენერჯიკის განახლებადი „სუფთა“ წყაროები. აშკარაა, ეფექტურად გამოიყენების შემთხვევაში, განახლებადი ენერჯიკით შესაძლებელი გახდება 9 მლრდ. ადამიანის ენერჯიკაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება. საქართველოსაც აქვს შანსი, ამ მიმართულებით, ძალიან წარმატებული ქვეყანა გახდეს.

პროექტ-გაკვეთილი მოსწავლეებს ცოდნის პრაქტიკაში გამოიყენების უნარ-ჩვევას უვითარებს, მრავალგვარი სტრატეგიის გამოყენება კი მრავალფეროვან და საინტერესო სასწავლო პროცესს უზრუნველყოფს, ამასთანავე, ამცირებს დისციპლინურ პრობლემებს, რადგანაც ზრდის სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხს და მოსწავლისგან მეტ აქტიურობას, ინიციატივასა და ქმედითობას მოითხოვს. ყოველთვის დიდი ინტერესით ვეცნობი და ვიზიარებ კოლეგების პროფესიულ გამოცდილებას ჩემს საგანში და ვიყენებ ყოველდღიურ პედაგოგიურ საქმიანობაში. ვფიქრობ, შემოთავაზებული მასალა დაინტერესებს მასწავლებლებს, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და პრაქტიკული გამოცდილების დაგროვებაში წაადგებათ.

ლელა ჯანაჯიანი
 უფროსი მასწავლებელი, ზუგდიდის მე-10 საჯარო სკოლა

გამოყენებული ლიტერატურა:
 დავით მირცხულავა – „რესურსები“;
 მაია ჭანტურია – „გეოგრაფია“;
 „სწავლება და შეფასება“ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008.

გასვლითი გაკვეთილი – თამარის ეპოქა და ჩემი სოფელი

მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად საჭიროა შესაბამისი გარემოს შექმნა, რისთვისაც აუცილებელია სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო აქტივობების მოფიქრება და მომზადება.

მასწავლებელმა, ძირითადი აქტივობებიდან გამომდინარე, მკაფიოდ უნდა განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი, აუცილებლად გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა, გაიზაროს შედეგი, რომლის მიღწევასაც აპირებს, და აქედან გამომდინარე, დაგეგმოს აქტივობები. პოზიტიური გარემოს შექმნაში მასწავლებელს განსაკუთრებული როლი ენიჭება.

ვფიქრობ, ძალზე მნიშვნელოვანია ინოვაციური გაკვეთილები, კერძოდ, გასვლითი გაკვეთილი. შემოგთავაზებთ ჩემ მიერ მე-10 კლასში ქართულში ჩატარებულ გასვლით გაკვეთილს, ისტორიასთან ინტეგრირებულს.

ტთან და მსჯელობს, თუ როგორ აისახა ეპოქის ისტორიული ვითარება, კულტურული და ლიტერატურული ტრადიციები.

ისტორია მე-10.1. მიმოიხილავს ეპოქის ისტორიას, ისაუბრებს ისტორიულ ფონზე.

ისტორია მე-10.3. მონაწილეობს დისკუსიაში, ისტორიულ კონტექსტში.

ისტორია მე-10.8. გამოდის აუდიტორიის წინაშე და აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებას.

წინარე ცოდნა: მოსწავლეებმა იციან შოთა რუსთაველის ვინაობა, ვის მიუძღვნა პოემა „ვეფხისტყაოსანი“, იციან პროლოგი, ეპილოგი; პოემაში ასახული მიჯნურობა, მეგობრობა, პატრიოტიზმი და სხვა.

სასწავლო რესურსი: სახელმძღვანელო, კომპიუტერი, პორტრეტები, წინა საგაკვეთილო დავალებები.

გაკვეთილის მსვლელობა: მოსწავლეები სხდებიან ხიდზე. წინასწარ შემუშავებული აქვთ ქცევის წესები.



პირველი გაკვეთილი
თემა: შოთა და თამარი. თამარ მეფე და ჩემი სოფელი

მიზანი: მოსწავლეები, მასწავლებელთან ერთად, მიმოიხილავენ შოთა რუსთაველის პოემას, მის პროლოგს, ეპილოგს; გაიხსენებენ ავტორის ვინაობას, იმასაც, რომ შოთამ პოემა თამარ მეფეს მიუძღვნა, გაიხსენებენ თამარის ეპოქას; ისაუბრებენ ლეგენდებზე, თამარის შესახებ, ჩვენს სოფელთან დაკავშირებით.

ეს-ბ-განსაზღვრული შედეგი:
ქართული მე-10.1. მოსწავლეს შეუძლია სასკოლო და საკლასო დისკუსიებში მონაწილეობა.
ქართული მე-10.2. კამათის დროს იცავს შესაბამის ტაქტიკას.
ქართული მე-10.3. მოსწავლეს შეუძლია აუდიტორიის წინაშე გამოხატვა, ზეპირი კომუნიკაციების გამოყენება.
ქართული მე-10.8. მოსწავლე აკავშირებს მხატვრულ ნაწარმოებს ისტორიულ კონტექსტთან

გაკვეთილი იწყება მუსიკის ფონზე.

კლასის ორგანიზება (5წთ): მოსწავლეებს ვაცნობ გაკვეთილის მიზანს, ასევე განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმებს.

აქტივობა 1 (5წთ) – მიმოიხილავთ პოემის მთავარ მოტივებს, ისტორიულ ეპოქას, თემას, იდეას. ვსაუბრობთ ავტორსა და თამარ მეფეზე, სიყვარულზე, ვქმნი პოზიტიურ გარემოს.

აქტივობა 2 (20წთ) – თამარის ეპოქა და ჩემი სოფელი
 ვაკეთებ შესავალს თემაზე და ერთ მოსწავლეს ვთხოვ, გაგვაცნოს თალიანი ხიდის ისტორია. იგი აკეთებს პრეზენტაციას: „თალიანი ხიდები აჭარაში“.

გაისმის ლექსი: „ქალი ქართველთა გულისთქმე“. აქ ჩერდება გაკვეთილი და მივდივართ თამარის წყაროსთან.

აქტივობა 3 (5წთ). ვსაუბრობთ, როგორ უყვარდა თამარს ეს წყარო. შემდეგ გადავდი-

ვართ „ჭურის სასვენი“ ლელესთან.

აქტივობა 4 (10წთ) – ჭურის სასვენი ლელე ლეგენდა. გვესაუბრება ნინო ბერიძე.

მეორე გაკვეთილი
აქტივობა 5 (10წთ) – „ნახუცარში და ნალობიევიში“
 მოსწავლეები ამ გეოგრაფიული ადგილებისა და ტოპონიმების წარმოებაზე საუბრობენ.

აქტივობა 6 (10წთ) – „სომონაურში“
 ყვებიან ლეგენდას, თუ როგორ იცვალა სახე ტოპონიმმა (სიმანური).

აქტივობა 7 (8წთ). დისკუსია: რამდენად დამაჯერებელია თამარ მეფის ასე დიდი ისტორია დაკავშირებული ჩვენს სოფელთან? მოსწავლეები მსჯელობენ, კამათობენ – დამაჯერებელია, არ არის დამაჯერებელი, შემდეგ მიდიან კონსენსუსამდე: ტყუილია, თუ მართალია, მაინც მართალია და ჩვენთვის დიდად საამაყოა.

აქტივობა 8 (4წთ). რა ვიცოდი, რა გავიგე, რა მინდა გავიგო.
აქტივობა 9 (5წთ). მოსწავლეები „ვეფხისტყაოსანს“ ხელიდან ხელში გადასცემენ და კითხულობენ ლექსებს „ვეფხისტყაოსანზე“.

ვაჯამებთ გაკვეთილს, ვაფასებთ განმავითარებელი შეფასებით. ვსაუბრობთ საშინაო დავალებაზე.

თავისუფალი თემა: სად ისურვებდით შემდეგ გასვლით გაკვეთილს?
მოსწავლეები: შემდეგი გასვლითი გაკვეთილი გვსურს ჩავატაროთ ტაო-კლარჯეთში.
თემა: გრიგოლ ხანძთელი და ტაო-კლარჯეთი.



გასვლითი გაკვეთილი ძალზე საინტერესო და შემეცნებითი იყო. მოსწავლეებს განუვითარა მრავალმხრივი უნარი: მათ შეძლეს უამრავი საინტერესო მასალის მოძიება, გამოიმუშავეს მსჯელობის უნარი, კამათის ხელოვნება, ისწავლეს, როგორ აიღონ ინტერესი, როგორ დაუსვან შეკითხვები რესპონდენტს; მოიძიეს თეორიული საკითხები: ტოპონიმის ცნება, ლეგენდა. იმსჯელეს ტოპონიმების წარმოებაზე (ენობრივი მხარე); ისწავლეს დისკუსიაში მონაწილეობა, საკუთარი აზრის გამოთქმა და სხვისი აზრის პატივისცემა; მეტად დააფასეს საკუთარი კუთხის მნიშვნელობა და ღირებულება, დაუფლათ სიამაყის გრძობა, გახდნენ თავდაჯერებულნი, რაც მათ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის პოვნასა და დამკვიდრებაში დაეხმარება.

ფატი მახარაძე
 ლევან ბერიძის სახელობის შუახვევის მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტიოს საჯარო სკოლის პედაგოგი

ელექტრობა – მისტიკური და ამოუცნობი სამყარო

მოსწავლეთათვის ელექტრობის გაცნობისას მასწავლებელს უდიდესი როლი აქვს. მან უნდა შეამზადოს ისინი მისტიკურ და ამოუცნობ სამყაროში მოგზაურობისთვის, მეგზურობა და ფასილიტაცია გაუწიოს მათ ამ რთულ და საინტერესო გზაზე.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლეები ძალებს ეცნობიან მე-7 კლასში, ხოლო ელექტრულ და მაგნიტურ ურთიერთქმედებას – მე-8 კლასში, მე-9 კლასში – გრაფიტაციული მიზიდულობის ძალას. ამ დროს მათ აზროვნებაში იყრება ფუნდამენტური შედეგები ველის გაცნობაზე. მე-10 კლასში მოსწავლეთა ცნობიერება უკვე მზადაა, შეიმეცნოს ველის კონცეფცია, მაგრამ მათ გონებაში ჯერ კიდევ მყარად სუფევს აზრი, რომ მატერია არის ყველაფერი ის, რასაც ხედავენ. სინამდვილეში მატერიალურია ყველაფერი, რაც არსებობს სივრცეში და აქვს თვისებები.

– რატომ ცვივა საგნები ქვევით?
– ამას აკეთებს ველი, დედამიწის გრაფიტაციული ველი, რომლის მეშვეობითაც დედამიწა მოქმედებს სხეულებზე. ველი მატერიის ერთ-ერთი ფორმაა.
შეიძლება ზოგიერთმა მოსწავლემ გამოთქვას მოსაზრება, რომ ეს „არაფერია“.

– თუ არაფერია, რატომ არსებობს კანონზომიერება, რომელიც არასდროს არ ირღვევა? ეს კანონზომიერება რომ არ იყოს, ჩვენ დედამიწაზე საირუსს ვერ შევძლებდით.

ამ მსჯელობის შემდეგ მოსწავლე ალბათ უკვე მიხვდება, რომ ველი მატერიალურია.

უფრო რთულია, მოსწავლეებს ავუსხნათ ელექტრული ველი. ეს მართლაც მისტიკური სამყაროა. ველაპარაკებით ელექტრონზე, რომელიც არავის თვალში არ უნახავს; ველზე, რომელსაც არც ვერ აქვს, არც გემო, არც ხილულია.

მოსწავლე ყველაზე კარგად აღიქვამს მხოლოდ იმას, რასაც პრაქტიკაში აქვს ადგილი. იგი ყოველდღიურად უყურებს დედამიწის გრაფიტაციულ ველში სხეულების ქვევით ვარდნას. ხოლო ელექტრულ ველს, გრაფიტაციული ველისგან განსხვავებით, უცნაური თვისება აქვს: ზოგიერთი სხეული მიიზიდოს, ზოგიერთი კი – განიზიდოს. რა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მოსწავლემ ამ სამყაროს გასაღები მოუძებნოს?

პირველ რიგში, აუცილებელია მოტივაციის აღძვრა, რაც ცხოვრებისეული მაგალითების მოყვანით შეიძლება. მაგალითად, დავსვათ კითხვა, რომელიც მოსწავლეს ინტერესს აღუძრავს. ელექტრული მუხტის შესწავლისას, დევიდ ჰოლიდის, რობერტ რენიკისა და ჯერლი უოლკერის ფიზიკის საფუძვლებში, რომელიც ამერიკის ფიზიკოსთა საზოგადოებამ 2002 წელს მე-20 საუკუნის გამორჩეულ სახელმძღვანელოდ დაასახელა, ბერის სახლისო პრაქტიკის მაგალითი მოყვანილი. ნახატზე გამოსახული ქალი სეკვიას ნაციონალური პარკის გადასახედ მოედანზე იდგა, როდესაც მის თავზე საავდრო ღრუბელი ჩამოწვა.



– რა დემარტა მას?
შევიპრდეთ, რომ თეორიის შესწავლის შემდეგ ამ კითხვას გაეცემა პასუხი.

მოსწავლის გონებაში დამკვიდრებული აზრობრივი სქემები რომ ავამუშაოთ, საჭიროა უცნობი დავუკავშიროთ ნაცნობს. ვახსენოთ, რომ ბუნება ერთიანია. არსებობს ანალოგიები, რომლებიც მოსწავლის გონებაში ამ დაკავშირებას შეძლებს. მაგალითად, შევადაროთ გრაფიტაციული და ელექტრული ველი. კარგი იქნება, ვენის დიაგრამების გამოყენებით, მსგავსებებისა და განსხვავებების ჩვენება. პროპორციულობის კოეფიციენტების შედარებით, მოსწავლე პირველ აღმოჩენას გააკეთებს: გრაფიტაციული მიზიდულობის ძალა ძალიან სუსტია ელექტრულთან შედარებით.

– ნუთუ ძალა, რომელიც დედამიწას ამოძრავებს მზის გარშემო, ასეთი სუსტია?
ამ კითხვაზე პასუხისთვის მოსწავლეს შესთავაზეთ, ხელით

ასნიოს კალამი და უთხარით, რომ ამ კალამს ერთი მხრიდან მთელი დედამიწა ეწევა, მეორე მხრიდან კი – თვითონ.

– ვინ აჯობა? – იგი გახარებული გიპასუხებთ, რომ თვითონ.
– აბა, ვინ გამოიცინოს მეორე განსხვავებას? ვილაცას მაინც გაახსენდება გარემოს დიელექტრიკული შეღწევადობა. აღმოჩნდება, რომ ელექტრული ველი ვაკუუმში მაქსიმალურია, გრაფიტაციულისთვის კი გარემოს მნიშვნელობა არ აქვს.

მესამე განსხვავების დასაფიქსირებლად შევთავაზოთ თამაში: წარმოიდგინოთ ვირტუალური სამყარო, სადაც მხოლოდ „დედამიწა“, წრეები, სამკუთხედები და ოთხკუთხედებია. ამ „დედამიწას“ საოცარი უნარი აქვს: მიიზიდოს სამკუთხედები და განიზიდოს ოთხკუთხედები, ხოლო წრეებზე არ იმოქმედოს. მოსწავლე მაშინვე მიხვდება, რომ სამკუთხედები დადებითად დამუხტული ნაწილაკებია, ოთხკუთხედები – უარყოფითად, ხოლო წრეები ნეიტრალურია. ასეთი „დედამიწა“ უარყოფითად არის დამუხტული. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეებს გაუჩნდებათ კითხვა: მაინც რატომ ჰგავს ეს ორი ძალა ერთმანეთს? თქვენ შეგიძლიათ უპასუხოთ:

– თუ ორ ძალიან მსგავს ადამიანს ხედავთ, იფიქრებთ თუ არა, რომ მათ საერთო წინაპარი ჰყავდათ?

ამ საკითხზე უმჯობესია თვითონ მოსწავლემ მოიძიოს ინფორმაცია. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მეცნიერებას ჯერ ყველა კითხვაზე პასუხი არ გაუცია. ფიზიკა ელოდება მომავალ ნიუტონებს და აინშტაინებს, იქნებ ისინი ჩვენი მოსწავლეები არიან, ინტერესით რომ უზრუნველყოთ თვალის?

მოსწავლეებს კარგად უნდა გაავთავისებინოთ ბუნების ფუნდამენტური კანონები. ვკითხოთ, სად უფრო დაცულად გრძობენ თავს, ქვემოთ თუ რაიმე სიმაღლეზე, მაგალითად, ხეზე? ასევე სხეულები „თავს კარგად გრძობენ“ რაც შეიძლება დაბლა, ენერჯის მინიმუმის პირობებში. ამას ძალდაუტანებლად აკეთებს ველი, ანუ ველი თუ ასრულებს დადებითი სამუშაოს, სხეულთა სისტემის პოტენციური ენერჯია კლებულობს. პოტენციური ენერჯის დანაკლისი კინეტიკურში და სითბოში გადადის. ამ სამყაროში არაფერი არ იკარგება, უბრალოდ, ფორმას იცვლის. რაც შეეხება ენერჯის გარდაქმნას ელექტრულ ველში, მოვიშველიოთ ჩვენი თამაში „ვირტუალური სამყარო“.

– სამკუთხედი მოდის „დედამიწისკენ“. როგორ სამუშაოს ასრულებს „ვირტუალური“ ველი? – დადებითს, რადგან მას ეს უნდა.

– ზევით რომ მიდიოდეს? – ვილაც იტყვის, რომ ეს შეუძლებელია, „დედამიწა“ ხომ სამკუთხედებს იზიდავს? მასწავლებელი მოსწავლეს სთხოვს, ასნიოს კალამი. კალამს ხომ შეუძლია ზევით წასვლა? ეს გრაფიტაციულ ველს არ უნდოდა, მაგრამ ხომ მოეახერხებო?

– რა მუშაობას ასრულებს ამ პროცესში დედამიწის გრაფიტაციული ველი? – უარყოფითს.

– მაშინ რა მოუვა სამკუთხედის პოტენციურ ენერჯიას, როცა „დედამიწიდან“ ზევით აწევთ? – გაიზრდება.

– ოთხკუთხედის პოტენციურ ენერჯიას, როცა იგი ზევით მიდის? – შემცირდება, რადგან ის ხდება, რაც ველს უნდა.

მაშასადამე, თუ დადებითი მუხტი მიდის დაძაბულობის მიმართულებით ან უარყოფითი მუხტი – დაძაბულობის საპირისპიროდ, ორივე შემთხვევაში, მათი ველთან ურთიერთქმედების პოტენციური ენერჯია მცირდება. ასეთი აქტივობით მოსწავლეები უკეთ იგებენ ელექტრული ველის არსს.

ელექტრული ველის მახასიათებელია დაძაბულობა, რომლის ანალოგი მექანიკაში არის თავისუფალი ვარდნის აჩქარება.

დაძაბულობა განიმარტება, როგორც ველში მყოფ მუხტზე მოქმედი ძალის შეფარდება ამ მუხტის სიდიდესთან. რიცხობრივად

$$E = F/q$$

იგი დამოკიდებულია ველის შემქმნელი მუხტის სიდიდეზე და მანძილზე ამ მუხტიდან

$$E = k$$

თავისუფალი ვარდნის აჩქარება დედამიწასთან ახლოს ერთნაირია ნებისმიერი მასის სხეულისთვის.

$$g =$$

იგი დამოკიდებულია დედამიწის მასაზე და მანძილზე სხეულისა და დედამიწის ცენტრებს შორის, ანუ დედამიწის რადიუსზე.

$$g = G$$

გ ვექტორები, რომლებიც დედამიწის ცენტრში გადაკვეთილ წრეებზე ძევს, დედამიწის ზედაპირთან თითქმის პარალელურია და ეს ველი ერთგვაროვან ელექტრულ ველს ჰგავს (დიდ მანძილებზე კი, როდესაც დედამიწა ნივთიერ წერტილად შეგვიძლია ჩავთვალოთ, იგი წერტილოვანი მუხტის ველის მსგავსია), ამიტომ, პოტენციურ ენერჯიებს შორის ანალოგია:

$E = mgh$, გრაფიტაციული ველისთვის; $E = qEd$, ელექტრული ველისთვის.

ელექტროდინამიკაში შეიძლება მოვხვებით მექანიკურის ანალოგიური სიდიდეები. მაგალითად, ომის კანონის ახსნისას შეიძლება გამოვიყენოთ ასეთი ანალოგია:

– როდის დაგორდება ბურთულა?
– როდესაც მას მოვთავსებთ დახრილ სიბრტყეზე. რაც მეტია სიმაღლეთა სხვაობა, მით მეტ სიჩქარეს შეიძენს ბურთულა დახრილი სიბრტყის ფუძესთან.

ანალოგიურად, თუ ორ წერტილს ტოლი პოტენციალები აქვთ, დენი არ გაივლის. რაც მეტია პოტენციალთა სხვაობა, მით დიდია დენის ძალა. ახლა ვილაპარაკოთ წინააღმდეგობაზე. შევადაროთ გლუვი და არაგლუვი დახრილი სიბრტყეების ფუძესთან ბურთულის სიჩქარეები. რაც მეტია ხახუნი, მით ნაკლებია სიჩქარე. ასევე, რაც მეტია წინააღობა, მით ნაკლებია დენის ძალა.

ელექტრული დენის დინება შეიძლება შევადაროთ წყლის დინებას მდინარეში.

– სად უფრო ადვილად გადის წყალი, გრძელ, ვიწრო მილში თუ განიერსა და ფართოში?

ამ შედარებით მოსწავლე ხვდება, რაზე შეიძლება იყოს დამოკიდებული გამტარის წინააღობა.

საინტერესოა, რა ანალოგია შეიძლება მოვიყვანოთ დენის წყაროს მოქმედების პრინციპის ასახსნელად. მე ჩემს გამოცდილებას გაგანდობთ. მოსწავლეებს ვეკითხები, უნახავთ თუ არა დეკორატიული ჩანჩქერი, საიდანაც წყალი სულ მოედინება. ვეკითხები – „საიდან მოდის წყალი?“ ისინი მპასუხობენ, რომ წყალი ცირკულირებს. ერთიანი მსჯელობით მივდივართ დასკვნამდე, რომ წყალი ზევით ადის გარე ძალის დახმარებით, ხოლო ქვემოთ დედამიწის გრაფიტაციული ველის საშუალებით ჩამოდის, ანუ წყალი რაღაც გარე ძალით აგვყავს ზემოთ, ვანიჭებთ მას პოტენციურ ენერჯიას, ხოლო ამის მერე ველი თვითონ ასრულებს მუშაობას. ასევე ხდება წრედში. დენის წყაროში გარე ძალები მუშაობენ, ხოლო ამ ენერჯიას ველი ხარჯავს გამტარებში გავლისას, როგორც პატარა ჩანჩქერებზე წყლის ჩამოვარდნისას. აქ ენერჯის მუდმივობაც ჩანს: თუ გვინდა წყალმა სულ იცირკულიროს, სულ უნდა ვანვდიდეთ ენერჯიას, მისი ზევით აზიდვის სახით. თუ გვინდა, რომ დენმა სულ იცირკულიროს, მუდმივად უნდა შევინარჩუნოთ პოტენციალთა სხვაობა. ზუსტად ამას აკეთებს დენის წყარო.

ბოლოს, უნდა მივუბრუნდეთ ადრე დასმულ შეკითხვას და ვთხოვოთ მოსწავლეებს, არსებული ცოდნის საფუძველზე, გასცენ კითხვაზე პასუხი:

– რა დემარტა სურათზე გამოსახულ ქალს?
– მისი სხეულის გამტარობის ელექტრონების ნაწილი, ღრუბლის უარყოფითი მუხტის გავლენით, მინაზე გადავიდა და ქალი დადებითად დაიმუხტა. დადებითად დამუხტულმა თმის ღერებმა ერთმანეთი განიზიდეს.

ამგვარად, ასეთი აქტივობები ააქტიურებს მოსწავლის შემეცნებას. ანალოგიები მუშაობენ, როგორც აზრობრივი სქემები, რის საშუალებითაც ხორციელდება გაგების აქტივობა. მასწავლებელი სწავლის პროცესში ფასილიტატორია. იგი ამზადებს მოსწავლეს, შეიმეცნოს ახალი, მისტიკური სამყარო, რომელიც უამრავ საინტერესო მოვლენას ახდის ფარდას. ამ გზით ცოდნა უფრო ორგანულად შემოდის მოსწავლის გონებაში და საჭირო მომენტში ადვილია მისი გააქტიურება.

ქეთევან საღრაძი
სსიპ ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლის
ფიზიკის ნაშენი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. Fundamentals of Physics, David Halliday, Robert Resnick, Jearl Walker;
2. Силы в природе. В. Григорьев, Г. Мякишев.

ინფორმაცია

საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა მე-7 კონკურსის ლაურეატი



დიდ წარმატებას მიაღწია ავთანდილ ვართავაგამ, კონკურსგარეშე მონაწილეთა შორის, ფორტეპიანოს ნომინაციაში. ავთანდილი ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის „ნიჭიერთა ათნლედის“ მე-3 კლასის მოსწავლეა, პედაგოგი – საქართველოს დამსახურებული პედაგოგი დოდო ცინცაძე, რომლის ყოფილი მოსწავლეები მსოფლიოს საუკეთესო დარბაზებში გამოდიან კონცერტებით. მიუხედავად მცირე ასაკისა, ეს ავთანდილის პირველი წარმატება არ არის, მის აქტივობა შემდეგი ჯილდოები – დიპლომი ო. თაქთაქიშვილის სახ. ლია კონკურსზე (თბილისი 2018), I პრემია – თ. ახობაძის სახ. ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე (თბილისი 2018).



რეზა თოფურიანი

საუბრაბი ლიტერატურაზე

რატომ მივინახლოთ ჯაკომო ლეოპარდის პოეზიას ქართულ რომანტიკოსთა სწავლების დროს

ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედების შესწავლისას მე-11 კლასში შეუძლებელია, გვერდი ავუაროთ მე-19 საუკუნის ევროპაში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს, რომანტიკოს პოეტებს, რომელთა პოეზია ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებას სულიერად ენათესავება. აი, მათი არასრული სია: გერმანიაში – ნოვალისი, ინგლისში – ბაირონი, საფრანგეთში – შატობრიანი, იტალიაში – ლეოპარდი... სწორედ ჯაკომო ლეოპარდია ჩვენი კვლევის ობიექტი.

ჯაკომო ლეოპარდი (1837-1898) მე-19 საუკუნის იტალიაში მოღვაწეობდა, როცა იტალიელი ხალხი თავგანწირვით იბრძოდა ეროვნული თავისუფლებისათვის. მას გულს უკლავდა თავისი ქვეყნის თავისუფლების დაკარგვა, არეულობა, მონობის ბოროტებები, ამიტომ გოდებდა:

„სამშობლოვ ჩემო, შენს დაქვევულ კედლებს დავტყობ, სვეტებს და თაღებს, ცივ ქანდაკებებს, / ცისკენ გაშვერილ კოშკებს ცარიელს, / და ყრუდ ქვითინებს გული ჩემი, გული მარტვილი...“

„იტალიისადმი“ / ალექსანდრე ჭავჭავაძეც მსგავსად გოდებს:

„წინაპართ სისხლს ან ჩვენს შორის არღა მდინარებს, თავისუფლება განქრა ჩვენითვის, რაღა გვახარებს?!“... ან კიდევ:

„აჰა, პალატა დიდებულია ნგრეული ნაშთი, აი, ქალაქთა ჩინებულითა ხვედრი უცილო“... ჯაკომო ლეოპარდი იცის გმირების ფასი, იცის მათი თავგანწირვის მნიშვნელობა:

„რა ცეცხლი გვავადდა, რა მზე გადავადდა, ოდეს ღიმილით მიაშურეთ სიკვდილის მიწდევებს და უშიშრად გადაიარეთ, ოო, ბედნიერი ძილით იძინეთ, ეკოცნი ამ კენჭებს და ამ ნაფლეთებს“,

– აცხადებს ლეოპარდი და მზადაა, გმირთა დიდების საუკუნო მემკვიდრე დარჩეს ისე, როგორც გრიგოლ ორბელიანი: „გმირული, მამულის მადიდებ, თქვენა ხართ ჩვენი დიდება, თქვენთა სახელთა ამაყად წარმოთქვამს შთამომავლობა“...

ან კიდევ ნიკოლოზ ბარათაშვილი: „მაგრამ, ჰე, გმირნო, ნუ შეშოთადებით, თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით, რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდებთ, საშვილიშვილოდ გადაეცემის“ / „ბედი ქართლისა“ /.

როგორც ვხედავთ, იტალიელი პოეტის დამოკიდებულება სამშობლოსა და გმირებისადმი საოცრად ეხმიანება ქართველ რომანტიკოსთა განცდას საქართველოსადმი.

მაგრამ მხოლოდ ეს არ გახლავთ მიზეზი ჯაკომო ლეოპარდის პოეზიასთან მიხედვით... გადავხედოთ იტალიელი რომანტიკოსის ცხოვრებას – მარტოსული, ავადმყოფი, მხრებში მოხრილი, ფიზიკურად განუვითარებელი, ულამაზო, კუზიანი... მაგალარბებელი გრაფი, სიღარიბეში ჩაფლული არისტოკრატი... თითქოს საქართველოში დაბადებულიყოს ჯაკომო, ოცნებებიც ქართველი რომანტიკოსებისა ჰქონდა თითქოს: სამშობლოს ოქროს საუკუნის აღორძინებისათვის ბრძოლის სურვილი; მიძიმე ოჯახური ყოფის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა; სიყვარულის, სულიერი სიმშვიდის, ადამიანური ბედნიერების ძიება; უსასრულო და აუხსნელი სამყაროს შეცნობის სურვილი; ინტელექტის გზით ჭეშმარიტების მიგნება და პასუხი ცხოვრებისადმი და რადიკალიზმის მიუხაზრობა და შეურაცხყოფა, სიცივე და უმძაფრესი მარტოსულობა, თითქოს ტატოზე ვწერდეთ.

ჯაკომო ლეოპარდის აქვს ლექსი – „აზიამი მოხეტიალე მწყემსის ღამეული სიმღერა“, სადაც „მერანის“ ავტორის, ჩვენი საყვარელი პოეტის, ნიკოლოზ ბარათაშვილის სწრაფვას ეხმიანება: „ო, რომ შემეძლოს, უმძლავრესი ფრთებით ავფრინდებ და ვარსკვლავების უსასრულო სრბოლას ვუჭვრეტდე, მე ვიქნებოდი ბედნიერი...“

ან კიდევ: „თქვი, რას აკეთებ ცაზე, მდუმარე მთვარე... დახეტილობ სივრცეებში მარტოსულივით“, – ეს სტრიქონები ლეოპარდის ლექსიდანაა („სიმღერა“)... ბარათაშვილის მთანმშინის მთვარეც ხომ დისკოგადახრით შუქმიბინდულია, რომელსაც მოსდევს ვითა მიჯნური – ვარსკვლავი. ჯაკომო ლეოპარდის ცხოვრებაში არის კიდევ ერთი რამ,

ბოროტი სული, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებასაც სდევდა „წინამძღვრად და ოცნების აღმამფთვორად“, ჯაკომოს უცნაური სახელები შეურქმევია მისთვის: „ჰეი, ქვესკნელის სულნო – ფარფარელო, ჩირიატო, ბაკონერო, ასტარიტო, ალკინო... და რა ვიცი, კიდევ რა გქვიათ“... მათთან საუბარიც სულისშემძვრელია.

თუმცა, ჯაკომო ლეოპარდი ოდენ ბოროტი სულების, სევდისა და ტკივილის თეორეტიკოსი არ არის, იგი ბრძენია, რომელიც იხედება ყოველი ადამიანის სულში და გამოაქვს მართებული დასკვნა. აი, რამდენიმე მაგალითი: „მეზიზნება კაცთა სიმზდალე და უარყყოფ ნუგეშად შემოპარებულ ყოველგვარ სიკრულსა და სიყალბეს“ ან კიდევ: „მადლობა ღმერთს, რომ ამდენი სიმამაცე გამაჩნია, ქედუხრულად ავიტანო სრული უიმედობა და თამამად შემიძლია, თვალი გაუუსწორო ცხოვრების უდაბნოს“.

იტალიურიდან ქართულ ენაზე ჯაკომოს მთარგმნელის, ჯემალ ავიაშვილის აზრით, „ლეოპარდის ლექსებს არ გააჩნია მონესრიგებული რიტმი, სტრიქონებში მარცვალთა რაოდენობაც აღრეულია, მაგრამ, რაც მთავარია, ისინი სუნთქვენ სიღრმისეული დახვეწილობითა და ტკივილით, სინათლითა და ფრაზის მუსიკალური ელვარებით, გმირული პათოსითა და მსაასოვარი ჩურჩულით“. საოცრად ახლოსაა ქართველი რომანტიკოსების, განსაკუთრებით ნიკოლოზ ბარათაშვილის, სულიერ მოძრაობასთან. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ჯაკომო ლეოპარდის პოეზიას უნდა მივაახლოთ მეთერთმეტეკლასელები ქართველ რომანტიკოსთა შესწავლისას...

რუსუდან მებრეღაძე
სსიპ ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
ჯაკომო ლეოპარდი – „ლირიკა“ („განათლება“, 1965);
ჯაკომო ლეოპარდი – „დილოგები“ („მერანი“, 1984);
ვახტანგ როდონია – „ქართული ენა და ლიტერატურა“, XI კლასი.

„ნათესავნი ქართველნი“ და „ქართველნი დასავლისანი“

„ქართველმა ხალხმა ქრიატიანობიდან მიიღო და შეისისხლხორცა ის, რაც მისთვის ყველაზე „მშობლიური“ აღმოჩნდა: შემწყნარებლობის იდეა და აღმშენებლობის (სიყვარულით-შენების) პათოსი.“ (გურამ ასათიანი – „სათავეებთან“). სიყვარულით აშენებდნენ ჩვენი წმინდა მამები ყველაფერს: ღვთის ტაძრებსა თუ ადამიანთა სულებს. სიყვარულით მამებებელთა რიცხვს განეკუთვნებიან ათონელი მამები: იოანე, ექვთიმე, გიორგი მთანმშინდელი. ჩემს საუბარს გიორგი მთანმშინდელი დაიწყო, რადგან მოგესხენებათ, იგია ავტორი ჰაგიოგრაფიული თხზულებისა „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“. მას კარგად ჰქონდა გააზრებული მამათა ღვაწლის მნიშვნელობა და სიდიადე ქვეყნისა და ერის წინაშე; ამ სიდიადეს გრიგოლ რობაქიძე თავის სტატიაში „საქართველოს ხერხემალი“ ეწის ქმნას უწოდებს. „ქმნადობა – შემოქმედება სიბრძნის ძალით ხდება“ – გვეუბნება რევაზ სირაძე, როდესაც გიორგი ათონელის ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალთახედვის შესახებ საუბრობს (რ. სირაძე, „ქართული ჰაგიოგრაფია“, გვ.172“. გამოდის რომ, სამივე წმინდა მამას ღვთაებრივი სიბრძნე აკავშირებს. რევაზ სირაძეს „იგავთა“ წიგნიდან მოყავს მაგალითი – „სიბრძნეებთან იშენა თავისა თვისისა სახელი, და ქუეშე შეუდგა მას შვიდნი სვეტნი“ (9.1).

სიბრძნით განაგებს იოანე ათონელი თავის სულიერ ცხოვრებას და ამიტომაც „ღირსი იყო და საყვარელი ღმრთისაი ნეტარი მამაი ჩვენი იოანე, რომელმან მსგავსად აბრაჰამისა, უცხოებია აღირჩია...“ ესეც ადიად ღმერთმან და სახელგანთა ყოვლითა სათნოებითა...და უფროის მის შვილისა მინიჭებითა... რომელი-იგი გამოჩნდა სამკაულად ნათესავისა ჩვენისა და მობაძავად წმიდათა მიციქულთა, განანათლა ქართველთა ენა და ქუეყანა... რომლისა-იგი ნამუშავეი ახარებს შორიელთა და ახსლობელთა. და თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტკობეაი, ვითარცა ნესტი ოქროისა ხმამალაი, ოხრის ყოველსა ქუეყანასა არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისასაცა...“ ნამდვილი დიდოსტატია ამ სიტყვების ავტორი, რამდენი მადლი და ინფორმაცია ჩაატია ერთდროულად პატარა მონაკვეთში და კიდევ შეფასება, შეფასება პირუთვნელი და მაღალმხატვრული – „ვითარცა ნესტი ოქროისა“. მწერალმა ორი სიტყვით გადმოგვცა იმ წარმოუდგენელი შრომის შედეგი, რომელსაც წმინდა მამა ეწოდა „საღმრთო მოქალაქობით“ ცხოვრების განმავლობაში.

რევაზ სირაძის თქმით – „გიორგი ათონელი პერსონაჟებს წარმოაჩენს არა ერთიანი გაბმული თხრობით, არამედ რამდენიმე სანიშნო ეპიზოდით“. ასეთ ეპიზოდს, ექვთიმეს, როგორც წმინდანისა და მთარგმნელის სახის გადმოსაცემად წარმოადგენს მისი ქართულად ამეტიყველების ამბავი. სულთმობრძავე შვილის მამა ღვთისმშობლის ხატს მიმართავს ვედრებით – „რაითა შემწე ყოს და ყოს ლხინებაი“ და ლოცვის შემდგომ მიისწრაფვის შვილის სენაკისაკენ, გააღებს რა კარს – „მეყვესულად ვიყნოსე სული სულნელებისაი საკვირ-

ველი. რამეთუ იქმნა მოხედვაი წმიდისა ღვთისმშობლისაი“. – გადმოგვცემს მწერალი იოანეს მონათხრობს და მოაყოლებს ექვთიმესა და ყოვლადწმინდა დედის გასაუბრებას – „ანლა წარმომიდგა ვინმე დიდებული დედოფალი და მრქვა ქართულითა ენითა: – რაი არს, რაი გეღმის ეფთვიმე? – ხოლო მე ვარქუ-მოგვედები დედოფალი! ...მან მიპყრა ხელსა და მრქუა – არარაი არს ვენებაი შენ თანა, აღდეგ, ნუ გეშინი და ქართულად ხსნილად უზნობდი!“ ეჭვგარეშეა „ნესტი ოქროისაი“ ამ ღვთაებრივი განცებულების შედეგი რომ იყო. ხოლო რაც შეეხება ფრაზას – „განანათლა ქართველთა ენა და ქუეყანაი“, რევაზ სირაძის აზრით, „განანათლა“ მოციქულებრივ მისიასაც ითვალისწინებს და აქ „მნიშვნელობს ზოგადი იდეალი“ – „სვეტი და სიმტკიცეო... ახალი მოციქულ“ – მიმართავს ექვთიმეს საგალობელში ბასილ მთანმშინდელი. ამდენად, ნათლად შეგვიძლია დავინახოთ თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო ექვთიმეს ღვაწლი ქართველთა წინაშე და როგორ აღასრულა მან მამის სურვილი და მოწოდება – „ან ილვანე, რაითა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან.“ გიორგი მთანმშინდელი აღფრთოვანებულია რა ექვთიმეს საქმიანობით ამბობს: „ეგვეთარო თარგმანი არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩვენსა და გვონებ თუ არცაღა გამოჩინებდა არს.“ ახლა კი მივუბრუნდეთ ფრაზას – „უცხოებია აღირჩია“, თუ რატომ აღირჩია იოანემ „უცხოებია“ და იმ უცხოებაშიც რატომ „ივლტოების სპანაიდ“. რევაზ სირაძე ასე აღწერს იოანეს მოღვაწეობის ტრადიციურას: მას შემდეგ დაუტევა რა „მეუღლე და შვილი თვისნი და ნათესავნი“ და „აღილო ჯუარი მხართა თვისთა ზედა“ და „დავით კურპალატის წინაშე მოვიდა“, ხოლო მან „ოთხთა ეკლესიათა წარმოგზავნა“ – „ოთხთა ეკლესია, ულუმბოს მთა, შემდეგ ათონი, ათასასეს ლავრა“ (რ. სირაძე, „ქართული ჰაგიოგრაფია“, გვ.171). როგორც ვხედავთ, ოთხთა ეკლესიიდან იოანე მიდის. მისი ნასვლის მიზეზს ავტორი არ გვიხელს, სამაგიეროდ მოგვიანებით გვეუბნება თუ რის გამო განიზრახეს ნასვლა ოთხთა ეკლესიისაგან იოანე გრძელსქემ და ბასილ მთანმშინდელმა, „რამეთუ ვითარ იგი უნდა მყუდროებოთ ცხოვრებია, ვერ იყოფებოდის, რამეთუ აწყინებდიან მამასახლისნი და ძმანი მონასტრისანი“ და „წარვიდეს უცხოთა ქუეყანასა... კერძოთა პონტოსისათა უდაბნოთა ადგილთა...“ გიორგი მთანმშინდელი ობიექტური მწერალია და „ბედნიერი ერის“ შვილთა ჩვეულ თვისებას არ მალავს, არ მალავს ასევე მეორე შემთხვევის დროს, როდესაც „უცხოობაში“ მყოფი იოანე მთანმშინდელი უფრო შორულ უცხოობაში ნასვლას გადამწყვეტს შვილით და რამდენიმე მონაფითურთ – „ივლტოდის სპანაიდ“. მიუღწევიათ კიდევაც ავიდოსამდე – „წარვიდა ვიდრე ავიდოსამდე“, საიდანაც ავიდოსის მთავრის წყალობითა და ღვთის ნებით „ძლით დაარწმუნეს მეფეთ მონასტრადე“ მიქცევად. ამ გადამწყვეტილების მიზეზს იგი შემდეგნაირად განუმარტავს „მეფეთ“ – „მოვიდა თვისი ჩემი თორნიკ და მისითა გზითა

დიდთა შულთა შთავარდი და ერისკრებასა. მნებავს, რაითა ამის ყოვლისაგან თავისუფალ ვიქმნა და სულისა ჩემისა ზრუნვასა შუდგე“. „გიორგი ათონელის ნაწარმოებში ძალზე დიდად მნიშვნელობს ართქმა ბევრი რამისა, ასეთი ართქმა ქმედითი ფსიქოლოგიური ფაქტორია. თანაც ართქმა ზრდის თქმულის, მონათხრობის მნიშვნელობას.“ (გვ.171), რევაზ სირაძის ეს სიტყვები განსაკუთრებით მიესადაგება ზემოთქმულ მონაკვეთს. როგორ უნდა გაემწარებინათ ისეთი ღვთივცათნო მამა, როგორც იოანე ათონელი იყო, რომ მეფეთაც კი ძლივს დაერწმუნებინათ მონასტრში დაბრუნებაზე. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ იგი არ ფიქრობს სამშობლოში დაბრუნებას, არამედ სამშობლოს გარეთ ეძებს „ქართველთა ნათესავთ“; რაც შეეხება „სპანაის“, როგორც რევაზ სირაძე გვაუწყებს – „ესაა პირველი და ერთად-ერთი მოხსენიება უძველეს ქართულ პროზაში ესპანეთის იბერებისა“, ანუ ქართველებისა. კორნელი კეკელიძის აზრით, ივირონელები ეტყობა ინტერესდებოდნენ ხალხთა გენეალოგიის საკითხებით, რისი გამოხატულებაცაა „ხალხთა მოდგმის წიგნი“ ნაწილების ქართულად გადმოღება (კ. კეკელიძე, ეტიუდები, I, გვ.168-182). ისტორიკოსი გიორგი ქავთარაძე თავის სტატიაში „არაიან ქართლის საკითხისათვის“ გადმოგვცემს: „საგულისხმოა, რომ ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ მიხედვით ტერმინი „ქართველი“, გარდა კავკასიელი იბერიელისა, აღნიშნავს ესპანეთის იბერიელსაც“ [40, 451 (ქართველი-ი)]. და მაგალითად მოჰყავს ექვთიმე მთანმშინდელის (დაახლ. 955-1028წწ.) მიერ თარგმნილი სალამისის ეპისკოპოსის – ეპიფანე კვიპრელის (დაახლ. 311-403 წწ.) თხზულებაში გადმოცემული ადრექრისტიანული ხანის თვალსაჩინო მწერლის, იპოლიტე რომაელის (დაახლ.170-236წწ.) „ქრონიკებში“ შემავალ „წარმოშობის წიგნი“ (Liber Generationis) მოხსენიებული პირენეის ნახევარკუნძულზე მცხოვრები კელტ-იბერების სახელწოდება (Κελτιβηδες), რომელიც თარგმნილია, როგორც „კელტ-ქართველი დასავლისანი“ [11, 172, 176]. ასევე ბასილი კესარიელის (დაახლ.330-379 წწ.) თხზულების „ექუსთა დღეთადასა“ თარგმანში პირენეელი იბერები მოხსენიებულნი არიან „დასავლეთის ქართველებად“: „რომელი-იგი გარემოადგს ჭალაკსა მას ბრიტანიადასა და ქართველთა მათ დასავალისათა“ [41, 57, სტრ.20]; როგორც ვხედავთ, აქ თვით „კელტებზე“ ასე იწოდებიან – „ქართველნი დასავლისანი“. იცოდნენ რა ასეთი ახლობლობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის იბერთა შორის ქართველმა ათონელმა მამებმა, ამიტომაც თვლიდნენ, რომ ესპანეთში, ანუ პირენეის იბერიაში „ქართველნი არამცირდენი ნათესავნი და ერნი მკვიდნი“ იყვნენ. ამდენად, გასაგებია იოანე ათონელის ლტოლვა დასავლელი ნათესავებისაკენ.

თამარ კოპარიძე

საუბრაბი ლიტერატურაზე

საფარ-ბეგის ქსევის მოტივასია ფროიდის ფსიქონალიზის თეორიის ჭრილში

საფარ-ბეგი აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ ანტიგმირია – „მორღობის გამტეხი და ჩვეულების გადამდები“. მისი შეცოდება – სათქმელად საძნელო და უპატიებელი, მოკლედ ასე ფორმულირდება: მან შეხილნა ის, რაც ადამიანებს „რჯულზე უფრო უმტკიცესად“ მიაჩნიათ – ხელყო ძუძუმტის მეუღლის ღირსება, შებღალა მასპინძლის ოჯახის სინძინდე, დაარღვია მამაპაპური ადათი.

თავად საფარ-ბეგი საკუთარი ქცევის მოტივაციას ამგვარად ხსნის: „შემაცდინა თვით ეშმაკმა და დამრია ცოდვის ხელი!“ რა მოხდა რეალურად? რამ უბიძგა ამ სამარცხვინო საქციელისკენ ადამიანს, რომელსაც საზოგადოება უდრეკ, უშიშარ, ღირსეულ ვაჟკაცად თვლიდა და პატივს სცემდა?

შევეცადე, საფარ-ბეგის სულიერი დრამა აესტრეილი მეცნიერის, ზიგმუნდ ფროიდის, ფსიქონალიზის თეორიის ჭრილში გამეზრებინა. ცნობილია, რომ მან შეძლო, ადამიანის ურთულესი სულიერი სამყაროს უღრმესი პლასტიკი აღმოეჩინა. მისი თვალთახედვით, პიროვნებაში გამოიყოფა სამი სტრუქტურული ელემენტი: იდი (მოქმედებს იმპულსურად, რათა დაიკმაყოფილოს სიამოვნება), ეგო (აკმაყოფილებს იდის იმპულსებს, არასასურველი შედეგების გამონევის გარეშე), სუპერეგო (ვითარდება სოციალურად არასასურველი ქცევის აკრძალვის საფუძველზე).

შიდიღება ითქვას, რომ საზოგადოება, ავბედით ეპიზოდამდე, იცნობდა მხოლოდ საფარ-ბეგის ეგოსა და სუპერეგოს, რადგან მას შესწევდა ძალა, დაეთრგუნა და ეკონტროლებინა საკუთარი იდი. ფროიდის აზრით, ჩახშობილი ემოციები არ კვდებიან. ისინი შიგნიდან აგრძელებენ ზემოქმედებას ადამიანზე და ელოდებიან საბაბს, რათა წარმოჩინდნენ. ეს საბაბები ხშირად უამიც დადგა.

გავიხსენოთ კონტექსტური შინაარსი: საფარ-ბეგი ძუძუმტის ფაცხაში გასაჭირმა მიიყვანა – მან ინალიფას ლურჯი ლაფმა უნდა მოიპაროს და ამით დაუმტკიცოს ზია-ხანუმს (და საკუთარ თავსაც), რომ ღირსია სიყვარულისა. მაგრამ მას არ შეუძლია, შესარულოს ესოდენ რთული დავალება. ცხენის მო-

საპარავად ძიძუშვილი მიდის, საფარ-ბეგი კი მასპინძლის ფაცხაში რჩება. რა გამოდის? ჩანს, რომ ბათუ მასზე ღირსეული ვაჟკაცია – მოყვასისთვის თავდადებული, უანგარო და შეუპოვარი. საფარ-ბეგის ეგო დაუკმაყოფილებელია – მან ხომ ვერაფერი დაამტკიცა... უფრო მეტიც, შექმნილი სიტუაცია მკაფიოდ გამოკვეთს ბათუს ღირსებებს საფარ-ბეგის უღირსი ქცევის ფონზე. დავაკონკრეტოთ: იმ ბნელი ღამით ბათუ მეგობრის დასახმარებლად გაემგზავრა, ნაბადში გახვეული ძუძუმტე კი თბილ კერასთან დატოვა. მაშ, ვინ არის რეალურად საფარ-ბეგი? – ძიძუშვილის ზურგს ამოფარებული ღამიერი, რომელიც ნარის გლეჯას სხვისი ხელით ამჯობინებს; ეგოისტი, რომელიც სხვისი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებას არაფრად მიიჩნევს; მატყუარა, რომელიც სხვის მიერ შესრულებული დავალებით სატრფოს წინაშე თავის მოწონებას აპირებს.

ბათუ, საფარ-ბეგთან შედარებით, კიდევ ერთ უდიდეს უპირატესობას ფლობს – მას გვერდს უშევენებს ადამიანი, რომლის სიყვარულიც ამქვეყნად სასუფეველის ნეტარებას აგრძობინებს. რა შეგვიძლია, ვთქვათ ზია-ხანუმისა და საფარ-ბეგის ურთიერთობაზე? არის კი ეს სიყვარული – სულიერი ამაღლების, უფალთან მიახლების გზა? რა თქმა უნდა, არა! ზია-ხანუმს არ შეუძლია სიყვარული. იგი ერთი ეგოისტი, დაუნდობელი და პატივმოყვარე ქალია, რომელიც მიჩვეულია ადამიანების ბედი თამაშს, მავანთა გრძობებით მანიპულირებას. მას არ ძალუძს, გააბედნიეროს, სულიერად აამაღლოს და გააკეთილმობილოს საფარ-ბეგი.

ნაბადში გახვეული, ცეცხლის პირას გამოსაშუშებლად მარტო დარჩენილი საფარ-ბეგი შეუძლებელია, ვერ აცნობიერებდეს შექმნილი სიტუაციის ქვეტექსტურ შინაარსს; არ აწვალდეს უკმაყოფილების, დაუკმაყოფილებლობის, არასრულფასოვნების განცდა. ის ხომ ამბიციური ადამიანია... ფროიდის აზრით, პიროვნების სწორედ ასეთი სულიერი მდგომარეობა (შინაგანი წინააღმდეგობრიობა, შფოთვა, ეჭვები, უკმაყოფილების შეგრძნება) წარმოშობს ძლიერ სექსუალურ ენერჯის, აგრესიულ სექსუალურ იმპულსებს, ინვესს დაუოკებელ

ლტოლვას, ალვიდებს იდის და უბიძგებს მას დაუყოვნებელი სიამოვნებისკენ, მიუხედავად იმისა, სოციალურად და მორალურად, მისაღებია თუ არა ის, რაც სურს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჯინი ბოთლიდან გამოშვებულია... შედეგად კი ვიღებთ იმას, რომ საფარ-ბეგი ძალადობს ნაზობროლაზე, რითაც, ერთი მხრივ, იკმაყოფილებს იმპულსურად წარმოშობილ სექსუალურ ლტოლვას, განიმუხტება უარყოფითი, აგრესიული სექსუალური ენერჯისგან და, მეორე მხრივ, თავისუფლდება არასრულფასოვნების კომპლექსისგან, დაბალი თვითშეფასებისგან. ძალადობს, რათა „დაამტკიცოს“ საკუთარი უპირატესობა ბათუსთან შედარებით; „დაამტკიცოს“ ის, რისი დამტკიცებაც რეალურად ვერ მოახერხა.

მაგრამ რა ხდება, როცა ვნებები ცხრება, იდი ითრგუნება, ძლიერდება ეგო (რაციონალიზმი) და სუპერეგო (ფასეულობათა სისტემა)? ჩვენ ვხედავთ ბათუს მიერ მხილებულ საფარ-ბეგს – იგი „შემკრთალი და დარცხვენილი“, გამშრალი, ფერდაკარგული და გაქვავებულია. სიცოცხლეს სიკვდილს ამჯობინებს და სულიერი ტანჯვის შესამსუბუქებლად სასიკვდილო ტყვიას ნატრობს, მაგრამ საბოლოოდ სიცოცხლემისჯილის უმძიმეს ხვედრს სჯერდება.

ვფიქრობ, ასე წარმოჩინდება საფარ-ბეგის შინაგანი სამყაროში მიმდინარე წინააღმდეგობრივი პროცესები, მისი სულიერი დრამა ზიგმუნდ ფროიდის ფსიქონალიზის თეორიის თვალთახედვით.

ელენე მარი

სსიპ-ქალაქი თბილისის №4 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზიგმუნდ ფროიდი – <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/ziegmund-phroi-di-kultura.pdf>;
2. ფსიქონალიზმი - <https://ka.wikipedia.org/wiki/>
3. ქართული ენა და ლიტერატურა – XI კლასის სახელმძღვანელო, „სწავლანი“, თბილისი, 2012წ.

სპორტი

აღრიცხვითი ისევ ქართველებისაა

ბავშვთა ქართულმა საკალათბურთო კლუბებმა წარმატებით იასპარეზეს ბალტიის ლიგაში, მეტადრე კი – „ზაზა ფაჩულიას აკადემიამ“, რომელიც 13-წლამდელებში ჩემპიონი გახდა, ხოლო მესამეზე „თბილისი ბასკეტ იბერი“ გავიდა. აღსანიშნავია, რომ 13-წლამდელების შარშანდელი გამარჯვებულიც ქართული კლუბია – „ჰიუნდაი“, რომელიც ამჯერადაც მონაწილეობდა გათამაშებაში და ნახევარფინალშიც გავიდა, თუმცა, საბოლოოდ, მეოთხეზე დარჩა – ბრინჯაოსთვის პაექრობაში „იბერისთან“ დამარცხდა.

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია, უკვე მეორე წელია, ახალგაზრდული კლუბების დასახმარებლად, სპეციალურ პროგრამას ახორციელებს და აფინანსებს მათ მონაწილეობას საერთაშორისო ტურნირებში. ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრება „ბალტიის ლიგაა“, რომელიც მოზარდ კალათბურთელთა ერთ-ერთი სოლიდური გათამაშებაა. ის ლამის მთელი სეზონი გრძელდება – ახლანდელი გათამაშებაც ოქტომბერში დაიწყო და მასში 33 კლუბი მონაწილეობდა. ცხადია, ძირითადად, ბალტიისპირეთიდან და სკანდინავიიდან იყვნენ, თუმცა

ასევე გამოდიოდნენ ბელარუსის, უკრაინის, რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების წარმომადგენლებიც.

საინტერესოა, რომ უკვე მეორე წელიწადია, „ჰიუნდაი“ „ბალტიის ლიგაში“ საკუთარი სახსრებით გამოდის, ხოლო „ფაჩულიას აკადემიას“ და „იბერის“ წლევეანდელი მონაწილეობა ფედერაციამ დააფინანსა. ამ კლუბებმა, შარშან, საქართველოს „იუნორ ნბას“ გათამაშებაშიც ივარგეს – აკადემია ჩემპიონი გახდა, ხოლო „იბერი“ მესამეზე გავიდა და ამიტომ დააფინანსა ისინი ფედერაციამ 50 პროცენტით, დანარჩენი თანხა კი კლუბებმა მოიძიეს.

„ბალტიის ლიგაზე“ კლუბებმა 15-15 შეხვედრა გამართეს, ჩვენმა სამივე წარგზავნილმა კი 12-12 მატჩი მოიგო და სუპერფინალში გავიდა, რეგულარული ჩემპიონატის 16 საუკეთესო კლუბს შორის. სუპერფინალს, 19-21 აპრილს, ესტონურმა ტარტუმ უმასპინძლა, ჩვენებმა კი, სამივემ მოიგო თავიანთი ქვეჯგუფებში. აქედან გამომდინარე, ქართული ნახევარფინალი გარდუფალი გახდა – „ფაჩულიას აკადემია“ „იბერის“ შეხვედა, ხოლო „ჰიუნდაი“ რუსულ „ადმირალთან“ დამარცხდა.

„აკადემიამ“ „ბასკეტ იბერის“ 75:52 მოუგო. ამ შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე ნიკა აბულაძე გახდა, 26 ქულა მიითვა. თუმცა, ეს მისი მაქსიმუმი არ ყოფილა და ფინალში უკეთ გაისარჯა.

ფინალში „აკადემიამ“ რუსულ „ადმირალს“ აჯობა – 62:57. ანგარიშიდანაც ჩანს, რომ შეხვედრა საკმაოდ დაძაბული გამოდგა, თუმცა კი ჩვენების უპირატესობით დაიწყო, მაგრამ მესამე პერიოდში მეტოქემ ვითარება ცოტათი გამოასწორა. საბოლოოდ, აკადემიელებმა მაინც შეძლეს მობილიზება და ჩემპიონები გახდნენ, აბულაძემ კი ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა 33 ქულით, რასაც 8 ჩაჭრაც დაუმატა.

ტარტუმთან თბილისში დაბრუნებულ ქართულ კლუბებს დახვედრაც მოუწყვეს, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, პაატა გურასაშვილმა დააჯილდოვა ისინი. ამ ტურნირში მონაწილეობით ჩვენებმა დიდი გამოცდილება მიიღეს, რაც სამომავლოდ აუცილებლად ნაადგებათ. გაგრძელდება საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ზემოაღნიშნული პროგრამაც „იუნორ ნბას“ წლევეანდელ გათამაშებაზეც, რომელიც სტარტს მაისში აიღებს და მასში 60 კლუბი ჩაებება.

მორაგბეთა მეორე ევროპეული

საქართველოს 18-წლამდე მორაგბეთა ნაკრები ზედიზედ მეორედ გახდა ევროპის ჩემპიონი. კონტინენტის პირველობის ფინალურ ეტაპს, ამჯერად, რუსულმა კალინინგრადმა უმასპინძლა და ჩვენებმა წარმატებით შეინარჩუნეს ტიტული. თუმცა მას შემდეგ,

რაც წინა ფინალში ჩვენების მიერ ძლეულმა საფრანგეთმა ამ ტურნირში მონაწილეობა იუარა, მათი გამარჯვება მოსალოდნელიც იყო. ჩვენებმა, ამჯერად, ფინალში ესპანეთს სძლიეს – 20:10.

საქართველოს ნაკრებმა, პირველ შეხვედ-

რაში, გერმანიის გუნდი გაანადგურა – 46:0. ამ შეხვედრაში მათ მეტოქეს 7 ლელო დაუდეს. აი, მომდევნო მატჩი კი, ყველასათვის გასაგები მიზეზების გამო, ზეპირნიცხული გამოდგა – მასპინძელ რუსეთს ხვდებოდნენ, რომელსაც კიდევ უფრო „შავი დღე“ აყარეს – 10 ლელო დაუდეს, პრემიალური ქულაც აართვეს და საბოლოოდ 64:10 მოუგეს.

ესპანეთთან ფინალური შეხვედრა გაცილებით უფრო დაძაბულად წარიმართა და პირველი ტაიმი დათმეს კიდევ – 6:10. თუმცა, მეორეში თავისი თამაში იპოვეს და იქნებ პირწმინდად ვერ გადათელეს მეტოქე, მაგრამ ყველა კომპონენტში კი აჯობეს და საბოლოოდ 20:10 მოუგეს.

ჩვენი ნაკრებისთვის ეს მეხუთე ევროპული ფინალი იყო და ზედიზედ მეორე გამარჯვება.

როცა 18-წლამდელები ევროპის ჩემპიონატზე თამაშობდნენ, 20-წლიანები, პარალელურად, თანატოლთა მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებოდნენ, რომელიც ივნისში არგენტინაში გაიმართება. მზადების ფარგლებში, მათ სამხრეთ აფრიკაში გამართეს ტურნე, სადაც სამი შეხვედრა ჩატარეს და მხოლოდ ერთი მოიგეს, თუმცა მეტოქეებად სულ ბოლოები ჰყავდათ. ჩვენები დამარცხდნენ მასპინძელ სამხრეთ აფრი-

კასთან – 10:58 და არგენტინასთან – 26:32, ტურნეს ბოლო შეხვედრაში კი ნამიბია 24:20 დაამარცხეს.

სამხრეთ აფრიკა რომ მსოფლიო რაგბის ლიდერია, ამაზე საუბარიც ზედმეტია, ხოლო არგენტინა სამხრეთ ნახევარსფეროს ბოლოებშია გარეული და ნებისმიერი გუნდისთვის ანგარიშგასაწიფი ძალაა. ამის მიუხედავად, ქართველებმა მათთან შეხვედრა ბოლო 5 წუთში დათმეს, თავიდან კი 19:0 დაწინაურდნენ და პირველი ტაიმიც კი მოუგეს – 19:15. ამ შეხვედრაში ჩვენებმა 4 ლელო დადეს, რაც ასევე ბევრის მთქმელია. ლელოები ქართული რაგბის უმთავრესმა ამომავალმა ვარსკვლავმა თედო აბუაძემ, მიხეილ ალანია, ოთარ ძაგნიძემ და იოსებ გუმარაშვილმა დადეს, „პუმებმა“ კი ილია მაისურაძის შეგირდებს გამარჯვება შეხვედრის ბოლოსდა გამოსტაცეს ხელიდან, როცა გადაწყვეტი ლელო დაგვიდეს. სამწუხაროდ, ახალგაზრდა „ბორჯღალოსნებმა“ მათ მიძალბეს ბოლომდე ვერ გაუძლეს...

ნამიბიელებთან შეხვედრაში ჩვენმა მორაგბებმა 3 ლელო გაიტანეს, თუმცა ამდენივე მიიღეს, მაგრამ გარდასახვები უკეთ გამოიყენეს, რასაც ჯარიმაც დაუმატეს და საბოლოოდ მაინც იმარჯვეს. ახლა ისინი მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებას სამშობლოში გააგრძელებენ.

რუბრიკას უძღვება ირაპლი თაყაიძე



**გამომცემლობა „ახალი განათლება“
გთავაზობთ**



5 ლარი

12 ლარი



10 ლარი
7 ლარი

9 ლარი
6 ლარი



4 ლარი

12 ლარი

12 ლარი

**გაერ სულაქაურის გამომცემლობა
ნაგვილი და მოგონილი ამბები**



სერია შედგენილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციალური გათვალისწინებით.



სერიის ფასი – 32.40ლ

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ



15 ლარი

19 ლარი

19 ლარი

**არტანუჯი გამომცემლობა
სიგულაში**
გიორგი მიქაბერიძის, არჩილ თავადაშვილის, ურბნისაძის ბარათი

გავიგეოროთ მათემატიკა (I-II ნაწილი)
წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დაგეგმულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ალგებრის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.

გავიგეოროთ მათემატიკა (II ნაწილი)
წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დაგეგმულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ალგებრის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.



წიგნი I
V-XVII სს
მწერლობა

**ტესტები ქართულ
ლიტერატურაში**

არტანუჯი გამომცემლობის

წიგნი II
XIX საუკუნის
მწერლობა

წიგნი III
XIX საუკუნის
მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმოირჩხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეამის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

**არტანუჯი უნარები
თეორიული მასალა**



15 ლარი

**არტანუჯი უნარები
ტესტები**



15 ლარი

მასწავლებლის გიგლიოთეკა



მასწავლებლის გიგლიოთეკა უნივერსალი შესაძლებელია გარდასცემდეს მოსწავლეებს განმარტებისთვის. კრებული სრულად ფარავს პროგრამის I-IV კლასების კომპლექსურ-ინტეგრირებული გამოცდისთვის. მასში 1000-მდე ტესტური დავალებაა პასუხებით და მეთოდური რეკომენდაციებით.

15 ლარი

**ინოვაციური გაკვეთილები
დაწყებით კლასებში**



6.50 ლარი

**ქართული (I-VI კლასი)
მასწავლებლის გამომცემლობის**



11 ლარი

**სწრაფი დაწყებითი
პედაგოგებისთვის**



14 ლარი

**ინტერაქტიური
მეთოდების კრებული**



6 ლარი

**კათედრის გაგების
პორტფოლიო**



6 ლარი

**მასწავლებლის
კალენდარი**



5.50 ლარი

**სასწავლო
პროექტები**



11 ლარი

